ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

12 მარტი სამშაბათი 2013

№058 (13 974) ფასი 80 თეთრი

# ეპოქის დასასრული თუ...

## დღეს ბარსელონამ გამოცდა უნდა ჩააბაროს



8

### ცნობისთვის...

ევროტურნირების ისტორიაში მხოლოდ ოთხმა გუნდმა შეძლო პირველი მატჩის ერთზე მეტი ბურთით წაგების შემდეგ მომდევნო ეტაპზე გასვლა...

ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფში არასოდეს გასულა შემდეგ ეტაპზე ის გუნდი, რომელსაც პირველი შეხვედრა „მშრალად“ ჰქონდა წაგებული ორი ან მეტი ბურთის სხვაობით...

# რუნი ბაიერნში. ეს დასაჯერებელია?

პეპ გვარდიოლას პირველი სატრანსფერო ნაბიჯი ინგლისის ნაკრების ფორვარდის გადაბირება უნდა გახდეს



10

# რიბერი დაშავდა!

არსენალთან რობენი ითამაშებს



6



ესპანური მედია:
## მოურინიო სეზონის ბოლოს მიდის
რეალი ბეილში 70 მილიონ ევროს იხდის

9



4

ქართული ლეგიონი გუშინ

## დარასელიას წარმატებული დებიუტი

## მარცვალაძის გოლი

## სალუქვაძის საგოლე პასი...



## სუიციდის პირას

ოსკარ პისტორიუსი თვითმკვლელობაზე ფიქრობს

16



10

## ოლიმპიური ნაკრებით ევროპის ჩემპიონატზე

დარჩიას ახალი ძველი გუნდი

# ჰარდს ვერ გაუძლო

## ინდიან უელსის მასტერსი ნადალის გარეშე დარჩა

გუშინ, გვიან ღამით მსოფლიოს მეხუთე ნომერს რაფაელ ნადალს მესამე წრის მატჩი უნდა ჩაეტარებინა სეზონის პირველ მასტერსზე, მაგრამ მოთელვიდან მიატოვა ლეონარდო მაიერთან შეხვედრა. ამჯერად, მიზეზი ზურგის ტრავმაა...



ეროვნული ბიბლიოთეკა

დინამო



გიორგი შაშიაშვილი ზუგდიდთან მატჩში

ფოტო: www.fcdinamo.ge

# გიორგი შაშიაშვილი: დინამოსთან შეგუება არ გამჭირვებია

გამოცდილ **გიორგი შაშიაშვილს** კარიერის განმავლობაში ხუთი ქვეყნის (საქართველო, რუსეთი, უკრაინა, ავსტრია, საბერძნეთი) უმაღლესი ლიგის შვიდი კლუბის ფორმა ჩაუცვამს, თან 33 წლის მცველს ეროვნულ ნაკრებში 30 შეხვედრა დაუგროვდა. ცხადია, ამ პერიოდში, სხვადასხვა სათამაშო სტილის მიმდევარ მწვრთნელებთან უთამაშია და არაერთ ტაქტიკურ სქემასთან მოუნია შეგუებამ.

თბილისის "დინამოში" მესამედ მივიდა – ამჯერად გორის "დილადან". სწორედ გამოცდილებას შედეგია, **დუშან უჰრინის** მოთხოვნებთან შეგუება რომ არ გასჭირვებია.

"თბილისის "დინამოში" 16 წლის ასაკში ამიყვანეს და მას შემდეგ მიწევდა არა მხოლოდ სხვადასხვა სქემასთან შეგუება, არამედ, სხვადასხვა პოზიციაზე თამაშიც - დაცვის ორივე ფლანგზე და ცენტრში. ვინც კარგად ერკვევა დეტალებში, დამეთანხმება, რომ ფლანგიდან ფლანგზე ან მით უფრო შუაში გადასვლა იოლი ნამდვილად არ არის. ყველა მწვრთნელს საკუთარი ტაქტიკა აქვს და ასეა დუშან უჰრინიც. მაგრამ თუ პროფესიონალი ხარ, გადაწყობა არ უნდა გაგიჭირდეს. "დინამოში" დაბრუნების შემდეგ, პირველად ცენტრალური მცველის პოზიციაზე ვითამაშე, ჩემპიონატში "ზუგდიდთან" კი - მარჯვენა ფლანგზე. ამპლუის ცვლა ჩვეულებრივი ამბავია და მთლიანობაში არ გამჭირვებია. იმიტომაც, რომ "დინამო-არენა" ჩემთვის მშობლიური სტადიონია, მასთან ბევრი სასიამოვნო მოგონება მაკავშირებს და მიხარია, დაბრუნება პირველივე საშინაო შეხვედრაში ფოთის "კოლხეთის" წინააღმდეგ გოლით რომ ალვნიშნე" – ამბობს შაშიაშვილი.

**მერაბ მამულაშვილი**

U 17

# რამდენიმე დღე ელიტრაუნდამდე

გერმანულ-ჰოლანდიური ვოიაჟის შემდეგ, საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები საქართველოში დაბრუნდა. შეგახსენებთ, **გიორგი დევდარიანის** გუნდი გერმანიაში ადგილობრივ ნაკრებთან ამხანაგურ შეხვედრაში 1:4 დამარცხდა, ჰოლანდიაში კი არნემის "ვიტესის" ახალგაზრდულ გუნდს დაუზავდა - 1:1.

არნემში ქართველთაგან გოლი **გრიგოლ ჩაბრაძემ** გაიტანა - მან მატჩის 75-ე წუთზე **ლუკა ზარანდიას** პასით გაათანაბრა ანგარიში.

საქართველოს ნაკრების ძირითადი შემადგენლობა ასეთი იყო: **გოშაძე, გელაშვილი, მარგველაშვილი, ტაბიძე, თევზაძე, პატარკაციშვილი, შულაია, ხარაიშვილი, კერძევაძე, ზარანდია, რ. ჭანტურია.**

შეცვლაზე შევიდნენ: მალანია, ბერიძე, რუხაძე, ჩაბრაძე, გოროზია, ბარამიძე.

საქართველოში დაბრუნებული გუნდი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ელიტრაუნდამდე, სავარაუდოდ, კიდევ ერთ საკონტროლო მატჩს გამართავს და მისი მეტოქე რომელიმე ქართული კლუბი იქნება.

შეგახსენებთ, ჩვენი გუნდის მეტოქეები სერბეთი, ირლანდია და ავსტრია იქნებიან. მატჩებს ავსტრია უმასპინძლებს და ფინალურ ეტაპზე მხოლოდ ჯგუფის გამარჯვებული გავა.

საქართველოს ნაკრების შეხვედრათა განრიგი ასეთია:

**25 მარტი. საქართველო-სერბეთი**

**27 მარტი. საქართველო-ირლანდია**

**30 მარტი. საქართველო-ავსტრია**

**ლევან ჯანეზაშვილი**



საქართველო (U17)-ვიტესი 1:1

ფოტო: gff.ge

U21

# ჩივაძეს ახალგაზრდები ავსტრიაში მიჰყავს

სანაკრებო კალენდარს საქართველოს 21-წლამდელთა გუნდიც გამოიყენებს. შეგახსენებთ, რომ 22, 23 და 26 მარტს გაიმართება მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩები. ჩვენი უპირველესი გუნდი 22 მარტს საფრანგეთის ეროვნულ ნაკრებს სტუმრად შეხვდება, ახალგაზრდული ნაკრები კი ავსტრიაში გაემგზავრება.

**ალექსანდრე ჩივაძის** დამოძლვრილი 21-წლამდელები 18-დან 27 მარტამდე პლაგენფურტთან მდებარე ბაზაზე დაბანაკდებიან და სამ შეხვედრას გამართავენ თანატოლებთან. იმავე პერიოდში პლაგენფურტში ევროპის სხვა ახალგაზრდული ნაკრებებიც მოიყრიან თავს.

რომელ ფეხბურთელებს წაიყვანს ჩივაძე ავსტრიაში, ზუსტად ჯერ არ არის ცნობილი, რადგან ჩივაძე იმას ელოდება, **თემურ ქეცბაია** ვის გამოიძახებს საფრანგეთთან მატჩისთვის. ქეცბაია სიას სავარაუდოდ დღეს გამოამზეურებს.

**დავით თავართქილაძე**

# ოთარ ხიზანეიშვილი: კონკურენციის არ მეშინია



ოთარ ხიზანეიშვილი დინამოს გულშემატკივართა გარემოცვაში

ფოტო: www.fcdinamo.ge

სეზონი დაიწყო, **ოთარ ხიზანეიშვილი** კი თბილისის "დინამოს" არათუ შემადგენლობაში, არამედ განაცხადშიც არ ჩანს. ეროვნული ნაკრების ყოფილი მცველი გუნდს პირველ თურქულ შეკრებაზე ახლდა, მეორედ კი თბილისში დარჩენა მოუხდა - ოთარი პოლტავის „ვორსკლასთან" სპარინგში დაშავდა და კარგა ხანი მკურნალობდა.

"შეკრებაზე დავშავდი, მკურნალობა დამჭირდა და ამან ძალიან დამწია უკან. მაგრამ მოვმჯობინდი, ვარჯიში დავიწყე და იმედია, მოედანს მალე დავუბრუნდები" – ამბობს ხიზანეიშვილი.

31 წლის ფეხბურთელს კონტრაქტი მაისში უმთავრდება. ის უარყოფს გავრცელებულ ხმებს, თითქოს, ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის დროს გუნდიდან მისი წასვლის საკითხი განიხილებოდა: "ასეთი ლაპარაკი არ ყოფილა, გუნდში ვარ და სეზონს "დინამოში" დავასრულებ. მერე რა მოხდება - ეს კლუბის ხელმძღვანელებისა და მწვრთნელის გადასაწყვეტია. იმედია, რომ კარიერას ისევ "დინამოში" გავაგრძელებ".

ზამთარში თბილისურ კლუბში ბილბაოს "ატლეტიკის" ცენტრალური მცველი **უსტარიცი** ჩამოვიდა და ძირითადში სწორედ ხიზანეიშვილის ადგილი დაიკავა. კონკურენტი სერიოზულია და ოთარს სასტარტოში დაბრუნებისთვის დიდი ბრძოლა მოუწევს, თუმცა კონკურენცია არ აშინებს: "მე ისეთ კლუბში ვთამაშობ, რომლის შემადგენლობაშიც გარანტირებული ადგილი არავის ექნება. ეს მეხება მეც და ნებისმიერ სხვა მოთამაშესაც. მითამაშია რუსეთში, გერმანიასა და ყაზახეთში და იქ შემადგენლობაში დამკვიდრება არანაკლებ მძიმე იყო, თუნდაც იმიტომ, რომ ლეგიონერი ვიყავი და ადგილობრივებისთვის ერთი თავით უნდა მეჯობნა. ფეხბურთში ეს ჩვეულებრივი ამბავია, შეჩვეული ვარ და კონკურენცია ნამდვილად არ მაშინებს. მთავარია, ფორმა დროულად აღვიდგინო. მჯერა, რომ "დინამოს" კიდევ გამოვადგები".

გამოცდილი მოთამაშე განახლებულ "დინამოს" იმედიანად უყურებს: "დუშან უჰრინი სერიოზულად მუშაობს და მგონია, რომ შარშანდელთან შედარებით, წლეულს საკმაოდ გავძლიერდით. ფაქტობრივად, ახალი გუნდი ყალიბდება და დიდი ამბიციები გვაქვს, ასეთ კლუბში თამაში კი ყოველთვის სასიამოვნოა. იმედია, მალე "დინამო" წარმატებებს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ევროპაშიც მიაღწევს".

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერები

# დარასელიასა და სხვა ქართველების შედეგიანი დებიუტი

"სკა-ენერგიას" მთავარი მწვრთნელის პოსტზე ოფიციალური დებიუტი წარმატებული გამოდგა **გიორგი დარასელიასთვის** - რუსეთის პირველ დივიზიონში მისმა ახალმა გუნდმა სტუმრად "პეტროტრესტი" 2:1 დაამარცხა და ამაში ქართველებმა წონადი წვლილი შეიტანეს.

მატჩის მე-12 წუთზე ანგარიში **ოთარ მარცვალაძემ** გაათანაბრა, ხოლო 54-ე წუთზე **ლაშა სალუქვაძე** საგოლე გადაცემის ავტორი გახდა. "სკა-ენერგიას" შემადგენლობაში შეუცვლელად ითამაშეს სალუქვაძემ, მარცვალაძემ და **გიორგი ნავალოვსკიმ, შოთა გრიგალაშვილსა** და **გოჩა ხოჯავას** კი არ უთამაშიათ.

"სკა-ენერგიას" გენერალურმა დირექტორმა **სერგეი ფელდმანმა** ნამატჩევს დარასელია შეაქო: "პირველი ტაიმი სუსტად ჩავატარეთ, მეორე ნახევარში კი გუნდი ეფექტურად გამოიყურებოდა, რაც დარასელიას მიერ შესვენებისას განხორციელებული კორექტივების დამსახურებაა. შეხვედრის შემდეგ გასახდელში ჩავედი და გამარჯვება მწვრთნელებსა და ყველა ფეხბურთელს მივულოცე. განსაკუთრებით გამახარა მარცვალაძის გოლმა. იგი საკონტროლო მატჩებში თავის გამოჩენას ვერ ახერხებდა, თუმცა მჯეროდა, რომ თავის სიტყვას ჩემპიონატში იტყოდა".

"სკა-ენერგია" რუსული პრემიერლიგის საგზურისთვის ბრძოლას განაგრძობს. დღეისთვის ხაბაროვსკელები პლეი ოფის ზონაში არიან.

თურქეთის სუპერლიგაში **შოთა არველაძის** "ქაშიმფაშა" "მერსინს" ენვია და ფრედ, 1:1 ეთამაშა. "ქაშიმფაშა" ევროპის ლიგის საგზურისთვის ბრძოლას განაგრძობს.

უნგრეთის ჩემპიონატში სადებიუტო მატჩი ჩაატარა **გიორგი ქვილითაიამ**. მისმა "დიორი ეტომ" შინ 2:1 სძლია "შიოფოკს", ქართველი თავდამსხმელი კი თამაშში 83-ე წუთზე ჩაერთო.

იტალიის სერია B-ში "ემპოლიმ" სტუმრად "ასკოლი" 2:1 დაამარცხა. სტუმართა რიგებში **ირაკლი შეყილაძე** სათადარიგო იყო, **ლევან მჭედლიძე** კი ტრავმის გამო კვლავ ვერ თამაშობს.

აზერბაიჯანის პრემიერლიგაში "თურანი", რომლის ღირსებასაც **ირაკლი ბერაია** და **დავით ჯანელიძე** იცავენ, სტუმრად 0:4 განადგურდა "სუმგაითთან". ორივე მათგანი სასტარტო შემადგენლობაში იყო. ბერაია 59-ე წუთზე შეცვალეს, ჯანელიძემ კი სრულად ითამაშა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი. XXIII ტურის მიმოხილვა

# ინტრიგას ვერავინ წაგვართმევს...

სუპერთასის მატჩიც საინტერესო გამოდგა და საქართველოს თასის მერვედფინალებიც, თუმცა საფეხბურთო წელიწადი ოფიციალურად მაინც ჩემპიონატის განახლებით დაიწყო. მით უმეტეს, რომ ზედა და ქვედა ექვსეულებში მეტად და მეტად საინტერესო დაპირისპირებები გველოდება. არახალი ამბავია: ჩვენს ჩემპიონატს რასაც ვერ დავუკარგავთ, ინტრიგაა და ამ მხრივ, არც მიმდინარე სეზონია გამონაკლისი. მთავარი ინტრიგა კი კვლავაც „ტრადიციულად" ორია: პირველი — ვინ გახდება საქართველოს ჩემპიონი და მეორე — რომელი გუნდები დატოვებენ უმაღლეს ლიგას. მეორე ეტაპის საწყისი ტურიც ამის დადასტურება იყო: თბილისის „დინამოსა" და „დილას" საჩემპიონო დავა, ალბათ, სეზონის ბოლომდე გაგრძელდება, ხოლო ქვედა ექვსეულში, ერთადერთი უმოტივაციო გუნდი „მეტალურგი" იქნება, დანარჩენები კი უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისათვის იბრძოლებენ. ამ „დანარჩენებში" ერთდროულად ოთხი გუნდი იგულისხმება: „ვიტ ჯორჯია", „მერანი", „სიონი" და ბათუმის „დინამო", — ამათგან ერთ-ერთს მომავალ სეზონში პირველ ლიგაში მოუწევს გამოსვლა; აი, რაც შეეხება კიდევ ერთ უილბლოს, ვეჭვობთ, რომ „კოლხეთმა" შეძლოს და „გადამრჩენელ" X ადგილთან არსებული 17-ქულიანი (!) ჩამორჩენა აღმოფხვრას. თუმცა წინ კიდევ 9 ტურია და ნურაფერს გამოვრიცხავთ.

**ოღონდ, იმის გაფიქრებაც არ გვინდა, რომ სეზონის დასრულების შემდეგ პოლიტიკური, გეოგრაფიული თუ სხვა „მოგონილი პრინციპებით" ტურნირის რეგლამენტი დაირღვეს და უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობა გაიზარდოს. რა თქმა უნდა, ყველას გვწყინს, როცა დიდი ტრადიციების მქონე გუნდი უმაღლესი ლიგიდან ვარდება, მაგრამ სპორტული პრინციპების დაცვა რომ აუცილებელია, ვფიქრობთ, ამაში ბევრი არ შემოგვედავება. მოკლედ, ჩემპიონატი, ავად თუ კარგად, განახლდა და მეორე ეტაპის პირველსავე ტურში არაერთი დასამახსოვრებელი თუ განსაკუთრებული ფაქტიც მოხდა, სასიამოვნოც და უსიამოვნოც...**

## უარი ანტირეკორდებს!

წლეულს ფოთის „კოლხეთი" დაარსებიდან 100-წლიან იუბილეს იზეიმებს! ეჭვი არ გვეპარება, რომ „ქართული ფეხბურთის აკვნად" მიჩნეულ ქალაქში ამ მართლაც გამორჩეულ და განსაკუთრებულ მოვლენას შესაფერისად რომ აღნიშნავენ. ჩვენი ინფორმაციით, ფოთში დიდი საზეიმო ღონისძიებაა დაგეგმილი, რომელიც, სავარაუდოდ, მაისის ბოლოსკენ უნდა გაიმართოს. არადა, ძალიან დიდია იმის ალბათობა, რომ იმ დროისათვის „კოლხეთი" უკვე პირველი ლიგის ბინადარი იყოს! ლაპარაკია გუნდზე, პირველი 13 სეზონის განმავლობაში ხუთეულს ქვემოთ რომ არ ჩამოსულა და ამის გარდა, ორჯერ ვერცხლის მედლები აქვს მოპოვებული, სამჯერ კი — ბრინჯაოსი; ამ წარმატებას „კოლხეთმა" ხუთივეჯერ **სოსო ფილიას** ხელმძღვანელობით მიაღწია, იმ სპეციალისტის, დღესაც რომ მოძღვრავს ფოთელთა გუნდს. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია: უკვე 23 ტური მიილია და „კოლხეთი" კვლავაც რჩება ერთადერთ გუნდად, თამაში რომ არ მოუგია! იმედი დავიტოვოთ, რომ სეზონის ბოლომდე ეს ნავსი გატყდება და „კოლხეთი" არ შეუერთდება ანტირეკორდების მქონე იმ გუნდების რიცხვს, ჩემპიონატი მოუგებლად რომ დაამთავრეს. საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში კი ასეთი ორი შემთხვევა იყო: 2000-01 წლების სეზონი სამტრედიის „იბერიამ" 4 ქულით დაამთავრა, 2006-07 წლების სეზონში კი თელავის „კახეთმა" 26 მატჩი ჩაატარა და 2 ქულა მოიპოვა...

## ახალი ლეგიონერები

საქართველოს ჩემპიონატში უცხოელი ფეხბურთელების გამოჩენა უკვე აღარავის უკვირს, უბრალოდ, ხშირ შემთხვევაში, მათი დონე არის ხოლმე ხშირად განსჯის საგანი; რა თქმა უნდა, როცა **ანდერსონ აკინოს, დიდიე ოვონოსა** თუ **ნედ ზელიჩის** დონის ფეხბურთელები ჩამოდიან, ენა ვის უნდა მოუბრუნდეს; ალარაფერს ვამბობთ **ჩისკოზე**: თბილისის „დინამოს" 32 წლის შემტევი მეორე სეზონია ჩვენს ჩემპიონატს ალამაზებს. თუმცა, სამწუხაროდ, არც ისეთი ფაქტებია უცხო, როცა ჩვენთან გაურკვეველი „რეპუტაციის" უცხოელები ჩამოჰყავთ და მერე „აღმოჩნდება" ხოლმე, რომ ეს უცხოელები თურმე ვერაფრით ჯობნიან თავიანთ ქართველ კოლეგებს!

...მიმდინარე სეზონის პირველ ეტაპზე უმაღლეს ლიგაში 17-მა ლეგიონერმა იასპარეზა; ამათგან ზოგი დაგვემშვიდობა (**ალბერტ იაგუე, ვლადიმირ ვოსკობოინიკოვი, ოლექსანდრ ტიმჩიშინი, ივან ჰოსმანი, მარინ სკედერი**), დანარჩენები კი კვლავაც საქართველოში აგრძელებენ ბურთის გაგორებას. ეგ კი არა, მეორე ეტაპიდან მათი რიცხვი გაიზარდა და გასულ ტურში ერთდროულად შვიდ ლეგიონერს ჰქონდა საქართველოს ჩემპიონატში დებიუტი: 29 წლის **გრაიციარს** (სლოვაკეთი), 30 წლის **უსტარიცს**, 31 წლის **ლოსანოს** (ორივე — ესპანეთი), 25 წლის **პეტკოვს** (ბულგარეთი), 30 წლის **ჰაიდუჩეკს** (პოლონეთი), 21 წლის **კრისს** (ნიგერია), 20 წლის **რეკრუკს** (ალჟირი). აქვე, იმასაც ვიტყვით, საქართველოს ჩემპიონატში ბულგარელ, პოლონელ და ალჟირელ ფეხბურთელებს აქამდე არასდროს უთამაშიათ. მოკლედ, გეოგრაფია იზრდება...

## ნაცნობი პრეტენზიები

ტურის ცენტრალური მატჩი გორში გაიმართა, რომლის მსვლელობის დროსაც და თამაშის დამთავრების შემდეგაც სტუმრებს სერიოზული პრეტენზია ჰქონდათ მსაჯობასთან; კონკრეტულად კი, მათ კარში დანიშნული პენალტის გამო, — არადა, ის ეპიზოდი ვიდეოზე რამდენჯერმე ვნახეთ, მაგრამ მაინც ძნელი გასარკვევი იყო, მართლაც მოხვდა თუ არა ხელზე ბურთი „ზესტაფონის" მცველს. ქვეყნის ჯერ კიდევ მოქმედმა ჩემპიონმა ის მატჩი წააგო და რა გასაკვირია მათი მხრიდან არბიტრის მიმართ გამოთქმული პრეტენზიები; აი „მეტალურგმა" კი, ერთი შეხედვით, თავისთვის უმოტივაციო შეხვედრა მოიგო, მაგრამ რუსთაველთა მხრიდანაც არანაკლები პრეტენზიები ისმოდა მსაჯების მიმართ. გუშინაც გამცნეთ და დღეს დაწვრილებით აღარ მოვყვებით იმ ეპიზოდს, **ზურაბ მენთეშაშვილის** გაძევება რომ მოჰყვა; არადა, ამ გამოცდილი ნახევარმცველის მიერ მიღებული წითელი ბარათი, რეგლამენტის თანახმად, სათასო მატჩებზეც ვრცელდება და მენთეშაშვილიც თავის ახალ გუნდს ხვალინდელ მეოთხედფინალში ვერ დაეხმარება. უცნაურია, მაგრამ ფაქტია: ამ ტურში მსაჯებმა მოედნიდან ორი ფეხბურთელი გააძევეს და ორივე შეცვლაზე შემოსული! შეგახსენებთ, რომ მენთეშაშვილს მოედანზე ყოფნამ 6-7 წუთს მოუნია, „ჩიხურას" თავდამსხმელმა **გაგა ჩხეტიანმა** კი უფრო მეტი, 40 წუთამდე ითამაშა.

## სუპერ-ტრიო!

ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერს თბილისის „დინამოს" მეტოქის ძლევა რომ არ უნდა გასჭირვებოდა, ადვილად პროგნოზირებადი „საქმე" იყო, ასეც მოხდა: **დუშან უჰრინის** გუნდმა უპრობლემოდ შეძლო პირველ ეტაპთან შედარებით აშკარად დასუსტებული „ზუგდიდის" დამარცხება და ამ სეზონში უკვე მეათე (!) მატჩი მოიგო სამი და მეტბურთიანი სხვაობით! დინამოელები მართლაც ფანტასტიკური შედეგიანობით გამოირჩევიან: 23 მატჩში 66 გატანილი გოლი ამის დასტურია; თანაც, ამ 66-დან ნახევარზე ბევრად მეტი, კერძოდ, 47 გოლი სამ ფეხბურთელზეა „გადანაწილებული"! ახლაც „ზუგდიდთან" მატჩში თავი გამოიჩინეს „დინამოს" და საერთოდ, ჩემპონატის საუკეთესო ბომბარდირებმა: **ჩისკომ** სეზონში მე-18 გოლი გაიტანა, **ჯაბა დვალმა** — მე-17, **მიკელ ალვარომ** კი — მე-12.

## VALDAS XV

მეორე ეტაპის საწყის ტურში ერთი განსაკუთრებული დებიუტიც შედგა: საქართველოს ჩემპიონატში პირველად დამოძლვრა თავისი გუნდი ლიტველმა სპეციალისტმა **ვალდას ივანაუსკასმა**! ვისაც ივანაუსკასი-ფეხბურთელი ახსოვს, დაგვეთანხმება, რომ მართლაც გამორჩეული მოთამაშე გახლდათ და ვილნიუსის „ჟალგირისში", საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებსა თუ მერე, „ჰამბურგშიც" არაერთი გამორჩეული მატჩიც ჩაუტარებია. ივანაუსკასს უკვე გარკვეული სამწვრთნელო გამოცდილებაც გააჩნია, შოტლანდიის თასიც მოუგია მწვრთნელის რანგში და ახლა უკვე საქართველოში მოუწევს საკუთარი კვალიფიკაციის დამტკიცება. საერთოდ კი, დღემდე საქართველოს ჩემპიონატში 14 უცხოელი სპეციალისტი გვინახავს: **იოჰან ბოსკამპი** (ჰოლანდია), **ალექსანდრ შტელინი, ვლადიმირ ზემლიანოი, ანატოლი პისკოვეცი, ვიქტორ კაშჩეი** (ყველა — უკრაინა), **ივო შუშაკი** (ხორვატია), **ლუის ცაკარიასი** (პერუ), **ჯანი კარნევალე** (იტალია), **ანდრეი ჩერნიშოვი** (რუსეთი), **ალექს გარსია** (ესპანეთი), **დუშან უჰრინი-უფროსი, დუშან უჰრინი-უმცროსი** (ორივე — ჩეხეთი), **ჟოაო კამპუში** (ბრაზილია), **რაინერ ცობელი** (გერმანია) და აი, მეთხუთმეტეც გამოჩნდა. თანაც, სადებიუტო, ტურის ცენტრალური მატჩიც მოიგო და „ლელომ" ტურის მწვრთნელადაც სწორედ ვალდას ივანაუსკასი მიიჩნია!

**გია ტუხაშვილი**



დინამოს ესპანელები. მარცხნიდან: ალვარო, ჩისკო, უსტარიცი

ფოტო: www.fcdinamo.ge






ვალდას ივანაუსკასი
გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

### I-VI ადგილები

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო (თბ) | 23 | 17 | 4 | 2 | 66 | 19 | 55 |
| 2 | დილა | 23 | 17 | 1 | 5 | 38 | 16 | 52 |
| 3 | ტორპედო | 23 | 14 | 4 | 5 | 41 | 18 | 46 |
| 4 | ჩიხურა | 23 | 13 | 5 | 5 | 35 | 21 | 44 |
| 5 | ზესტაფონი | 23 | 11 | 4 | 8 | 31 | 22 | 37 |
| 6 | ზუგდიდი | 23 | 10 | 5 | 8 | 27 | 29 | 35 |

**XXIV ტური**

**17 მარტი, კვირა**

ზუგდიდი-ჩიხურა
ზესტაფონი-ტორპედო
დინამო (თბ)-დილა

### VII-XII ადგილები

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | მეტალურგი | 23 | 10 | 4 | 9 | 22 | 26 | 34 |
| 8 | მერანი | 23 | 7 | 2 | 14 | 23 | 37 | 23 |
| 9 | ვიტ ჯორჯია | 23 | 5 | 7 | 11 | 15 | 31 | 22 |
| 10 | სიონი | 23 | 5 | 6 | 12 | 16 | 38 | 21 |
| 11 | დინამო (ბთ) | 23 | 4 | 4 | 15 | 23 | 47 | 16 |
| 12 | კოლხეთი | 23 | 0 | 4 | 19 | 11 | 44 | 4 |

**XXIV ტური**

**17 მარტი, კვირა**

კოლხეთი–სიონი
დინამო (ბთ)–ვიტ ჯორჯია
მეტალურგი–მერანი

### დუბლების ჩემპიონატი

**XXIV ტური**

მერანი – ზესტაფონი 1:1
მეტალურგი – დილა 0:3
სიონი – ტორპედო 1:0
დინამო (ბთ) – ზუგდიდი 1:2
კოლხეთი – ჩიხურა 0:1
დინამო (თბ) – ვიტ ჯორჯია 1:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო (თბ) | 24 | 16 | 2 | 6 | 59-28 | 50 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 24 | 15 | 4 | 5 | 53-24 | 49 |
| 3. ზუგდიდი | 24 | 13 | 5 | 6 | 40-29 | 44 |
| 4. ზესტაფონი | 24 | 12 | 6 | 6 | 65-42 | 42 |
| 5. ჩიხურა | 24 | 12 | 4 | 8 | 30-28 | 40 |
| 6. დილა | 23 | 10 | 5 | 8 | 31-27 | 35 |
| 7. მეტალურგი | 24 | 10 | 4 | 10 | 44-40 | 34 |
| 8. ტორპედო | 23 | 9 | 5 | 9 | 31-28 | 32 |
| 9. კოლხეთი | 24 | 8 | 4 | 12 | 25-43 | 28 |
| 10. დინამო (ბთ) | 24 | 7 | 3 | 14 | 32-46 | 24 |
| 11. მერანი | 24 | 4 | 3 | 17 | 13-51 | 15 |
| 12. სიონი | 24 | 2 | 5 | 17 | 21-58 | 11 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

ქართველი მწვრთნელი გერმანიაში

# თანამშრომლობა მსურდა, მაგრამ...

**30 წლის მიხეილ კახიშვილმა კიოლნის სპორტის უმაღლესი უნივერსიტეტის სრული კურსი დაასრულა და სპორტის მეცნიერის აკადემიური ხარისხი მიიღო.**

დააფუძნა "კიოლნის" მოძრავი ფეხბურთის სკოლა, მუშაობდა ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლა NRV-ში, 2006-2011 წლებში - "კიოლნის" პირველ ბავშვთა საფეხბურთო სკოლაში. ახლა მე-5 გერმანული ლიგის საფეხბურთო კლუბ "პიურტის" მწვრთნელი გახლავთ.

შთამბეჭდავია ამ ახალგაზრდა კაცის სამწვრთნელო ლიცენზიებიც: გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის DFB- A-ლიცენზია, ფიზმომზადებისა და ფიტნესის B-ლიცენზია.

გერმანიაში გამგზავრებამდე ვარჯიშობდა თბილისის "დინამოს" საფეხბურთო აკადემიასა და "ვიტ ჯორჯიას" საბავშვო ჯგუფში, თამაშობდა თბილისის სკა-ში.

*"გერმანიაში 2002 წელს გავემგზავრე. თავიდან სწავლის გაგრძელება მსურდა, მაგრამ ყოფილ ფეხბურთელს კიოლნის სპორტის უნივერსიტეტისკენ გამიწია გულმა და მისი სრული კურსი დავამთავრე. პარალელურად მწვრთნელობა დავიწყე და მას შემდეგ საკმაოდ დიდი გამოცდილებაც შევიძინე. ამას გარდა, დავაფუძნე "კიოლნის" მოძრავი ფეხბურთის სკოლა"* – ამბობს კახიშვილი.

გერმანიის საფეხბურთო სკოლების პირობებზე ლეგენდები დადის. კახიშვილი გვიყვება, მათ შორის რა სახის განსხვავებებია: *"სკოლები კატეგორიებით განსხვავდებიან - არის ბუნდესლიგების და ჩვეულებრივი სკოლები. მათ შორის, განსხვავება არც ისე დიდია. მაგალითად, ბუნდესლიგების სკოლებში მხოლოდ შერჩეული ბავშვები არიან. კიოლნის სკოლა, სადაც მე ვმუშაობდი, პოპულარული სკოლების კატეგორიაში იყო. სწავლის ხარისხი და პირობებიც ყველგან გარკვეულ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს – სკოლები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ იმ პირობებით, რომ ბავშვები გაზარდონ. კიოლნის ბავშვებს ბუნდესლიგის გუნდებისთვის ვამზადებდით და მხოლოდ შერჩეულ ბავშვებთან ვმუშაობდით."*

■ ■ ■

**— რა მინიმალურ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს გერმანიაში საფეხბურთო სკოლა, რამდენი უნდა ჰქონდეს მოედანი, საშხაპე, გასახდელი?**

— ბუნდესლიგის სკოლებს ბევრი კრიტერიუმი აქვთ დასაკმაყოფილებელი. მაგალითად, მოედნების რაოდენობა, ხარისხი, გასახდელები და ა.შ. დიდ ყურადღებას აქცევენ მწვრთნელთა ლიცენზიებს, არაკვალიფიკაციურებსა და ლიცენზიის არმქონეებს ბავშვებთან მუშაობის უფლებას არ აძლევენ. ამ ყველაფერს ყოველწლიურად გერმანიის საფეხბურთო კავშირი ამოწმებს და ლიზენზიებსა და 1 დან 5-მდე ვარსკლავს გასცემს. თუ გუნდი ბევრ კრიტერიუმბს არ აკმაყოფილებს, პრობლემები დროულად უნდა გამოასწოროს, თორემ ლიცენზიას ვერ მიიღებს".

**— რამხელა გადასახადებია გერმანულ სკოლებში და ვინ აფინასებს მათ საქმიანობას?**

"პირველი და მეორე ბუნდესლიგის სკოლებში წლიური გადასახადი 40-დან მაქსიმუმ 70 ევრომდეა. სკოლებს ძლიერი კომპანიები ასპონსორებენ და მათგან შემოსავლები აქვთ. თქვენ წარმოიდგინეთ, სკოლები საკმაოდ დიდ შემოსავლებს იღებენ სატელევიზიო და სარეკლამო კონტრაქტებიდან: ყოველ შაბათ-კვირას საბავშვო გუნდების თამაშებს ტელევიზიით აშუქებენ. ასე რომ, პირველი და მეორე ბუნდესლიგის სკოლებს არ უჭირთ, ყველას კარგი პირობები აქვთ.

სხვა დანარჩენ სკოლებშიც კარგი პირობებია, მოედნები, მწვრთნელები, კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურა – ეს ჩვეულებრივი ამბავია. გადასახადებიც დაახლოებით იგივეა, მაგრამ ბუნდესლიგის გუნდების მსგავსი შემოსავლები არ გააჩნიათ და მწვრთნელებიც შედარებით დაბალ ხელფასებს უხდიან. მაგრამ ეს შედარებით მცირე ხელფასებიც საკმაოდ მისაღებია და სხვებზე არანაკლებ მუშაობენ. ამას გარდა, არსებობენ პრივატსკოლები და ინტერნატები, სადაც, რა თქმა უნდა, გადასახადი მეტია.



მიხეილ კახიშვილი

ახალგაზრდა ქართველი სპეციალისტი ამბობს, რომ ქართულ საფეხბურთო სამყაროს გულგრილობას წააწყდა: *"ვინტერესდები საქართველოში მიმდინარე ამბებით. მაგრამ სულ პირობებზე მესმის ლაპარაკი. გერმანული გადასახედიდან ვხედავ, რომ ბევრი რამ არის შესაცვლელი. ყველა დეტალზე საუბარი რომ დავიწყოთ, დღეს ვერ მოვრჩებით. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ძალიან დიდი განსხვავებაა. ცხადია, სურვილი მაქვს, რომ ჩემი კავშირები საქართველოს მოვახმარო. რამდენიმე თვის წინათ, ფეხბურთის ფედერაციასთან და სპორტის სამინისტროსთან კავშირის დამყარება ვცადე – მსურდა, ქართველ მწვრთნელებს კიოლნის უნივერსიტეტში კვალიფიკაციის ამაღლებაში დავეხმარებოდი, რადგან ეს მსოფლიოში ცნობილი სასწავლებელია. აგრეთვე, ვფიქრობდი, ნაკრები გუნდების მომზადების დაგეგმვას, შეკრებაზე გამგზავრებასა და სპარინგების მოწყობაშიც ხელის შეწყობას. გარდა ამისა, ევროპაში ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა ქართველი სპეციალისტი მუშაობს, რომელთაც საქართველოში არ იცნობენ და მიმაჩნია, რომ მათ სამშობლოს დახმარება შეუძლიათ - წერილებში სწორედ ამაზე მივუთითებდი. მაგრამ დაინტერესება არ ყოფილა, არ დავმალავ და ძალიან გაოცებული დავრჩი".*

■ ■ ■

ჩვენი მხრივ დავძენდით, რომ 2011 წელს დიასპორის საკითხების ძველმა სახელმწიფო მინისტრმა და ფეხბურთის ფედერაციამ თანამშრომლობის ხელშეკრულება გააფორმეს, რომლის თანახმადაც უცხოეთში ქართველი მოთამაშეები და მწვრთნელები უნდა მოეძებნათ და ქვეყნის სამსახურში ჩაეყენებინათ. ანალოგიურ დოკუმენტს 2012 წლის ბოლოს უკვე სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან მოეწერა ხელი.

ცხადია, სურვილი დასაფასებელია და მუშაობაც მიდის – ყველაფერს ხაზს ნუ გადავუსვამთ. მაგრამ იმედია, ერთობლივი ძალებით უფრო მეტ ისეთ ადამიანს მოვძებნით, რომლებიც თავად ცდილობენ სამშობლოს სამსახურს. ვინ იცის, მათ შორის, რამდენი საინტერესო მოთამაშე და მწვრთნელია.

**მერაბ მამულაშვილი**

ფუტსალი



საქართველოს ნაკრები

# ნაკრები თუ არმია?

## ზურაბ ლუკავა პრეზიდენტის ბრძანებულებას ელოდება

"ლელოში" **შოთა ჭანუყვაძეს** ინტერვიუს დიდი რეზონანსი მოჰყვა. შეგახსენებთ, რომ საქართველოს ფუტსალის ნაკრების წევრმა ბევრი ახალგაზრდა სპორტსმენისთვის მტკივნეული საკითხი წამოჭრა: საქართველოს ფუტსალის ნაკრების 23 წლის ფეხბურთელს მალე ნაკრებთან ერთად ჰოლანდიაში ელიტ რაუნდის შეხვედრები ელის, მაგრამ სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის დრო დაუდგა და პრობლემაც მაშინ წარმოიქმნა.

ნაკრების ხელმძღვანელობა თითქმის გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა: ჯარში ნაკრების კიდევ ორი კანდიდატი - **ზურაბ ლუკავა** და **რატი ხოსრუაშვილი** გამოიძახეს. სამივე აუცილებლად უნდა გამოცხადებულიყო კომისარიატში. მათი ჯარიდან გათავისუფლება მხოლოდ პრეზიდენტს შეეძლო. ფუტსალის ასოციაციამ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიმართა, რომელმაც, თავის მხრივ, პრეზიდენტს შესაბამისი წერილი გაუგზავნა, მაგრამ ჭანუყვაძის თქმით, ოთხი თვე პასუხს უშედეგოდ ელოდნენ.

"ლელოში" გამოქვეყნებული ინტერვიუს შემდეგ ვითარება მკვეთრად შეიცვალა, თუმა ტელევიზიებმაც აიტაცეს და ყველაფერი სწრაფად მოგვარდა - **მიხეილ სააკაშვილის** ბრძანებით, შოთა ჭანუყვაძეს და რატი ხოსრუაშვილს სავალდებულო სამხედრო სამსახური ერთი წლით გადაუვადდათ.

რატომღაც, ზურაბ ლუკავა განზე დარჩა, მაგრამ ითქვა, რომ უახლოეს პერიოდში მისი საკითხიც დადებითად გადაწყდებოდა.

*"ლუკავას საბუთები სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ პრეზიდენტის აპარატს გადაუგზავნა. საქართველოს ფუტსალის ასოციაციას იმედი აქვს, რომ ამ შემთხვევაშიც, გადავადებაზე პასუხს დროულად მივიღებთ. ლუკავა ქართულ ფუტსალში ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული ახალგაზრდა მოთამაშეა და ეროვნულ ჩემპიონატში თსუ-ს ღირსებას იცავს. ავთანდილ ასათიანი მას სისტემატურად იძახებს ეროვნულ ნაკრებში და ელიტ რაუნდში მისი წაყვანა სურს. არადა, დრო აღარ ითმენს, ნაკრებს ჰოლანდიაში შეხვედრები მარტის ბოლოს უწევს, ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტში განაცხადია გასაგზავნი და დროულად უნდა ვიცოდეთ, შევძლებთ თუ არა ლუკავას წაყვანას"* – გვითხრა ფუტსალის ასოციაციის გენერალურმა მდივანმა **ბექა კვიციანმა**.

**მერაბ მამულაშვილი**

რეგიონი

# ქალთა დღე გოგონების ფეხბურთით აღნიშნეს

პარასკევს, ლანჩხუთში გაიმართა საფეხბურთო ტურნირი გოგონებს შორის, რომელიც ქალთა დღეს მიეძღვნა. ორ ჯგუფად განაწილებული 6 გუნდი (ლანჩხუთი, ქუთაისი, ლაგოდეხი, ქობულეთი, ზუგდიდი, ხაშური) დილიდანვე ფინალის საგზურს იმედო დუნდუასა და ანდრო ჟორდანიას სახელობის ხელოვნურსაფარიან მოედნებზე არკვევდა.

გადამწყვეტი შეხვედრა ლანჩხუთისა და ქუთაისის გუნდებს შორის იმერელთა უპირატესობით წარიმართა. დაძაბულ ბრძოლაში ბოლო წუთებამდე მასპინძლებმა სერიოზული წინააღმდეგობა გაწიეს, თუმცა ერთ წუთში 2 გოლი გაუშვეს და საბოლოოდ, 1:4 წააგეს. გამარჯვებულ გუნდს ახლო წარსულში ცნობილი მსაჯი **პაატა დოგრაშვილი** ავარჯიშებს. მისი გუნდი მთელი ტურნირის განმავლობაში მაღალ დონეზე ასპარეზობდა და მაყურებელთა დიდი სიმპათიაც დაიმსახურა.

გამარჯვებულებს და მეორე-მესამე ადგილზე გასულ გუნდებს სამახსოვრო თასები გადასცეს. დააჯილდოვეს საუკეთესო ფეხბურთელებიც. ტურნირის რჩეულ მეკარედ ხაშურელი **ლია გონგლაძე** აღიარეს, საუკეთესო მცველად — ლანჩხუთელი **ნინო ჩხარტიშვილი**, ნახევარმცველად — **ნანა გორგაძე** (ქუთაისი), თავდამსხმელად **ანა ჩემინავა** (ზუგდიდი). ტურნირის ბომბარდირი **ია ალელიშვილი** (ლანჩხუთი) გახდა 6 გოლით. ორგანიზატორ **დურმიშხან ჩხაიძის** სპეციალური პრიზები მის-ტურნირი გადაეცათ: ხაშურელ **მაია ნასყიდაშვილს**, ლაგოდეხელ **მარი კუპრენკოს** და ლანჩხუთელ **ნინო ჩხარტიშვილს.**

*„ბევრი ფიქრი არ დაგვჭირვებია, თუ როგორ მიგველოცა ქალბატონებისა და გოგონებისთვის დღევანდელი დღე და საფუძველი ჩავუყარეთ ასეთ კარგ ტურნირს. მოხარული ვართ, რომ ის წარმომადგენლობითი იყო და შორეული ქალაქებიდანაც გვსტუმრობდნენ"* — განაცხადა ლანჩხუთის საფეხბურთო სკოლის დირექტორმა, დურმიშხან ჩხაიძემ. შეჯიბრება სწორედ ამ სკოლის ეგიდით ჩატარდა.

უნდა ითქვას, რომ გურული ფეხბურთის ექსმესაჭე ჩხაიძე ორიგინალური იდეებით გამოირჩევა — ჯერ კიდევ წლების წინ, მან საფუძველი ჩაუყარა საბავშვო ბალებს შორის ტურნირს, რომელსაც უცხოური „პამპერს-ლიგის" გურული ვარიანტი — „შიბაქ-ლიგა" უწოდა. გამარჯვებულს სიმბოლური პრიზი გადაეცემა — დიდი ზომის შიბაქი.

**მათე გურული**
ლანჩხუთიდან



ტურნირის გამარჯვებული ქუთაისის გუნდი გახდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიუკასლი

# აქცენტი ევროპულ ასპარეზზე

„ნიუკასლმა“ ბოლო თვე-ნახევარში სატურნირო მდგომარეობა მკვეთრად გამოასწორა: 6-დან 4 თამაში მოიგო, აქედან სამჯერ საშინაო შეხვედრაში, ცხრილში სამი საფეხურით დაწინაურდა და გასავარდნ ზონას უკვე 9 ქულით დაშორდა. სამშვიდობოს თავის დაგულების შემდეგ **ალან პარდიუს** თქმით, მის გუნდს ახალი მიზანი აქვს - ევროპალიგაზე რაც შეიძლება შორს გავიდეს. 7 მარტს, ჯორდებმა „ანჟისთან“ გასვლაზე 0:0 ითამაშეს. რა საკვირველია, განმეორებით შეხვედრაში ეს მათ შანსებს ერთი ორად ზრდის. უქმეებზე „სტოკ სიტისთან“ 2:1-ის შემდეგ „კაჭკაჭების“ თავკაცმა ჟურნალისტების შეკითხვებს პრესკონფერენციაზე უპასუხა:



ნიუკასლის მთავარი მწვრთნელი ანჟისთან საპასუხო შეხვედრას მოუთმენლად ელის

- ევროპალიგაზე შესანიშნავი შანსი გვაქვს 1/4-ფინალში გასასვლელად. გულშემატკივრებს ესმით ეს სირთულე. ჩვენ ყოველი მათგანი დაგვჭირდება იმისთვის, რომ რამდენიმე დღეში „სენტ ჯეიმს პარკზე“ სასურველი ატმოსფერო შევქმნათ და მიზანს მივაღწიოთ. 14 მარტის საღამო მთელი ნიუკასლისთვის შეიძლება ისტორიული გამოდგეს. ჩემპიონატში „სტოკთან“ 3 ქულის აღება უმნიშვნელოვანესი მიღწევა იყო. ამის შემდეგ ჩვენ მთლიანად სხვა რეალობაში აღმოვჩნდით. იმისთვის, რომ ქვედა ლიგაში დაქვეითება თავიდან ავიცილოთ, დარჩენილ 9 შეხვედრაში 7 ქულა გვჭირდება, რასაც, დარწმუნებული ვარ, აუცილებლად მივაღწევთ. შეგვიძლია, სეზონის ფინიშზე ისევე ძლიერად ავთამაშდეთ, როგორც შარშან ეს „ევერტონმა“ გააკეთა. ზამთარში მოსული ფეხბურთელები ამაში ძალიან დაგვეხმარებიან.

ინციდენტი

# ფერდინანდსა და ფერგიუსონს დაუსჯელობის სინდრომი შეეყარათ?

„მანჩესტერ იუნაიტედის“ 34 წლის ცენტრალური მცველი **რიო ფერდინანდი** საფეხბურთო ასოციაციამ შესაძლოა „ჩელსისთან“ თასის 1/4-ფინალის 86-ე წუთზე მომხდარი ინციდენტისთვის მკაცრად დასაჯოს. ვეტერანმა **ფერნანდო ტორესს** არასათამაშო სიტუაციაში ხელი ჰკრა და ძირს დასცა, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ მერე ხელი გაუწოდა და წამოაყენა. დისციპლინარები აუცილებლად გაითვალისწინებენ იმ გარემოებასაც, რომ მატჩის შემდგომ რიომ თავისი საქციელის გამო ბოდიში მოიხადა. მომენტი **ჰოვარდ ვებისა** და მისი ასისტენტების ყურადღების მიღმა დარჩა.

კვირას „ოლდ ტრეფორდზე“ კიდევ ერთი უსიამოვნება მოხდა. პირველი ტაიმის ბოლო წუთებზე ტრავმის გამო შეცვლა დასჭირდა **ლუიშ ნანის. ალექს ფერგიუსონი** იმედოვნებდა, რომ პორტუგალიელს სერიოზული არაფერი სჭირდა. მისი წინათგრძნობა გამართლდა. 26 წლის გარემარბს მუხლის მყესები უმნიშვნელოდ აქვს დაჭიმული. ის ვარჯიშს უახლოეს დღეებში დაუბრუნდება და შაბათს „რედინგთან“ თამაშსაც შეძლებს.

## დეილი მეილის არცთუ რიტორიკული შეკითხვა

„დეილი მეილის“ ჟურნალისტებმა **ლორი უიტველმა** და **რიკ შარმამ** რიო ფერდინანდის გამოხტომას საინტერესო შეფასება მისცეს, რომელსაც აქვე მცირე შემოკლებით გთავაზობთ:

- „ოლდ ტრეფორდზე“ თასის შეხვედრაში საფეხბურთო სამყაროში სამართლიანობისთვის მებრძოლმა უფროსი ძმა რიო ფერდინანდმა მზაკვრობით გამოიჩინა თავი. მან ფერნანდო ტორესს ზურგში ხელი ჰკრა და ფეხი ქუსლში მისცხო, თუმცა მაშინვე ხელი გაუწოდა და წამოაყენა უდრტვინველი სახით, რომელზეც გაკვირვებულს ეწერა, ნეტა ეს რა მოხდაო. შესაძლოა, რიოს დაუსჯელობის სინდრომი შეეყარა. განსაკუთრებით ჩემპიონთა ლიგის ბოლო მატჩის შემდეგ, სადაც ის თურქ მსაჯს ცინიკურად ტაშს უკრავდა და შერჩა. შესაძლებელია, უმცროს ძმასთან დაკავშირებული ისტორიის შემდეგ მას რეალურად მოაკლდა ადრენალინი. რაც უნდა იყოს, როგორც ის მოიქცა ჩვეულებრივ სიტუაციაში, გვარწმუნებს, რომ მანკუნიანელს თავში უქრის.

როგორც გახსოვთ, მატჩის დასრულების შემდეგ კიდევ ერთი უცნაური და გაუგებარი ინციდენტი მოხდა. ამჯერად ალექს ფერგიუსონს პირი არ მოულია, მაგრამ მეტოქე გუნდის მთავარ მწვრთნელს „რაინდის ხელი“ არ გაუწოდა ჩამოსართმევად. უფრო თუ დავაზუსტებთ, მან არც მატჩამდე ინება ბენიტესთან მისალმება. „ჩელსის“ მთავარმა მწვრთნელმა განაცხადა: *„თამაშის დაწყებამდე მე მას ველოდი. საკმაოდ კარგად ვარ აღზრდილი, თანაც ვიცი, როცა თამაშს ხალხი უყურებს, როგორ უნდა მოვიქცე. თავად ფერგიუსონს ჰკითხეთ, რატომ არ მომესალმა, თუკი ეყო გამბედაობა გულწრფელი პასუხისთვის. ეს მისი გადაწყვეტილება იყო“.*

რისი თქმა შეიძლება ყოველივეს შემდეგ? მხოლოდ ერთის: ფერგიუსონის ზღვარს გადასული გამოხტომები შეკითხვებს უკვე აღარ ბადებს. ალბათ მხოლოდ ერთს, მიაქცევს თუ არა ამას ყურადღებას საფეხბურთო ასოციაცია.



ამბები



## მე დავამარცხებ დემონებს

გაზეთი „სანი“ აშშ-ში სამკურნალოდ მყოფ **პოლ გასკოინს** ესტუმრა, სადაც ის 11 თებერვლის შემდეგ ალკოჰოლზე დამოკიდებულებას მკურნალობს. გამოცემა ვარსკვლავის ჯანმრთელობის მდგომარეობით დაინტერესდა. ხსენებულ დღეს სასწრაფო დახმარების მანქანა მისმა მეზობელმა ქალბატონმა გამოიძახა, ვინც ადგილზე მისულ ექიმებს განუცხადა, რომ პოლმა 2 ლიტრი ჯინი და 15 ქილა ლუდი დალია. გაზას სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, მაგრამ ძვირად ღირებულმა მკურნალობამ (კვირაში 9 ათასი დოლარი), რომელსაც **უეინ რუნი, ალექს ფერგიუსონი, ჯონ ტერი, ჯეკ უილშირი, ფრენკ ლამპარდი სტივენ ჯერარდი** და **სხვები** აფინანსებენ, შედეგი გამოიღო. აი, რა უთხრა ჩვენს ალბიონელ კოლეგებს ჯერ კიდევ სარეაბილიტაციო ცენტრის პაციენტმა: *„კლინიკის ექიმები საწოლზე მაბამდნენ. ალკოჰოლმა ჩემი ცხოვრება თითქმის დაასრულა. ასე ცუდად ჯერ არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ მზად ვარ, განვაგრძო ბრძოლა, მზად ვარ, დავამარცხო დემონები. თანდათან უკეთ ვგრძნობ თავს და მივხვდი, რომ ძალიან არ მინდა მოვკვდე“.*

## წმინდანებს ძალადობა არ შერჩებათ

„დეილი მეილის“ ინფორმაციით, საფეხბურთო ასოციაციამ „ნორვიჩი“-“საუთჰემპტონის“ მატჩის დასრულების შემდეგ მომხდარ მოვლენებზე გამოძიება დაიწყო. მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში სტუმართა კარში 11-მეტრიანი დაინიშნა. **გრანტ ჰოლტს არტურ ბორუცმა** დარტყმა აულო, მაგრამ „წმინდანები“ ამან ვერ დააოკა. ისინი **მარკ კლატენბურგს** გარს შემოერტყნენ და საქმის გარჩევა დაუწყეს. საკუთარ ფეხბურთელებს აჰყვა **მაურისიო პოჩეტინოც**. გამოცემის მტკიცებით, თუკი შეხვედრის არბიტრს ოქმში ამ ინციდენტზე ჩანაწერი არ ექნება, ფეხბურთის მმართველი ორგანო საქმეს თავად გამოიკვლევს და მსაჯზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების მცდელობისთვის ყველას მკაცრ სანქციას დაუწესებს.

## ტოტენჰემი ნეგრედოს უმიზნებს

„ტოტენჰემს“ მომდევნო სეზონში ჩემპიონთა ლიგაში დაბრუნების შესანიშნავი შანსი აქვს. შესაბამისად, „დეზები“ შემადგენლობის სერიოზულად გაძლიერებაზე გეგმებს ადგენენ. ერთ-ერთი, ვის ხელში ჩაგდებასაც ჩრდილოლონდონელები გეგმავენ, „სევილიისა“ და ესპანეთის ნაკრების 27 წლის თავდამსხმელი **ალვარო ნეგრედოა**. ფეხბურთელს ანდალუსიურ კლუბთან ხელშეკრულება 2016 წლამდე აკავშირებს, მაგრამ პრიმერას წარმომადგენელი 20 მილიონ ევროდ ლიდერს დაუფიქრებლად შეელევა.

ინტერვიუ

# მიჩუ: უფრო მეტი, ვიდრე პლეიმეიკერი

**შარშან „რაიო ვალეკანო“ ესპანური პრიმერადან გავარდნას სასწაულით გადაურჩა, რაშიც 15 გოლით დიდი წვლილი შეიტანა მადრიდელთა ნახევარმცველმა მიგელ პერეს კუესტამ. ფეხბურთის გულშემატკივარი მას მიგელ მიჩუს სახელით უფრო იცნობს. „რაიომ“ 2012 წლის ზაფხულზე გუნდის ლიდერი 2,57 მილიონ ევროდ „სუონსის“ მიჰყიდა. ტანმაღალი (190 სმ) ფეხბურთელი პრემიერლიგაში თავდასხმაში გადაიყვანეს. მან მოლოდინი 100%-ით გაამართლა. მიმდინარე სეზონში 26 წლის უნივერსალმა ყველა ტურნირში ერთად 35 თამაშში 19 გოლი გაიტანა და 5 საგოლე გადაცემა შეასრულა. გთავაზობთ მცირე ინტერვიუს „გედების“ უმთავრეს ვარსკვლავთან.**

**- თუკი ვან პერსი ან მესი გქვია, მთელი მსოფლიო ყურადღებით გადევნებს თვალს. ვინ არის მიჩუ?**

- ინგლისში თავიდან არავინ მიცნობდა და მცველები მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ მაქცევდნენ, რაც ხელს მიწყობდა. ახლა კი სულ უფრო ცოტა თავისუფალ სივრცეს ვპოულობ. როგორც ისინი აკეთებენ, ჩემს მომავალ მეტოქეებს თავადაც ვსწავლობ, განსაკუთრებით მეკარეებს, მათი გადაადგილების მანერას.

**- როგორც ჩანს, მეტოქეთა „ზრუნვის“ ობიექტი რომ ხდებით, ეს გარემოება ოდნავადაც არ გაშინებთ.**

- „სუონსიში“ ფეხზე მყარად დავდექი. ზოგადად ინგლისურ ფეხბურთში მეტი ფიზიკური ძალაა საჭირო, თუმცა, ვფიქრობ, რომ ეს მხოლოდ დადებითად აისახება ჩემს თამაშზე.

**- მიკაელ ლაუდრუპს უყვარს გადანაცვლებები შემადგენლობაში. თქვენ ხან სუფთა თავდამსხმელად თამაშობთ, ხან შეტევის სიღრმეში იწევთ. უპირატესობას რომელ პოზიციას ანიჭებთ?**

- თუკი გამუდმებით ვმოძრაობ, მცველები ყოველთვის ვერ ახერხებენ ჩემთან გამკლავებას და, შესაბამისად, მეტი მომენტი მექმნება. ყოველი ასეთი თამაშის შემდეგ გადაქანცული ვარ ხოლმე. ჩემი უმთავრესი პლუსი შეტევის მეორე ხაზში ასპარეზობაა. მირჩევნია, ათი ნომრის პოზიციაზე ვითამაშო, რადგან ასე უფრო მიადვილდება თავისუფალი ზონების მონახვა. შემიძლია, გუნდს შევთავაზო უფრო მეტი, ვიდრე უბრალო პლეიმეიკერობა, რადგან ჩემი პოზიცია მეტოქის კართან უფრო ახლოს არის. მესმის, რატომაც მანდობენ ცენტრფორვარდის ადგილს. მზად ვარ, იქამდე ვითამაშო, სანამ მწვრთნელი ამას მავალებს, მაგრამ უფრო მეტად მაინც უკან დახეულს მირჩევნია თამაში.

**- ლაუდრუპი და მისი გავლენა გუნდზე. რას იტყვით?**

- მისი თამაშის კოპირება შეუძლებელია, მაგრამ რაღაც დონეზე მისი მიბაძვა მაინც შეიძლება. დროდადრო ის ჩვენთან ერთად ვარჯიშობს. შეიძლება ხანდახან ბურთი ისე წაგართვას, რომ ვერც ვერაფერს მიხვდე. თუკი მის გუნდში ხარ, იოლი არც მაშინ არის. მიკაელს შეუძლია მოვლენათა განვითარება ისე გათვალოს, რომ შენ ეს გაგიჭირდება. ის უბრალოდ კი არ ერთობა, გვასწავლის, როგორ შეიძლება თამაშის გაუმჯობესება.



მიგელ მიჩუ სუონსიში პროფესიული თვალსაზრისით საკმაოდ გაიზარა

მანჩესტერ სიტი

# საკონტრაქტო საკითხები



„მანჩესტერ სიტის“ 32 წლის საყრდენ ნახევარმცველ **გარეთ ბერის** კლუბთან ხელშეკრულება 2014 წლის ზაფხულზე უმთავრდება, მაგრამ ის „ეტიჰადიდან“ წასვლას არ აპირებს. ვეტერანს თანამშრომლობის გაგრძელების იმედი აქვს. ცხადია, მას ესმის, რომ ამ შემთხვევაში შემცირებულ ანაზღაურებაზე მოუწევს დათანხმება. ამჟამად ის კვირაში 130 000 ფუნტს იღებს. *„კარიერის ბოლო წლები მინდა ისეთ კლუბში გავატარო, სადაც ტიტულებისთვის ბრძოლის შანსი მექნება. „სიტიში“ კი თავს შესანიშნავად ვგრძნობ. პატივს ვცემ კლუბის ხელმძღვანელობას. მესმის, რომ მას არცთუ ისე მარტივი გადაწყვეტილებები აქვს მისაღები - ვინ დატოვოს გუნდში და ვის დაემშვიდობოს. იმისთვის, რომ გუნდისთვის ჩემი საჭიროება დავამტკიცო, თავაუღებელი მუშაობა მომიწევს,“* – ამბობს ფეხბურთელი. გარეთ ბერის გარდა 2014 წლის ივნისში ხელშეკრულებები უმთავრდებათ: **ჯოლეონ ლესკოტს, მაიკონსა** და **კარლოს ტევესს**. ამ ოთხეულიდან, „დეილი მეილის“ მტკიცებით, ერთის ბედი უკვე გადაწყვეტილია. 31 წლის ბრაზილიელი დუგლას მაიკონი „სიტის“ დატოვებს და კარიერას იტალიის ან ესპანეთის რომელიმე გუნდში გააგრძელებს. კლუბი მას 5 მილიონ ფუნტად აფასებს.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

## უცხოური ფეხბურთი

გერმანია. ბუნდესლიგა. XXV ტურის შეჯამება

# დერბიც ვნახეთ! რაღა დარჩა?!

## ვინ გავა ჩემპიონთა ლიგაში და ვინ გავარდება ფიურტთან ერთად?

**არ გვინდა** ვიფიქროთ, რომ რურის დიდი დერბი ბუნდესლიგა 2012/2013-ის უკანასკნელი გამონათება იყო - არადა, საქმეს სწორედ ასეთი პირი უჩანს, რადგან „ბაიერნი" უკვე 20 ქულითაა დაწინაურებული, გერმანიის ჩემპიონატმა საჩემპიონო ინტრიგასთან ერთად, უკვე დერბთა დერბიც უკან მოიტოვა. 25-ე ტურში კიდევ იყო რალაც-რალაცები...



ივიცა ოლიჩის მაკრატელა

### შეფერი, როგორც პიპლიცა

გახსოვთ „კოტბუსის" მეკარე **ტომისლავ პიპლიცა**? ამ ტიპს მთელი საფეხბურთო გერმანია (და არა მარტო გერმანია) წლების მანძილზე დასცინოდა, რადგან „პიპის" ზედმეტად ხშირად მოსდიოდა კურიოზული შეცდომები. პარასკევს, „ნიურნბერგის" მეკარე **რაფაელ შეფერს** სწორედ „პიპლიცა დაემართა", როცა ერთი შეხედვით მყარად დაფიქსირებული ბურთი რალაცნაირად ფეხებშუა გაიტარა. ამ სცენას თვით აუგსბურგელი **ტობიას ვერნერიც** დიდხანს აკვირდებოდა, რადგან უჭირდა იმის დაჯერება, რომ მისი თავური დარტყმის შემდეგ ბურთი მართლაც შეფერის კარში ალმოჩნდა. თუმცა ეს მატჩი ნიურნბერგელებმა საბოლოოდ 2:1 მოიგეს, რაც იმას ნიშნავს, რომ შეფერი ამ შეცდომას ყოველთვის იუმორით გაიხსენებს ხოლმე.

### მაგათის მიყვანილი ვიეირინია

რაც არ უნდა არაადეკვატურად ჟღერდეს, მოვიდა დრო, რომ **ფელიქს მაგათი** შევაქოთ, რადგან იმ „4 244 ფეხბურთელს" შორის, რომლებიც „დესპოტმა ფელიქსმა" „ვოლფსბურგში" მიიყვანა, ან გამოსცადა, **ვიეირინია** მართლა საჭირო კაცი ჩანს. პორტუგალიელი „მგლების" ძირითად შემადგენლობაში სტაბილურად ხვდება, „ფრაიბურგთან" კი სულაც თვის საუკეთესო გოლი გაიტანა - ბურთი ხარიხის ქვეშ ერთი შეხებით ჩააჭედა.

### მაგათის მიყვანილი ოლიჩი

თუმცა უმუშევრად დარჩენილი მაგათის ქება მარტო ვიეირინიას გამო არ დაგვიწყია. საქმე საქმეზე რომ მიდგეს, „ვოლფსბურგში" **ივიცა ოლიჩიც** ფელიქსმა მიიყვანა! „ფრაიბურგთან" 5:2-ზე მოგებულ მატჩში ხორვატმაც დაამტკიცა, რომ მარტო ბრძოლა და სირბილი კი არა, გოლების გატანაც შეუძლია. გაგიკვირდებათ და ოლიჩმა „ფრაის" მაკრატელა შეუგდო! მოკლედ, იმის თქმა გვინდა, რომ გერმანიაში მაგათს ახლა მხოლოდ ნეგატიურ კონტექსტში ახსენებენ ხოლმე, რაც ნამდვილად არაა სამართლიანი საქციელი. როგორც ჩანს, ვოლფსბურგელებმა დასაფასებელი კაცის დაფასება არ იციან, თორემ, „ფოლკსვაგენის" რომელიმე მოდელისთვის „ფელიქსის" დარქმევაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, აქამდე მაგათს ქალაქის ცენტრში ბიუსტს მაინც დაუდგამდნენ...

### ფორტუნას კაპიტანი

ბუნდესლიგის 25-ე ტურის შემდეგ ქებას დიუსელდორფელები, უფრო სწორად, მათი კაპიტანი **ანდრეას ლამბერტციც** იმსახურებს. ძირძველმა „ფორტუნელმა" შაბათს ბუნდესლიგაში პირველი გოლი გაიტანა და სად? მიუნხენში! „ბაიერნთან"! მანუელ ნოიერის კარში! ამის მოხერხება კი წელს განსაკუთრებით ძნელია (იხილეთ „ბაიერნის" კარში გატანილი გოლების რაოდენობა).

### შალკეს ახალი იმედი

„შალკეს" ახალგაზრდა ვარსკვლავ **იულიან დრაქსლერის** ვარცხნილობაზე კამათი შეიძლება და გელზენკირხენში ეს ამ დღეებში განხილვის თემა იყო, საბოლოოდ კი ყველა შეთანხმდა იმაზე, რომ „დრაქსის" არ უხდება მოკლედ შეჭრილი თმა იმ დროს, როცა ზემოთ გრძელ თმას იტოვებს, მაგრამ „აუფ შალკეს" პუბლიკამ მას ეს უკვე აპატია, რადგან იულიანმა რურის დიდ დერბიში იდეალურად ითამაშა და ყველა ექსპერტისგან საუკეთესო შეფასებები დაიმსახურა. დრაქსლერი გაჭირვებულ გელზენკირხენელთა ახალი იმედია.

### აინტრახტის ეფექტი ქრება

მოსალოდნელიც იყო, რომ „აინტრახტი" სეზონის ბოლომდე საუკეთესო ოთხეულში ვერ გაძლებდა და ფრანკფურტელებს საამაყოდ ისიც ეყოფათ, ელიტაში ახალაღზევებული გუნდის რანგში ამდენხანს რომ გაძლეს იქ, სადაც მათი ადგილი არ იყო. ახლა კი, **არმინ ფეჰს** გუნდს უკვე კარგა ხანია, არათუ არ მოუგია, გოლიც ვერ გააქვს და მთავარი ფეე რეგრესს მაინც იუმორით უდგება - ოღონდ, გერმანული იუმორით. „ჰანოვერთან" (0:0) **ალექს მაიერს** გოლი არ ჩაუთვალეს, რადგან თამაშგარიდან შეაგდო, მაგრამ ფეემ თქვა, უგოლო სერია აღარ მიხსენოთ, ალექსმა ხომ გაიტანაო.

### არტიომ რუდნევსი

დროა, ლატვიელი **არტიომ რუდნევსიც** ვაღიაროთ! მიუხედავად იმისა, რომ გოლები გაჰქონდა, ბუნდესლიგაში მას დიდ მომავალს არავინ უწინასწარმეტყველებდა და 25-ე ტურამდე სერიოზულ გოლეადორად არავინ აღიქვამდა. ახლა კი, „შტუტგარტთან" გატანილი გოლის შემდეგ, რომლის წყალობითაც „ჰამბურგმა" „მერსედეს ბენც არენაზე" 1:0 მოიგო, საფეხბურთო გერმანიამ ბოლოს და ბოლოს დაასკვნა, რომ „რუდი" ძლევამოსილი ცენტრფორვარდია.

### ტობიას ვაისი

კიდევ კარგი, რომ „ჰოფენჰაიმის" ხელმძღვანელებმა **ტიმ ვიზესთან** ერთად მოყვარულთა გუნდში **ტობიას ვაისიც** არ გადაისროლეს (არადა, აპირებდნენ!), რადგან ამ უკანასკნელმა „ფიურტთან" სასიცოცხლო მნიშვნელობის მატჩში ისე ითამაშა, როგორც ძველ კარგ დროში, როცა „ჰოფენჰაიმი" ერთი ხანობა ბუნდესლიგის ცხრილში პირველ ადგილზეც კი იყო. ვაისმა საგოლე პასიც გააკეთა და თვითონაც გაიტანა - „ფიურტი" ფაქტობრივად საბოლოოდ გაწირა მეორე ბუნდესლიგისთვის, თავისიანებს კი გადარჩენის რეალური შანსი გაუჩინა.

### ბაიერნში კომუნიკაციის პრობლემაა?

„ბაიერნმა" „დორტმუნდთან" უპირატესობა 20 ქულამდე გაზარდა და ჩემპიონობას მალე ოფიციალურადაც განაღდებს, მაგრამ არც რეკორდმაისტერია აბსოლუტურად უპრობლემო. რამდენიმე დღის წინ მიუნხენური გრანდის ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ იუპ ჰაინკესს** ზაფხულიდან დირექტორატში დასაქმება შესთავაზა, რაზეც კვირას იუპისგან მტკიცე უარი მიიღო - ჰაინკესმა თქვა, უმჯობესი იქნებოდა, რომ რუმენიგეს ჯერ ჩემთვის ეკითხა, მინდა თუ არა დირექტორატში შესვლაო. ამ მოვლენაზე გუშინ კომენტარი რეკორდმაისტერის ყოფილმა მწვრთნელმა **ოტმარ ჰიტცფელდმაც** გააკეთა და თქვა, ეს იმის დასტურია, რომ „ბაიერნში" კომუნიკაცია ისევ არ ვარგაო. შეგახსენებთ, რომ თავის დროზე ოტმარიც გაუნაწყენდა რუმენიგეს იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა უეფას თასზე „ბოლტონთან" დაფიქსირებული 2:2-ის შემდეგ, რომელშიც ჰიტცფელდმა როტაციას მიმართა, ოტმარი მკვახედ გააკრიტიკა - ფეხბურთი მათემატიკა არ არისო. ამ განცხადებას ქვეტექსტი ჰქონდა, რადგან ჰიტცფელდის პირველი პროფესია მათემატიკოსია.

რაც შეეხება ჰაინკესის შემთხვევას: პრეზიდენტ **ული ჰიონესის** განცხადებას გაგახსენებთ - ულიმ ამას წინათ თქვა, ჰაინკესი კიდევ ერთი წლით სიამოვნებით დარჩებოდა და მადლობა მას, რომ გვარდიოლას მოყვანას ასე მშვიდად ხვდებაო. როგორც ხედავთ, არც ისე მშვიდად - „დონ იუპმა" არ მიიღო დირექტორატში ფსევდო პოსტის სამადლო შეთავაზება.

### საუკეთესო ფეხბურთელები

XXV ტურის შემდეგ, „კიკერის" შეფასებების მიხედვით

| ფეხბურთელი | კლუბი | შეფასება | ს/შ |
|---|---|---|---|
| 1. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 20 | 2.20 |
| 2. კევინ ტრაპი | აინტრახტი | 25 | 2.30 |
| 3. მარიო გიოტცე | დორტმუნდი | 23 | 2.45 |
| 4. რენე ადლერი | ჰამბურგი | 24 | 2.65 |
| 5. თომას მიულერი | ბაიერნი | 22 | 2.76 |
| 6. ტონი კროოსი | ბაიერნი | 23 | 2.82 |
| 7. ფილიპ ლამი | ბაიერნი | 25 | 2.83 |
| 8. რომან ვაიდენფელერი | დორტმუნდი | 24 | 2.83 |
| 9. ფაბიან გიფერი | ფორტუნა | 25 | 2.84 |
| 10. შტეფან კისლინგი | ლევერკუზენი | 25 | 2.84 |

### გოლს პლუს პასის რეიტინგი

| ფეხბურთელი | კლუბი | თამაში | გოლი | პასი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. შტეფან კისლინგი | ლევერკუზენი | 25 | 16 | 9 | 25 |
| 2. რობერტ ლევანდოვსკი | დორტმუნდი | 22 | 17 | 6 | 23 |
| 3. თომას მიულერი | ბაიერნი | 22 | 12 | 11 | 23 |
| 4. საბოლჩ ჰუსტი | ჰანოვერი | 21 | 9 | 11 | 20 |
| 5. მარკო როისი | დორტმუნდი | 25 | 11 | 8 | 19 |
| 6. მარიო გიოტცე | დორტმუნდი | 23 | 8 | 9 | 17 |
| 7. მარიო მანჯუკიჩი | ბაიერნი | 21 | 15 | 2 | 17 |
| 8. იაკუბ ბლაშჩიკოვსკი | დორტმუნდი | 20 | 9 | 7 | 16 |
| 9. ნილს პეტერსენი | ვერდერი | 25 | 11 | 5 | 16 |
| 10. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 20 | 6 | 10 | 16 |

### XXV ტურის გმირი
## ივიცა ოლიჩი (ვოლფსბურგი)



ულამაზესი მაკრატელა-გოლის შემდეგ 33 წლის **ივიცა ოლიჩი** ყვებოდა, ზურგზე დაცემის შემდეგ ხუთი წუთის განმავლობაში სუნთქვა მიჭირდაო. გოლი კი ვეტერან ხორვატს, რომელიც ყოველთვის მშრომელი ფეხბურთელი უფრო იყო, ვიდრე ხელოვანი, მართლაც არანორმალურად მომხიბვლელი გამოუვიდა. თუმცა ოლიჩს მხოლოდ ამიტომ როდი ვასახელებთ ტურის გმირად - ივიცამ ტრადიციულად ბევრი იშრომა და მეორე გოლიც გაიტანა, რაც იმას ნიშნავს, რომ ბუნდესლიგაში მერვე დუბლი შეასრულა („ჰამბურგში" ხუთი დუბლი ჰქონდა შესრულებული, „ბაიერნში" - ორი). ასეთი თამაშითა და შედეგიანობით ოლიჩმა დაამტკიცა, რომ „ვოლფსბურგს" ჯერ კიდევ არგია, რაშიც ბოლო დროს ყველას ეჭვი ეპარებოდა.

### ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით




ბაიერნი

# რიბერი დაშავდა!
## არსენალთან რობენი ითამაშებს



ფრანკ რიბერიმ ტრავმა „ფორტუნასთან" მატჩში მიიღო

**ფრანკ რიბერი** კარიერის ერთ-ერთ საუკეთესო სეზონს ატარებს, რასაც ის ფაქტიც ადასტურებს, რომ „კიკერის" შეფასებების მიხედვით ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონის საუკეთესო ფეხბურთელია. შაბათს, დიუსელდორფის „ფორტუნასთან" მატჩში „ბაიერნის" ფრანგი დრიბლიორი დაშავდა და გუშინ საბოლოოდ დადასტურდა, რომ ხვალ, მიუნხენურ გრანდს ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის საპასუხო მატჩში (არსენალთან) ვერ დაეხმარება.

თუმცა 29 წლის რიბერის არყოფნა „ბაიერნისთვის" სერიოზულ დანაკლისად არ უნდა აღვიქვათ, რადგან მიუნხენელებს **არიენ რობენი** გამოუჯანმრთელდათ და „არსენალთან" ფრანგს სწორედ ჰოლანდიელი შეცვლის. ესეც რომ არ იყოს, ბავარიელებს ლონდონში 3:1 აქვთ მოგებული და ცალი ფეხით მეოთხედფინალში არიან.

აქვე გეტყვით, რომ ხვალ მიუნხენელთა რიგებში ვერ ვნახავთ **ჟერომ ბოატენგსა და ბასტიან შვაინშტაიგერსაც. იუპ ჰაინკესი** ამ უკანასკნელის ნაცვლად, **ხავი მარტინესის** გვერდით, სავარაუდოდ, ბრაზილიელ **ლუის გუსტავოს** გაამწესებს.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

● სერია A XXVIII ტურის მიმოხილვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იტალია შეთანხმდა: სკუდეტო იუვესია

## ახალი ფავორიტები სამეულისთვის ბრძოლაში

**ტური ორი მეტად საინტერესო მატჩით დასრულდა და რადგან ორივე კვირას გვიან ღამით გაიმართა, მიმოხილვაში მათზე არაფერი გვითქვამს. „ფიორენტინას“ რომში გამარჯვება დიდ სენსაციად ნამდვილად ვერ ჩაითვლება და არც ამ „ინტერის“ საშინაო მარცხია საოცრებათა კატეგორიიდან, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ სტუმართა გამარჯვებები მაინც ნაკლებად სავარაუდო იყო.**

ევროპალიგაზე „ტოტენჰემთან“ განადგურების შემდეგ, „ინტერს“ სარეაბილიტაციოდ ჰქონდა საქმე, მაგრამ მილანელებს არაფერი გამოუვიდათ. თანაც, ეს არ ყოფილა ის შემთხვევა, როდესაც სტუმარი გუნდი მთელი შემადგენლობით დაცვაში დგას და კონტრშეტევაზე ხეირობს. „ბოლონიამ“ პრაქტიკულად ყველა კომპონენტში დაჯაბნა მეტოქე და უფრო დიდი ანგარიშითაც მართებდა მოგება. ჯერ კიდევ პირველ ტაიმში, სტუმრებს 3-4-ჯერ მაინც შეეძლოთ გატანა, მაგრამ მიზანს მხოლოდ მეორე ნახევარში უწიეს და ისიც ერთხელ. გოლი **ალბერტო ჯილარდინომ** შეაგდო, რომელმაც რამდენიმესვლიანი კომბინაცია დააგვირგვინა.

„ინტერმა“ უსახურად ითამაშა და კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ გუნდს მძიმე დროება უდგას. რაც მთავარია, კრიზისის დაძლევის გზებიც არ ჩანს და თითქოს, **ანდრეა სტრამაჩონისაც** გაექცა სადავეები ხელიდან.

„ფიორენტინამ“ კიდევ ერთი მატჩი ჩაატარა მაღალ დონეზე და რაც მთავარია, გასვლაზე... დიახ, ფლორენციელებს სტუმრად უჭირდათ თამაში და რომაულ მოგებას **ვინჩენცო მონტელამ** განსაკუთრებული ფასი დაადო. ტოსკანელთა მწვრთნელმა შეგირდები ქებით ცაში აიყვანა და დასძინა, რომ ასეთ „ვიოლას“ ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება ნამდვილად შეუძლია. გოლები ბალკანელებმა გაიტანეს: **სტევან იოვეტიჩმა** საშუალოზე შორი დისტანციიდან უზუსტესად დაარტყა, **ადემ ლიაიჩმა** კი საჯარიმო დარტყმა გამოიყენა და „ლაციოს“ საქმე მოუმთავრა. ბრავო „ვიოლა“, მონტელას ხელში ფლორენციული გუნდი აშკარად პროგრესირებს და ნუ დაგვავიწყდება, რომ მალე ვინჩენცოს განკარგულებაში **ჯუზეპე როსიც** იქნება.


ანტონიო კონტეს თქმით, სკუდეტომდე ჯერ შორია

### სკუდეტო

ნაადრევი დასკვნების გამოტანა არაა კარგი ამბავი, მაგრამ ფაქტია, რომ XXVIII ტურის შემდეგ, საფეხბურთო იტალია ერთხმად შეთანხმდა: სკუდეტოს „იუვენტუსი“ მოიგებს!

ძნელია ამ მოსაზრებას არ დაეთანხმო, რადგან ტურინული გრანდი უახლოეს მდევარს მთელი ცხრა ქულით უსწრებს და თანაც, **ვალტერ მაცარის** „ნაპოლის“ ჩავარდნა აქვს და რბილად რომ ვთქვათ, ვერაა საჩემპიონოდ შემართული. სამხრეთელები სტაბილურად კარგავენ ქულებს, განსაკუთრებით კი გასვლით შეხვედრებში და მათ გარდასახვასაც ბევრი არაფერი მოასწავებს. ეგ კი არა, აპენინებზე უკვე აქტიურად საუბრობენ, რომ „ნაპოლის“ არა მარტო „მილანი“ ჩამოაჩოჩებს მესამე ადგილზე, შეიძლება სამხრეთელები სულაც ჩემპიონთა ლიგის საგზურის გარეშე დატოვონ. პრინციპში, თუ მაცარიმ და კომპანიამ ასე გააგრძელეს, ეს გარდაუვალი იქნება. ჩემპიონთა ლიგაზე ქვემოთ ვიტყვით, იქამდე კი „იუვენტუსის“ თავკაცს, **ანტონიო კონტეს** მოვუსმინოთ:

*„ურთულესი ბრძოლა გადავიტანეთ, რადგან მეტოქე კარგად იცავდა თავს და კონტრშეტევებზე პრობლემებს გვიქმნიდა. მოგება გვჭირდებოდა და საბედნიეროდ, სამი ქულა ჩავიწერეთ აქტივში. სკუდეტოზე ლაპარაკი ჯერ ადრეა, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ დიდი ნაბიჯი გადავდგით წინ. სეზონი ფავორიტის სტატუსით დავიწყეთ, რაც ორმაგი ტვირთია - ვამაყობ შეგირდებით, რომლებსაც მოტივაციასთან დაკავშირებული პრობლემები არასდროს შექმნიათ. არადა, ისინი ჩემპიონები არიან და ამის საფრთხე ყოველთვის არსებობს“.*

„კატანიას“ ერთადერთი და გამარჯვების გოლი **ემანუელე ჯაკერინიმ** გაუტანა, რომელმაც გადაწყვიტა, რომ სეზონის გმირი გახდა: *„საოცარი მატჩი იყო, რომელიც დიდხანს მემახსოვრება. მეტოქე ბოლო წუთზე გავტეხეთ და საბედნიეროდ, შედეგიანად მე დავარტყი. იმედია, ეს გოლი გადამწყვეტი აღმოჩნდება და სკუდეტოს ჩვენ მოვიგებთ. ბევრს მიაჩნია, რომ „კატანიას“ დამარცხებით „იუვემ“ სკუდეტო მოიპოვა, რაც სიამაყით მავსებს“.*

### ჩემპიონთა ლიგა

სულ ახლო წარსულში, „იუვენტუსთან“ ერთად, ჩემპიონთა ლიგის საგზურის ეჭვგარეშე მოპოვებას „ნაპოლის“ უწინასწარმეტყველებდნენ, დღეს კი ანალოგიური პროგნოზები „მილანთან“ მიმართებაში კეთდება. ლომბარდიული გრანდი „კუდზე დააჯდა“ მაცარის გუნდს და თუ ბოლო ტენდენციებით ვიმსჯელებთ, მალე გადაასწრებს კიდეც. ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ ნეაპოლელებს ბევრი კიდევ უფრო დაქვეითებას უწინასწარმეტყველებს და სამეულში ან „ფიორენტინას“, ან „ლაციოს“ შეძრომას ვარაუდობს. უფრო ნაკლებად ფასობს „ინტერის“ შანსები, რომლის ჩავარდნა ბევრად უფრო ღრმა ჩანს, ვიდრე თუნდაც „ნაპოლის“. „ბოლონიასთან“ მატჩის შემდეგ, ანდრეა სტრამაჩონის დანა პირს არ უხსნიდა, სხვა მწვრთნელებმა კი ჩემპიონთა ლიგის საგზურის შესახებ მოკლე კომენტარები გააკეთეს...

**მასიმილიანო ალეგრი (მილანი):** *„ჩვენი მიზანი ჩემპიონთა ლიგის საგზურია და თუ საკვალიფიკაციო ეტაპს ავცდებით, ძალიან კარგი იქნება. ამისთვის მეორე ადგილზე გადასვლაა საჭირო, რაც ნამდვილად ხელგვეწიფება. ბევრმა უკვე მოგვილოცა ლიგის საგზური, რაც არასწორია - მოდუნება დამღუპველი იქნება და ეს ჩემს შეირდებს კარგად ესმით“.*

**ვინჩენცო მონტელა (ფიორენტინა):** *„ასეთ „ვიოლას“ ნამდვილად შეუძლია ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება. „ლაციოს“ მისსავე მოედანზე დამარცხება ადვილი არაა, ჩვენ კი ეს შევძელით. სტაბილურობა გვჭირდება და თუ ამ მხრივ ყველაფერი დალაგდა, სამეულში აუცილებლად შევაბიჯებთ“.*

**ვლადიმირ პეტკოვიჩი (ლაციო):** *„ტროფეი თუ ჩემპიონთა ლიგის საგზური? - ტროფეები მაინც გეთქვათ, ჩვენ ხომ იტალიის თასის ფინალში ვართ გასული და ევროპის ლიგაზეც ვაგრძელებთ ასპარეზობას... ასეთი არჩევანი ჩემთვის მიუღებელია, რადგან გუნდმა ყველა ფრონტზე თანაბარი წარმატებით უნდა ითამაშოს. თუმცა, ვაღიარებ, რომ ხშირად ეს უბრალოდ შეუძლებელია. ტროფეები და ჩემპიონთა ლიგის საგზური - ეს სეზონის ფანტასტიკური დასასრული იქნებოდა“.*

■ ■ ■

„ჯენოას“ ფეხბურთელები „მილანთან“ პაექრობისას უხეშობით გამოირჩნენ და შედეგად, ლომბარდიულ გრანდს ერთბაშად რამდენიმე მოთამაშე დაუშავეს. ჯამპაოლო პაცინის „ბარსელონასთან“ თამაში გამორიცხულია, **ფილიპ მექსეს** ასპარეზობა კი კითხვის ნიშნის ქვეშაა. გენუელებმა **მარიო ბალოტელისაც** კარგად ურტყეს ფეხებში, ერთ ეპიზოდში კი **ჩეზარე ბოვომ კევინ კონსტანტს** ისე უთავაზა, რომ ეს წყნარი კაცი წყობიდან გამოიყვანა - კევინი მეტოქეს გაექაჩა და წითელი ბარათიც მიიღო. იტალიაში ხუმრობენ, რომ „ჯენოას“ ფეხბურთელები უხეშობაზე „ბარსელონას“ მესვეურებმა დაგეშეს და ხუმრობით იმასაც ამბობენ, რომ პრემიის სახით ყველაზე მეტი თანხა **დანელე პორტანოვამ** და ჩეზარე ბოვომ მიიღეს...

■ ■ ■

ჰეთთრიკი სერია A-ში იშვიათი ამბავია, გასულ უქმეებზე კი სამი გოლი ერთბაშად ორმა ფეხბურთელმა გაიტანა. სარდინიელმა **ვიქტორ იბარბომ** „სამპდორია“ დაცხრილა, პარმეზანელმა **კარვალიო ამაურიმ** კი „ტორინო“. აღსანიშნავია, რომ ორივესთვის ეს პირველი ჰეთთრიკი იყო იტალიის ჩემპიონატში.

„პარმა“-“ტორინოს“ შემდეგ, კარვალიო ამაური ემილიურ გუნდს სიყვარულში გამოუტყდა და შემდეგი განაცხადა: *„მე შემეძლო „ჰოფენჰაიმში“ გადასვლა, მაგრამ „პარმა“ სიგიჟემდე მიყვარს და დღეს იქ ვარ, სადაც უნდა ვიყო“.*

■ ■ ■

გასულ უქმეებზე, გადარჩენისთვის მებრძოლი გუნდები: „პალერმო“ და „სიენა“ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. სიცილიელთა ძველ-ახალმა თავკაცმა **ჯამპიერო გასპერინიმ** მატჩის წინ განაცხადა, რომ დამარცხებული გუნდი დაკარგავდა ელიტაში ადგილის შენარჩუნების შანსს. ტოსკანელებმა სტუმრად სძლიეს სიცილიელებს და მატჩის შემდეგ, ჟურნალისტებმა გასპერინის მისივე ფრაზა შეახსენეს - აქვე ჯამპიეროს პასუხი: *„მე რატომ მეკითხებით? - ხვალ, გუნდის მწვრთნელი ალბათ ალბერტო მალეზანი იქნება და იმან იმტვრიოს თავი“.*

ეს პასუხი, წესით, კლუბის პრეზიდენტს, **მაურიციო ძამპარინის** არ უნდა მოსწონებოდა, თუმცა ფაქტია, რომ გასპერინი ჯერ კიდევ თავის ადგილზეა. თუმცა, პრესის ვარაუდით, ჯამპიეროს მალე მოუწევს პოსტის დატოვება და მას არა მალეზანი, არამედ **ჯუზეპე სანინო** შეცვლის, რომელიც სეზონის სტარტზე ედგა „პალერმოს“ სათავეში.

■ ■ ■

ჯამპაოლო პაცინიმ მხოლოდ 25 წუთი ითამაშა „ჯენოასთან“ და ამ მოკლე დროში, გუნდს უდიდესი სარგებელი მოუტანა. მის მიერ გატანილი ბურთი აპენინებზე დღემდე ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემაა, რადგან გატანისას პაცო უკვე შესაცვლელად იყო გამზადებული... დაშავებული ჯამპაოლო კოჭლობით დადიოდა მოედანზე, როდესაც ჯერ ფლანგზე გააკეთა ჩინებული პასი, შემდეგ კი ბურთს საჭირო ადგილზე დაუხვდა და უძლიერესი დარტყმით ანგარიში გახსნა. პაცინი რომ არ სიმულანტობდა, მისი შეცვლითაც დადასტურდა და იმითაც, რომ „ბარსელონასთან“ თამაშის გამოტოვება მოუწევს. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ 25 წუთში შეცვლილი ფორვარდი თითქმის ყველა იტალიური სპორტული გამოცემის მიერ შედგენილ ტურის სიმბოლურ გუნდში მოხვდა.

### ციფრები და ფაქტები

■ **ხავიერ ძანეტიმ** მე-600 მატჩი ჩაატარა „ინტერის“ მაისურით სერია A-ში, მისი დებიუტი 1995 წლის 27 აგვისტოს შედგა.

■ „ბოლონიასთან“ „ინტერმა“ 16-მატჩიანი საშინაო წაუგებელი სერია შეწყვიტა.

■ ალბერტო ჯილარდინოს 5 გუნდის მაისურით 7-ჯერ დაულაშქრავს „ინტერის“ კარი. გასულ უქმეებზე მან 157 გოლი გაიტანა სერია A-ში და ამ მაჩვენებლით **ფილიპო ინძაგის, რობერტო მანჩინის** და **ჯანლუიჯი რივას** გადაასწრო.

■ „ფიორენტინამ“ „ლაციოს“ გასვლითი მატჩი პირველად მოუგო 2007 წლის შემდეგ.

■ „ფიორენტინამ“ პირველი გასვლითი მატჩი მოიგო 2013 წელს.

■ „ნაპოლიმ“ მიჯრით მესამე გასვლითი მატჩი წააგო „კიევოსთან“ ისე, რომ გოლი არ გაუტანია.

■ „კიევომ“ ბოლო 11 ტურში პირველად გაიტანა მატჩში 1 გოლზე მეტი.

■ „ნაპოლის“ თავდამსხმელ **ედინსონ კავანის** 8 ტურია გოლი არ გაუტანია.

■ „იუვენტუსს“ სერია A-ში 1 400 მატჩი აქვს მოგებული.

■ „მილანს“ მიჯრით 4 მატჩი აქვს „ჯენოასთვის“ მოგებული ისე, რომ გოლი არ გაუშვია.

■ პირველად მიმდინარე ჩემპიონატში, „მილანმა“ ზედიზედ ორჯერ შეინახა კარი მშრალად.

■ „უდინეზემ“ და „რომამ“ პირველად დაასრულეს ურთიერთშეხვედრა ფრედ 2005 წლის შემდეგ.

■ „ტორინოს“ ძლევით „პარმამ“ 8-მატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა.

■ “პალერმოს“ 14 ტურია არ მოუგია.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

**P.S.**

*ეს უკვე მართლაც მაფიაა - წინადღით ჯამპიერო გასპერინი „პალერმოს“ მთავარი მწვრთნელობიდან მოხსნეს. ის მხოლოდ 2 ტურის განმავლობაში იყო გუნდის მესაჭედ დაბრუნების შემდეგ.*

### სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით



ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. სამშაბათის მატჩების წინ

# ბარსას გამოცდა

## თამაში, რომელიც უპასუხებს კითხვას - რამდენად სერიოზულია ბარსელონას კრიზისი

**„მილანს“ „ბარსელონას“ ბარიერის გადალახვას მხოლოდ „როსონერის“ უკიდურესად ოპტიმისტი გულშემატკივრები თუ უწინასწარმეტყველებდნენ, ახლა კი, მასიმილიანო ალეგრის შეგირდების მიერ „სან სიროზე“ ჩადენილი გმირობის შემდეგ, „ბარსა“ ამ წყვილის ფავორიტი აღარ არის. კატალონიელებს 0:2 აქვთ ამოსაქაჩი, რაც მოტივირებულ და თავდაჯერებულ „მილანთან“ ურთულესი ამოცანაა და იმისათვის, რომ მეოთხედფინალში გავიდნენ, ლეო მესიმ და კომპანიამ ძალიან კარგად უნდა ითამაშონ.**



სან სიროზე ლეო მესიმ და კომპანიამ კრისტიან აბიატის კარი ერთხელაც ვერ დალაშქრა

| ბარსელონა-მილანი | 23:45 |
|---|---|
| პირველი მატჩი: 0:2 | |

**საავარაუდო შემადგენლობები**

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დანი ალვეში, პიკე, პუიოლი, ხორდი ალბა - ჩავი, ბუსკეტსი, ფაბრეგასი - პედრო, მესი, ინიესტა.

**მილანი (4-3-3):** აბიატი - აბატე, საპატა, მექსე, კონსტანტი - მონტოლივო, ამბროზინი, მუნტარი - კ. პ. ბოატენგი, ნიანგი, ელ შაარავი.

**არბიტრი:** ვიქტორ კასაი (უნგრეთი)

**ურთიერთშეხვედრები**

| თარიღი | მატჩი | ანგარიში | გოლები |
|---|---|---|---|
| 20.02.2013 | მილანი-ბარსელონა | 2:0 | გოლები: 1:0 კ. პ. ბოატენგი (57), 2:0 მუნტარი (81) |
| 03.04.2012 | ბარსელონა-მილანი | 3:1 | გოლები: 1:0 მესი (11-პენ), 1:1 ნოჩერინო (32), 2:1 მესი (41-პენ), 3:1 ინიესტა (53) |
| 28.03.2012 | მილანი-ბარსელონა | 0:0 | |
| 23.11.2011 | მილანი-ბარსელონა | 2:3 | გოლები: 0:1 ვან ბომელი (14-საკ. კარში), 1:1 იბრაჰიმოვიჩი (20), 1:2 მესი (31-პენ), 2:2 კ. პ. ბოატენგი (54), 2:3 ჩავი (63) |
| 13.09.2011 | ბარსელონა-მილანი | 2:2 | გოლები: 0:1 პატო (1), 1:1 პედრო (36), 2:1 ვილია (50), 2:2 ტიაგო სილვა (92) |
| 26.04.2006 | ბარსელონა-მილანი | 0:0 | |
| 18.04.2006 | მილანი-ბარსელონა | 0:1 | გოლი: 0:1 ჟიული (57) |
| 02.11.2004 | ბარსელონა-მილანი | 2:1 | გოლები: 0:1 შევჩენკო (17), 1:1 ეტო'ო (37), 2:1 რონალდინიო (88) |
| 20.10.2004 | მილანი-ბარსელონა | 1:0 | გოლი: 1:0 შევჩენკო (31) |
| 18.10.2000 | მილანი-ბარსელონა | 3:3 | გოლები: 0:1 რივალდო (18), 1:1 ალბერტინი (25), 2:1 ალბერტინი (39), 2:2 რივალდო (42), 3:2 ხოსე მარი (45), 3:3 რივალდო (69) |
| 26.09.2000 | ბარსელონა-მილანი | 0:2 | გოლები: 0:1 კოკო (45), 0:2 ბირჰოფი (71) |
| 18.05.1994 | მილანი-ბარსელონა | 4:0 | გოლები: 1:0 მასარო (22), 2:0 მასარო (45), 3:0 სავიჩევიჩი (47), 4:0 დესაი (58) |
| 1959/60 | ბარსელონა-მილანი | 5:1 | |
| 1959/60 | მილანი-ბარსელონა | 0:2 | |

ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში, რვიდან ორი წყვილი იყო გიგანტური: „მანჩესტერი“-“რეალი“ და „მილანი“-“ბარსელონა“. მაგრამ, თუკი „იუნაიტედისა“ და „სამეფო გუნდის“ დუელების საბოლოო შედეგის პროგნოზირება მართლა რთული იყო, „როსონერისა“ და კატალონიური სუპერგრანდის წყვილში ყველა თანხმდებოდა იმაზე, რომ „ბარსა“ იოლად დაიფრენდა იმ „მილანს“, რომელსაც ნამდვილად არ უდგას საუკეთესო დროება. მაგრამ იტალიურმა გრანდმა „სან სიროზე“ ძალიან მოინდომა, ფაქტობრივად შეუძლებელი შეძლო და „ბარსელონა“ მილანიდან ორბურთიანი ჩამორჩენით გამოისტუმრა. 0:2 ისეთი ჩამორჩენაა, რომ ლოგიკურად, „ბარსელონა“ გადაულახავი ბარიერის წინაშე არ დგას, მაგრამ თუ „მილანმა“ „ნოუ კამპზეც“ ისეთი თავდაჯერებით დაიცვა თავი, როგორც იტალიელები ამას „სან სიროზე“ აკეთებდნენ და თუ კატალონიელებს ანგარიშის გახსნა დაუგვიანდათ და ანერვიულდნენ... ფავორიტი ჩემპიონთა ლიგას გამოეთიშება!

### როურას ყველა მწყობრში ჰყავს

„დეპორტივოსთან“ 2:0-ზე მოგებულ შეხვედრაში „ბარსას“ კარი **პინტომ** დაიცვა, „მილანთან“ კი კატალონიელთა კარის დარაჯი ისევ **ვიქტორ ვალდესი** იქნება, რადგან მისი დისკვალიფიკაცია მხოლოდ ესპანეთის პირველობაზე ვრცელდება. „ბარსელონას“ **ჩავი ერნანდესიც** გამოუჯანმრთელდა და დღეს აუცილებლად ითამაშებს. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ „ბარსას“ ამჟამინდელმა თავკაცმა **ჟორდი როურამ** „დეპორთან“ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი დაასვენა - **პიკე, ალბა, ინიესტა, ბუსკეტსი, პედრო** და **მესი** ძირითად შემადგენლობაში არ იყვნენ. ინიესტა, ბუსკეტსი და მესი მოედანზე მხოლოდ მეორე ტაიმში გამოჩნდნენ.

### პიკეს მინიმუმ 3:0-ის იმედი აქვს

*„ვინც მილანში წაგების შემდეგ „ბარსელონა“ ჩამოწერა, ძალიან ცდება! „ნოუ კამპზე“ ჩვენ ყოველთვის ძალიან კარგად ვთამაშობთ და ვფიქრობ, რომ არც ისე მძიმე მდგომარეობაში ვართ, როგორც ეს ბევრს ჰგონია. საკუთარ მოედანზე „მილანს“ მაგრად შევუტევთ და ვიმედოვნებ, რომ მინიმუმ 3:0-ს მოვიგებთ, რაც მეოთხედფინალში გაგვიყვანს,“* - ეს ჟერარდ პიკეს განცხადებაა, რომელიც „ბარსას“ მცველმა გაზეთ „სპორტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში გააკეთა, თუმცა პიკემ „მილანიც“ შეაქო: *„მილანმა“ დაამტკიცა, რომ ჩემპიონთა ლიგის გუნდია და ამ ტურნირზე ყოველთვის განსაკუთრებული მოტივაციით თამაშობს. „როსონერის“ გრანდიოზული ისტორია აქვს, მაგრამ ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ეს დღე ამ ისტორიაში შავ ლაქად დარჩეს.“*

ხსენებულ ინტერვიუში პიკემ **ტიტო ვილანოვას** ფაქტორზეც ისაუბრა - როგორც იცით, 44 წლის მწვრთნელი ისევ ნიუ იორკშია და მკურნალობს: *„ტიტო ძალიან გვაკლია, მის გარეშე გვიჭირს - უდირიჟორო ორკესტრივით ვართ. მიუხედავად ამისა, „მილანთან“ წარმატების იმედი მაქვს,“* - აღნიშნა პიკემ.

### მილანს პაცინი გამოაკლდა, მექსეს თამაშიც საეჭვოა

მილანელები ბარსელონაში საკადრო პრობლემებით ჩავიდნენ. პარასკევს, „ჯენოასთან“ მატჩში, რომელიც „როსონერიმ“ 2:0 მოიგო, **მასიმილიანო ალეგრის ჯამპაოლო პაცინი** ისე დაუშავდა, რომ ეს უკანასკნელი დღეს „ნოუ კამპზე“ ვერ ითამაშებს. „ჯენოას“ კარში გოლები სწორედ პაცინიმ და **ბალოტელიმ** გაიტანეს - მოგეხსენებათ, მარიო „მილანს“ ჩემპიონთა ლიგაში ვერ ეხმარება. კითხვის ნიშნის ქვეშაა **ფილიპ მექსეს** თამაშიც და შესაძლოა, ძირითად შემადგენლობაში ვერც **კევინ-პრინს ბოატენგი** ვიხილოთ, რომელსაც მცირე ტრავმა აწუხებს.

„მილანის“ ტაქტიკა სქემატურად ალბათ ისევ 4-3-3 იქნება, რომელშიც ცენტრფორვარდის პოზიციაზე, სავარაუდოდ, ახალგაზრდა **მ'ბაიე ნიანგს** ვიხილავთ, რომელსაც მარცხენა ფრთიდან აუცილებლად **სტეფან ელ შაარავი** მიეხმარება, მარჯვნიდან კი - სავარაუდოდ მაინც ბოატენგი.

პაცინის მნიშვნელობაზე ბალოტელის ვერგამოყენების გარდა „პაცოს“ სტატისტიკაც მეტყველებს: იტალიის ჩემპიონატსა და ჩემპიონთა ლიგაში ჯამპაოლომ 8-დან 6 მატჩში ძირითად შემადგენლობაში ითამაშა, ექვსი გოლი გაიტანა და „მილანმა“ ის ექვსი თამაში მოიგო.

# გელზენკირხენშიც ომი იქნება

## ჰუნტელაარის არყოფნა შალკესთვის პრობლემაა

**სტამბოლში დაფიქსირებული 1:1-ის შემდეგ „შალკეს“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გასვლის ძალიან კარგი შანსი გაუჩნდა და ვინც იმ მატჩამდე ფავორიტად დიდიე დროგბათი და ვესლი სნეიდერით გაძლიერებულ თურქულ გრანდს მიიჩნევდა, ახლა ექსპერტთა უმრავლესობა წყვილის ფავორიტად გელზენკირხენულ კლუბს რაცხავს. თანაც, „შალკე“ ბოლო დროს ბუნდესლიგაშიც გამოსწორდა, შაბათს კი რურის დიდ დერბიში „დორტმუნდი“ დაამარცხა, რაც იმას ნიშნავს, რომ იენს კელერის შეგირდები „გალასთან“ დუელს იდეალური განწყობით, ძალიან თავდაჯერებულები ხვდებიან, მაგრამ „შალკეს“ საკადრო პრობლემები აქვს...**

| შალკე-გალათასარაი | 23:45 |
|---|---|
| პირველი მატჩი: 1:1 | |

**საავარაუდო შემადგენლობები**

**შალკე (4-2-3-1):** ჰილდებრანდი - უჩიდა, ჰიოვედესი, მატიპი, კოლასინაცი - ჰიოგერი, ნოიშტედტერი - ფარფანი, დრაქსლერი, მიშელ ბასტოსი - პუკი.

**გალათასარაი (4-3-1-2):** მუსლერა - ებუე, გიოქჰან ზანი, სემიჰი, რიერა - ჰამით ალთინთოფი, ფელიპე მელო, სელჩუკ ინანი - სნეიდერი - დროგბა, ბ. ილმაზი.

**არბიტრი:** იონას ერიქსონი (შვედეთი)

**ურთიერთშეხვედრები**

| თარიღი | მატჩი | ანგარიში | გოლები |
|---|---|---|---|
| 20.02.2013 | გალათასარაი-შალკე | 1:1 | გოლები: 1:0 ბურაქ ილმაზი (12), 1:1 ჯონსი (45) |

ბევრს არ სჯეროდა, რომ „შალკეს“ „თურქ ტელეკომ არენაზე“ ფრის მიღწევა შეეძლო, მაგრამ გელზენკირხენელებმა სტამბოლში მედგრად იბრძოლეს, გოლიც გაიტანეს და საპასუხო მატჩის წინ „გალათასარაიზე“ უკეთეს მდგომარეობაში არიან. თანაც, „შალკე“ უკვე კარგ ფორმაშია.

### დროგბა ითამაშებს

პირველი მატჩის შემდეგ „შალკემ“ უეფაში პროტესტი შეიტანა - გელზენკირხენელებმა ეჭვი გამოთქვეს, რომ **დიდიე დროგბას** თამაშის უფლება არ ჰქონდა, რადგან „გალას“ კოტ დ'ივუარელის ყოფილ კლუბთან აქვს დავა, მაგრამ თურქებმა უეფაში ყველა საჭირო დოკუმენტი წარადგინეს და დროგბა დღესაც ითამაშებს. დიდიემ თურქულ პრესას განუცხადა, ამ პროტესტის შემდეგ უფრო მოტივირებული ვარ და შალკელებს ურჩევნიათ, მიფრთხილდნენო.

მოტივაცია და თავდაჯერება არც გერმანულ კლუბს აკლია - რურის დიდი დერბის მოგებამ „შალკე“ ეიფორიაშიც კი ჩააგდო. „გალათასარაი“ კი პარასკევს საკუთარ მოედანზე „გენჩლერბირლიგისთან“ 0:1 დამარცხდა. აღსანიშნავია, რომ თურქული გრანდის მთავარმა მწვრთნელმა **ფათიჰ თერიმმა** იმ მატჩში დროგბაც დაასვენა და **ვესლი სნეიდერიც** - „იმპერატორმა“ ლიდერები მოედანზე მეორე ტაიმშიღა შეუშვა.

*„თურქეთის ჩემპიონატში შეცდომები ჯერ კიდევ გვეპატიება, აი, ჩემპიონთა ლიგაში კი ერთი შეცდომის დაშვების უფლებაც არ გვაქვს. „შალკესთან“ სეზონის საუკეთესო მატჩი უნდა ჩავატაროთ, ყველა ფეხბურთელმა უდიდესი კონცენტრაციით უნდა ითამაშოს და თუ ამას შევძლებთ, მჯერა, რომ მეოთხედფინალში გავალთ,“* - თქვა „გენჩლერბირლიგისთან“ წაგების შემდეგ 59 წლის თერიმმა.



კადრი ორი კვირის წინანდელი მატჩიდან (1:1):
გოლის ავტორი ბურაქ ილმაზი (მარჯვნივ) შალკელების გარემოცვაში

### შალკეს ჰუნტელაარი დააკლდება

„შალკეს“ კი წინა ხაზზე სერიოზული საკადრო პრობლემები აქვს: **კლაას-იან ჰუნტელაარი** „დორტმუნდთან“ შეხვედრაში დაშავდა და დღეს თანაგუნდელებს ვერ დაეხმარება. გელზენკირხენელთა თავკაც **იენს კელერისთვის** პრობლემაა ისიც, რომ ჰუნტელაარის პირველი შემცვლელი, რუმინელი თავდამსხმელი **ჩიპრიან მარიკაც** ტრავმირებულია. ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ კელერი იძულებულია, ცენტრფორვარდის პოზიციაზე გამოუცდელი ფინელი თავდამსხმელის **ტეემუ პუკი** გაამწესოს. ალტერნატიული გზა **ჯეფერსონ ფარფანის** ცენტრფორვარდად დაყენებაა, მაგრამ ეს უკანასკნელი კელერს თავის პოზიციაზე, მარცხენა გარემარბად სჭირდება.

სამაგიეროდ, შესანიშნავ ფორმაშია „შალკეს“ ახალგაზრდა გამთამაშებელი **იულიან დრაქსლერი**, რომელიც რურის დერბის გმირი გახდა, ერთი კვირის წინ კი სულაც ბუნდესლიგის ტურის გმირად დავასახელეთ. *„ის ფაქტი, რომ „გალათასარაიმ“ თურქეთის ჩემპიონატში წააგო, ოდნავადაც არ მაინტერესებს. ჩემპიონთა ლიგა სხვა კალიბრია და ცხადია, რომ ჩვენთან სულ სხვა „გალათასარაის“ ვიხილავთ. დაცვიდან თამაშს და მატჩის 0:0-ზე დასრულებაზე ფიქრს არ ვაპირებთ, რადგან ეს უდიდესი შეცდომა იქნებოდა,“* - განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე კელერმა.

შეგახსენებთ, რომ „შალკე“ ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში ჯერაც დაუმარცხებელია. თუმცა გელზენკირხენელები ფრთხილად უნდა იყვნენ, რადგან „გალათასარაიმ“ ევროპის ელიტარულ საკლუბო ლიგაში, ჯგუფური ეტაპის ბოლო ორი გასვლითი მატჩიდან ორივე მოიგო...

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

● რეიტინგი










## მდიდართა სიას ბექჰემი ლიდერობს

GOAL.COM-ის ჟურნალისტებმა რამდენიმეკვირიანი მუშაობა დაასრულეს და გამოაქვეყნეს მსოფლიო ფეხბურთის მდიდართა სია, 1-დან 50-მდე. ბუნებრივია, ფეხბურთელთა შემოსავალში მხოლოდ ფეხბურთის თამაშით მიღებული ხელფასი არ ითვლება. ამიტომაც, არავის უნდა გაუკვირდეს, რომ ლიდერი ვეტერანი ინგლისელი ნახევარმცველი **დევიდ ბექჰემია.** მისი ქონება 175 მილიონი გირვანქა სტერლინგით არის შეფასებული.

მეორე ადგილზეა **ლიონელ მესი**: 115,5 მილიონი ფუნტი, მესამეა **კრიშტიანო რონალდო** 112 მილიონი ფუნტით.

### გთავაზობთ GOAL.COM-ის „რიჩ ლისტის" ტოპ-10-ს

| | |
|---|---|
| 1. დევიდ ბექჰემი (ინგლისი) | 175 მლნ. ფუნტი |
| 2. ლიონელ მესი (არგენტინა) | 115,5 |
| 3. კრიშტიანო რონალდო (პორტუგალია) | 112 |
| 4. კაკა (ბრაზილია) | 66,5 |
| 5. რონალდინიო (ბრაზილია) | 63 |
| 6. სამუელ ეტოო (კამერუნი) | 52 |
| 7. უეინ რუნი (ინგლისი) | 50 |
| 8. ზლატან იბრაჰიმოვიჩი (შვედეთი) | 47 |
| 9. რივალდო (ბრაზილია) | 45,5 |
| 10. რიო ფერდინანდი (ინგლისი) | 42 |

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● რეალი

## ესპანური მედია: ჟოზე მოურინიო სეზონის ბოლოს მაინც მიდის

მიუხედავად იმისა, რომ ცოტა ხნის წინ „რეალის" ხელმძღვანელობა ამტკიცებდა, რომ **ჟოზე მოურინიოსთან** დაკავშირებით ყველაფერი გაირკვა, პორტუგალიელი მომავალ სეზონშიც „სამეფო კლუბში" რჩება, სულ სხვა ინფორმაცია გააჟღერა მავანმა ესპანელმა ჟურნალისტმა.

**ხოსე რამონ დე ლა მორენა** რადიოქსელ SER-ის წარმომადგენელია. როგორც ის ამტკიცებს, ვიგოში, „სელტასთან" მატჩის შემდეგ ჟოზე მოურინიომ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ სეზონის მერე ის გუნდიდან მიდის. შეგახსენებთ, რომ „სელტას" „რეალმა" **კრიშტიანო რონალდოს** დუბლის წყალობით 2:1 მოუგო.

*„მინდა ისევ განვაცხადო, რასაც ადრე ვამტკიცებდი: მოურინიომ და კლუბის პრეზიდენტმა, ფლორენტინო პერესმა მიაღწიეს შეთანხმებას, რომ ჟოზე კლუბს სეზონის ბოლოს დატოვებს, ნებისმიერი შედეგის შემთხვევაში. უბრალოდ, არც ერთ მათგანს არ აწყობს ამის საჯაროდ თქმა. ეროვნული ჩემპიონატის დასრულებამდე 11 ტური რჩება, ზუსტად ამდენი მატჩი დარჩა ლა ლიგაში მოურინიოსაც. ეს შეთანხმება ჯერ კიდევ იანვარში დაიდო. ამიტომაც, ჟოზესთვის სულ ერთია, როგორ მოემზადება გუნდი ახალი სეზონისთვის. ამიტომაც მას უბრალოდ არ გააგებინეს „რეალის" ჩინური ტურნეს შესახებ, რადგან ეს ამბავი ჟოზეს ნაკლებად აინტერესებს. სამაგიეროდ, სანამ სეზონი დასრულდება, გუნდში ყველაფერი ისე იქნება, როგორც მოურინიო მოისურვებს, ყველაფერს ის აკონტროლებს. ვიგოში კლუბის ერთ-ერთმა შეფმა მოურინიოს სთხოვა, რაღაც საკითხზე ლაპარაკი. ჟოზეს პასუხი ასეთი იყო - მე მრჩება 2,5 თვე, ამის მერე კი გააკეთეთ, რაც მოგესურვებათ. მანამდე კი აქ პირობებს მე ვაყენებ - აი, ასეთია სიმართლე"*, - განაცხადა დე ლა მორენამ.

### რეალი ბეილში 70 მილიონ ევროს იხდის

ინგლისური პრესა ამტკიცებს, რომ მადრიდის „რეალი" **გარეთ ბეილის** სანაცვლოდ „ტოტენჰემს" 70 მილიონ ევროს უხდის. ინფორმაციის წყაროს ცნობით, „სამეფო კლუბი" უელსელ ფეხბურთელს 5-წლიან ხელშეკრულებას და წელიწადში 11 მილიონ ევროს უმზადებს.

შეგახსენებთ, რომ „რეალი" ერთადერთი კლუბი არ არის, რომელიც გარეთ ბეილის შეძენით არის დაინტერესებული, უელსელის შეძენა სურთ „ბარსელონას", „მანჩესტერ სიტის" და „ჩელსის". „ტოტენჰემიც" დაინტერესებულია თავისი ვარსკვლავის შენარჩუნებით და მზად არის მას ხელფასი გაუორმაგოს. 23 წლის გარეთ ბეილს უკვე აქვს ნათქვამი, რომ „რეალს" მსოფლიოში საუკეთესო კლუბად მიიჩნევს, იქ თამაში მისთვის დიდი პატივი იქნება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



● დორტმუნდის ბორუსია




მატს ჰუმელსი და იურგენ კლოპი

## დორტმუნდი დაიძაბა!

### კლოპმა ჰუმელსი გააკრიტიკა, ვატცკეს გუნდი შემოელანძღა

„დორტმუნდმა" მეორე დერბიც წააგო და გასაკვირი არ არის, რომ „ბორუსიაში" საშინელი განწყობაა, მაგრამ ნამდვილად ვერ ვიფიქრებდით, რომ საქმე აქამდე მივიდოდა. „შალკესთან" უპრინციპულესი დუელის წაგების შემდეგ (1:2), „ბორუსიას" მთავარი მწვრთნელი **იურგენ კლოპი** დაცვის ბურჯ **მატს ჰუმელსს** მისდგა.

*„მატსი შესვენებამდე გაცილებით ადრე დაშავდა, მაგრამ არაფერი გვითხრა! ჰუმელსი სათადარიგოთა სკამთან უნდა მოსულიყო, უკანალი მინდორზე დაედო და ექიმისთვის უნდა ეხმო! ფაქტია, რომ „შალკემ" ჩვენს კართან რამდენიმე მომენტი შექმნა იმის გამო, რომ ტრავმირებული ჰუმელსი ხეირიანად ველარ დარბოდა. ასეთი თავგანწირვა უაზრობაა,"* - უთხრა კლოპმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს და შეგახსენებთ, რომ იურგენი თავის შეგირდებს საკმაოდ იშვიათად აკრიტიკებს ხოლმე. გუშინ გამოჩნდა, რამდენად სერიოზულია ჰუმელსის ტრავმა - მატსი ლაზარეთში რამდენიმე კვირას დაყოფს.

ამასთან, „შალკესთან" წაგებამ თავად კლოპსაც კრიტიკა დაატეხა. ექსპერტებმა იურგენს არჩევანი დაუწუნეს - თუ დერბის წაგება არ უნდოდა, **მარკო როისი** სკამზე არ უნდა დაესვაო. ამ ბრალდებაზე კლოპს ასეთი პასუხი აქვს: *„როტაცია ჩემპიონთა ლიგის გამო მჭირდება და ცხადია, რომ ყოველთვის ყველა ვერ დამეთანხმება. მე ვამბობ, „შალკესთან" ჩვენი პრობლემა დაცვის ხაზში მდგომარეობდა და არა მგონია, რომ როისს ეს პრობლემა აღმოეფხვრა!"*

აქვე ვთქვათ, რომ „დორტმუნდის" ხელმძღვანელებმა, გენერალურმა მენეჯერმა **ჰანს-იოახიმ ვატცკემ** და სპორტულმა დირექტორმა **მიხაელ ცორკმა** „არენა აუფ შალკეს" ტრიბუნები თამაშის დამთავრებამდე დატოვეს - არადა, ადრე წასვლა არ სჩვევიათ. მოგვიანებით ვატცკემ თქვა, ვისაც დერბის მოგება უნდა, ფეხბურთი ისე არ უნდა ითამაშოს, როგორც ჩვენ პირველ ტაიმში ვითამაშეთო...

**გოტფრიდ ლენცი**






● ამბები

## დანი ალვეში: მესი ბოლო დროს თავჩაღუნული დადის და ცუდ განწყობაზეა

„ბარსელონას" ბრაზილიელმა მცველმა **დანი ალვეშმა** განაცხადა, რომ **ლიონელ მესის** ახლა ფსიქოლოგიური პრობლემები აქვს. შეგახსენებთ, რომ „მილანთან" და „რეალთან" დაპირისპირებებში 25 წლის არგენტინელი ვერ ბრწყინავდა (თუმცა „რეალს" გოლი მაინც გაუტანა), ის შეცვლაზე შევიდა „დეპორტივოსთან" მატჩში და ზედიზედ მე-17 ტურში შეძლო თავის გამოჩენა.

*„საერთო ჯამში, ლეო თავს ნორმალურად გრძნობს, თუმცა არ მიყვარს რეალობის დამახინჯება: ნათელია, რომ ბოლო მატჩებში ის არ იყო სათანადო ფსიქოლოგიურ განწყობაზე. რატომ? არ მიყვარს ადამიანებისთვის პირადი სახის კითხვების დასმა, მით უმეტეს, როცა მას თავად ლაპარაკი არ სურს. მე შევამჩნიე, რომ ის ისეთი აღარ არის, როგორც ადრე იყო., დადის თავჩაღუნული. მაგრამ, სხვებისგან განსხვავებით, ლეო ძლიერი ინდივიდუალისტია"*, - განაცხადა ალვეშმა.

## ალეგრი შახტარის მწვრთნელი ხდება?

იტალიური პრესის ინფორმაციით, დონეცკის „შახტარი" მთავარი მწვრთნელის პოსტს „მილანის" ამჟამინდელ თავკაც **მასიმილიანო ალეგრის** შესთავაზებს. უკრაინული გრანდი მზადაა, ალეგრის 4-წლიანი ხელშეკრულება და წელიწადში 6 მილიონი ევრო შესთავაზოს. სხვათა შორის, „მილანში" ალეგრის ხელფასი ამას საგრძნობლად ჩამორჩება: 2,5 მილიონი ევრო წელიწადში.

რუმინელ **მირჩა ლუჩესკუს** ხელშეკრულება ზაფხულში ეწურება, მასთან ახალი კონტრაქტი რომ აღარ დაიდება, გადაწყვეტილია. „შახტარი" ერთპიროვნულად ლიდერობს უკრაინის ჩემპიონატს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



### ესპანეთი

**ლა ლიგა. XXVII ტური**

**სარაგოსა-გრანადა 0:0**

**სარაგოსა (4-2-3-1):** ლეო ფრანკო - სეპუნარუ, პინტერი, ალვარო, აბრაამი - ხოსე მარი (70. ბაბოვიჩი), მოვილია - როჩინა (77. ბიენვენუ), ვ. როდრიგესი (59. ედუ ორიოლი), მონტანიესი - პოშტიგა.

**გრანადა (4-4-2):** ტონიო - ნიომი, ი. ლოპესი, მაინსი, სიკეირა - ტორჟე, მ. რიკო, რესიო (82. ირინეი), ნოლიტო (86. ანგულო) - ელ-არაბი (57. ბუონანოტე), იგჰალო.

**გაფრთხილება:** მოვილია, ხოსე მარი, ალვარო - ნიომი, რესიო

**კუთხური:** 3-7; **ჯარიმა:** 15-18; **თამაშგარე:** 3-8; **კარში დარტყმა:** 8-12 (3-1); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

მაყურებელი: 25 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 27 | 23 | 2 | 2 | 85-30 | 71 |
| 2. რეალი | 27 | 18 | 4 | 5 | 66-25 | 58 |
| 3. ატლეტიკო | 27 | 18 | 3 | 6 | 48-24 | 57 |
| 4. მალაგა | 27 | 12 | 8 | 7 | 38-25 | 44 |
| 5. სოსიედადი | 27 | 12 | 8 | 7 | 45-34 | 44 |
| 6. ბეტისი | 27 | 13 | 4 | 10 | 39-39 | 43 |
| 7. ვალენსია | 27 | 12 | 6 | 9 | 38-40 | 42 |
| 8. ვალეკანო | 27 | 13 | 2 | 12 | 36-43 | 41 |
| 9. ხეტაფე | 27 | 11 | 6 | 10 | 37-44 | 39 |
| 10. ლევანტე | 27 | 10 | 6 | 11 | 32-40 | 36 |
| 11. ვალიადოლიდი | 27 | 9 | 8 | 10 | 35-34 | 35 |
| 12. სევილია | 27 | 10 | 5 | 12 | 39-40 | 35 |
| 13. ესპანიოლი | 27 | 8 | 8 | 11 | 31-37 | 32 |
| 14. ბილბაო | 27 | 9 | 5 | 13 | 32-50 | 32 |
| 15. ოსასუნა | 27 | 7 | 7 | 13 | 23-30 | 28 |
| 16. გრანადა | 27 | 7 | 6 | 14 | 25-38 | 27 |
| 17. სარაგოსა | 27 | 7 | 5 | 15 | 25-38 | 26 |
| 18. მალიორკა | 27 | 6 | 6 | 15 | 28-50 | 24 |
| 19. სელტა | 27 | 6 | 5 | 16 | 26-38 | 23 |
| 20. დეპორტივო | 27 | 3 | 8 | 16 | 29-58 | 17 |

**ბომბარდირები:** 40 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 26 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 21 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 14 - ალვარო ნეგრედო (სევილია).

## უცხოური ფეხბურთი

● სავარაუდო ტრანსფერი

# დაუჯერებელი ვერსია: რუნი ბაიერნში

მართალია, ასოციაციის თასის 1/4-ფინალში „ჩელსისთან" მატჩამდე **ალექს ფერგიუსონმა** უარყო „იუნაიტედიდან" **უეინ რუნის** წასვლის შესაძლებლობა, მაგრამ ინგლისური პრესა ამით არ კმაყოფილდება. *„რუნი „იუნაიტედში" იქნება მომდევნო სეზონშიც. პირობას გაძლევთ. ჩემსა და უეინს შორის ურთიერთობაში არანაირი ბზარი არ არის. ხმები ამის შესახებ სრული აბსურდია. რუნი მიხვდა იმ მიზეზებს, რის გამოც „რეალთან" შეხვედრაში ძირითადში ვერ მოხვდა. ტაქტიკური თვალსაზრისით ჩვენ გვქონდა უფლება, ასე მოვქცეულიყავით,"* – განაცხადა 71 წლის შოტლანდიელმა.

ცეცხლზე ნავთს ასხამს „ბაიერნის" საპატიო პრეზიდენტი **ფრანც ბეკენბაუერი**, ვისი თქმითაც, ის არ გამორიცხავს მოვლენათა ამგვარ განვითარებას და მეტიც, მოხარული იქნება, თუკი 27 წლის ინგლისელი „ალიანს არენაზე" ამოყოფს თავს. *„ბედნიერი ვიქნები, არა, უბედნიერესი, თუკი რუნი „ბაიერნში" კარიერის გაგრძელებას გადაწყვეტს. ეს მხოლოდ ხმებია თუ სიმართლე, ამას მე ვერ გეტყვით,"* – განაცხადა „კაიზერმა".

აქვე გეტყვით, რომ წინა კვირაში „დეილი მეილი" რუნის 20 მილიონად „აფასებდა", ახლა კი 15 მილიონით „გააძვირა". ჩვენი ინგლისელი კოლეგების ცნობით, რუნის გაყიდვა და ამით სახელფასო ფონდიდან სერიოზული თანხების გამოთავისუფლება „ოლდ ტრეფორდზე" **კრიშტიანო რონალდოს** დაბრუნებისთვის გადადგმული პირველი დიდი ნაბიჯი შეიძლება აღმოჩნდეს.

**ლევან ბიბილაშვილი**

● ბრაზილია. შტატების ჩემპიონატები

# ბოტაფოგომ სულ მცირე, სუპერფინალი დაიბევა

**პაულისტა. XI ტური**

| | |
|---|---|
| **კორინთიანსი-იტუანო** | **3:2** |

**გოლები:** 1:0 ედენილსონი (17), 1:1 კლებერი (24), 2:1 გილერმე (34), 2:2 ლუსიანო (37), 3:2 ფელიპე მონტეირო (87).

| | |
|---|---|
| **ატლ. სოროკაბა-სანტოსი** | **1:2** |

**გოლები:** 0:1 მონტილიო (16), 0:2 ანდრე (45), 1:2 ტიაგო მარკეში (49).

| | |
|---|---|
| **სან პაულო-პალმეირასი** | 0:0 |
| **უნიაო ბარბარენსე-ბრაგანტინო** | 0:0 |
| **ოესტე-XV დე პირასიკაბა** | 3:0 |
| **პენაპოლენსე-პაულისტა** | 2:0 |
| **ბოტაგოფო სპ-მოჟი მირიმი** | 2:0 |
| **სან ბერნარდო-ლინენსე** | 2:0 |
| **პონტე პრეტა-სან კაეტანო** | 3:1 |
| **მირასოლი-გუარანი** | 1:1 |

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. სან პაულო (10 თამაში) – 23 ქულა, 2. პონტე პრეტა – 23, 3. სანტოსი – 21, 4. ბოტაფოგო სპ – 21, 5. მოჟი მირიმი – 20, 6. კორინთიანსი – 18, 7. პალმეირასი (10 თ) – 17, 8. ლინენსე – 17, 9. პენაპოლენსე – 16, 10. ოესტე – 14, 11. ბრაგანტინო – 14, 12. პაულისტა (10 თ) – 13, 13. მირასოლი – 12, 14. სან ბერნარდო – 12, 15. XV დე პირასიკაბა – 10, 16. იტუანო – 10, 17. ატლ. სოროკაბა – 9, 18. გუარანი – 9, 19. უნიაო ბარბარენსე (10 თ) – 6, 20. სან კაეტანო – 5.

**ბომბარდირები:** 7 – ლინკომი (ბრაგანტინო); 6 – ნეიმარი (სანტოსი), ფერნანდო ბაიანო (სან ბერნარდო).

სან პაულოს შტატის პირველობაზე მე-11 ტურის შეხვედრები გაიმართა. ლიდერმა „პალმეირასს" უმასპინძლა და მიუხედავად საინტერესო მეორე ტაიმისა, რომელიც **ნეი ფრანკოს** გუნდმა 10-კაცით ჩაატარა (არბიტრმა ტაიმის დებიუტში **ლუსიო** გააძევა), მატჩი უგოლოდ დასრულდა. „სან პაულომ" პირველი პოზიცია შეინარჩუნა, „პალმეირასი" კი მე-7 ადგილზეა და ამ გუნდის დაუმარცხებელი სერია 7 შეხვედრამდე გაიზარდა.

გაჭირვებით იმარჯვეს „კორინთიანსმა" და „სანტოსმა". სარეზერვო შემადგენლობით მოთამაშე „ტიმაომ" ერთ-ერთ აუტსაიდერ „იტუანოს" მოუგო და ზედიზედ 5 ფრის შემდეგ პირველი გამარჯვება მოიპოვა. „სანტოსმა" კი „ატლეტიკო სოროკაბა" **ნეიმარის** გარეშე დაამარცხა. აღსანიშნავია, რომ ანგარიში **ვალტერ მონტილიომ** გახსნა, რომელმაც „სანტოსის" შემადგენლობაში თავისი პირველი გოლი გაიტანა.

**კარიოკა. ტაკა გუანაბარა. ფინალი**

| | |
|---|---|
| **ვასკო და გამა-ბოტაფოგო** | **0:1** |

**გოლი:** 0:1 ლუკასი (79).

დასრულდა „ტაკა გუანაბარა", რომლის გამარჯვებულიც „ბოტაფოგო" გახდა და ეს ტურნირი ისტორიაში მეშვიდედ მოიგო. ფინალური შეხვედრის ერთადერთი გოლი ცენტრალურმა მცველმა **ლუკასმა** გაიტანა. „ფოგომ", რიო დე ჟანეიროს შტატის ჩემპიონობისკენ პირველი ნაბიჯი გადადგა და მინიმუმ სუპერფინალში თამაში გაინაღდა. თუ „ტაკა რიოს", რომელიც ამ შაბათ-კვირას დაიწყება, გამარჯვებულიც „ბოტაფოგო" გახდა, მაშინ გუნდი შტატის ჩემპიონი ავტომატურად გახდება, ხოლო თუ მას რომელიმე სხვა გუნდი მოიგებს, ის სუპერფინალში სწორედ **ოსვალდო დე ოლივეირას** სამწყსოს დაუპირისპირდება.

აქვე აღვნიშნოთ, რომ „ბოტაფოგოს" კარიოკა 19-ჯერ აქვს მოგებული, რაც „დიდი ოთხეულის" („ფლუმინენსე", „ფლამენგო", „ვასკო და გამა", „ბოტაფოგო") გუნდებს შორის ყველაზე ცუდი მაჩვენებელია.

**ტატო ბაციკაძე**

● ამბები

## ოლიმპიაკოსი 40-გზის ჩემპიონია

პირეოსის „ოლიმპიაკოსი", რომელსაც კვირას დაარსებიდან 88 წელი შეუსრულდა, საბერძნეთის ჩემპიონი პირველობის დამთავრებამდე 5 ტურით ადრე გახდა. **მიჩელის** გუნდმა „აეკს" უმასპინძლა და 3:0 მოუგო. მასპინძელთა მხრიდან დუბლი **ავრაამ პაპადოპულოსმა** შეასრულა, ერთი გოლი კი **ჯამელ აბდუნმა** გაიტანა. ამ გამარჯვების შემდეგ, „ოლიმპიაკოსმა" 66 ქულა მოაგროვა და მეორე ადგილზე მყოფ „ასტერასთან" 16-ქულიანი უპირატესობა შეინარჩუნა.

ამ გამარჯვების შემდეგ, „ოლიმპიაკოსს", მისისხლე მტერ „პანათინაიკოსზე" ორჯერ მეტი ტიტული დაუგროვა (40 საჩემპიონო ტიტული 20-ის წინააღმდეგ). ბოლო 17 ჩემპიონატიდან „პანათინაიკოსმა" მხოლოდ ორი მოიგო (2004, 2010), ხოლო „ოლიმპიაკოსმა" - 15.

## ბრაზილიის ნაკრებში მოხვედრისთვის ქრთამს იღებდნენ

ბრაზილიური კლუბის, „სპორტ რესიფეს" პრეზიდენტმა, 68 წლის **ლუსიანო ბივარმა** განაცხადა, რომ ერთხელ ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელს ფული გადაუხადა, რათა ამ უკანასკნელს ნაკრებში ბივარისთვის სასურველი ფეხბურთელი მიეწვია. 2001 წელს, კონფედერაციის თასზე, ბრაზილიის ნაკრების რიგებში „სპორტ რესიფეს" ფეხბურთელმა, **ლეომარ ლეირიამ** ითამაშა.

ბივარის თქმით, ასეთი რამ ბრაზილიაში საკმაოდ ხშირად ხდება.

*„მე ფული გადავიხადე და ბრაზილიის ნაკრებში ლეირია გამოვაძახებინე. არ გეტყვით, თუ ვინ იყო ადამიანი, ვინც ფული აიღო, მაგრამ ამის გარკვევა საკმაოდ მარტივად შეგიძლიათ,"* – განაცხადა ბივარიმ.

ინფორმაციისთვის, მოგახსენებთ, რომ 2001 წელს, კონფედერაციის თასზე, ბრაზილიის ნაკრებს **ემერსონ ლეაო** ხელმძღვანელობდა. ლეომარ ლეირიამ კი ნაკრებში სულ 5 თამაში ჩაატარა, ხუთივე 2001 წელს, რის შემდეგაც „სპორტ რესიფემ" ის კორეულ კლუბში გაყიდა.

ისევ ბივარი: *„მსგავსი რამ ბრაზილიაში ძალიან ხშირად ხდება. ჰკითხეთ ლუიშ ფელიპე სკოლარის, მისი მწვრთნელად დანიშვნის დღიდან, რამდენი ლობისტი დაუკავშირდა და რამდენმა ადამიანმა შესთავაზა ამა თუ იმ ფეხბურთელის ნაკრებში გამოძახება."*

აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში, ბრაზილიის ნაკრებში და ფედერაციაში არსებულ კორუფციაზე საკმაოდ ხშირად საუბრობდა ლეგენდარული **რომარიო**, რომელიც ბივარის ამ სკანდალურ განცხადებას უმალ გამოეხმაურა:

*„სპორტის პრეზიდენტი გამოვიდა და თქვა ის, რასაც მე უკვე წლებია ვამბობ. ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაცია კორუფციაშია ჩაძირული და იქ მომუშავე ადამიანები ჩვენს ფეხბურთს ანადგურებენ. იმედი მაქვს, სხვასაც ეყოფა გამბედაობა და საჯარო განცხადებას გააკეთებს, რადგან მსგავსი ფაქტები ძალიან ბევრია".*

**ტატო ბაციკაძე**

## ქართული სპორტი

● ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. ნაკრები



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოლიმპიური ნაკრებით – ევროპაზე

## დარჩიას ახალი ძველი გუნდი

**19-24 მარტს თბილისში გასამართ ევროპის ჩემპიონატზე გასაყვანი შემადგენლობა გუშინ ბერძენ-რომაელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბეგი დარჩიამაც დაასახელა, თუმცა წინასწარვე გეტყვით, რომ გვარიანი სიურპრიზიც შემოგვთავაზა – კონტინენტის პირველობაზე ზუსტად იმ გუნდით ვიასპარეზებთ, რაც ლონდონის ოლიმპიადაზე გვყავდა.**

**ლაშა გოგიტაძე** (55), **რევაზ ლაშხი** (60), **მანუჩარ ცხადაია** (66), **ზურაბ დათუნაშვილი** (74), **ვლადიმერ გეგეშიძე** (84), **სოსო ჯაბიძე** (96) და **გურამ ფერსელიძე** (120) – აი, ასეთია დარჩიას ძველ-ახალი ნაკრები. შეგახსენებთ, რომ ამათგან ლაშხი ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონია, ცხადაია – მესამე პრიზიორი, გეგეშიძე და ფერსელიძე კი მეხუთეზე გავიდნენ.

ეს შემადგენლობა მით უფრო მოულოდნელია უნგრეთში, „ოქროს დიდ პრიზზე" ნაჩვენები შედეგის შემდეგ, თუმცა დარჩიამ მაშინ განაცხადა, რომ იქ ნაგების მიუხედავად, ის მაინც ენდობოდა გეგეშიძესა და ჯაბიძეს, რადგან საგანგებო პროგრამით ამზადებდა ევროპის ჩემპიონატისთვის. მწვრთნელის თქმით, მათ უნგრეთში ცოტა შეუფერებელ დროს მოუწიათ ასპარეზობამ – ძალისმიერი შეკრებიდან პირდაპირ წავიდნენ საჭიდაოდ და ფორმაში ვერ იყვნენ, თუმცა კონტინენტის პირველობისთვის მოასწრებდნენ ამ ხარვეზის გამოსწორებას. ასევე ვიცოდით და მოსალოდნელიც იყო გოგიტაძის 55-ში დაწევა, თორემ მას წონის შეცვლა და 60-ში გადასვლა გადაწყვეტილი ჰქონდა. ამ წონაში დარჩიას გადაწყვეტილებაზე გავლენა იმან იქონია, რომ 55-ში ახალგაზრდული ნაკრების წევრმა **ედნარ შავაძემ** გაიმარჯვა. საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, ის და საქართველოს კიდევ ერთი მოქმედი ჩემპიონი **რობერტ ქობლიაშვილი** (84) საბოლოოდ დაუბრუნდნენ ახალგაზრდულ ნაკრებს, სადაც მნიშვნელოვანი სტარტები ელოდებათ. მით უფრო, ქობლიაშვილის საეროვნულე შანსები უნგრეთში წარუმატებელმა გამოსვლამაც შეამცირა. ასევე გაცხადებული იყო, რომ ლაშხიც დროებით ჭიდაობდა 66-ში, თორემ ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე კვლავაც 60-ში დადგებოდა – მას წონას არ აკლებინებენ იმის მიუხედავად, რომ ბევრს არ იკლებს. მძიმე წონის ამბავიც გასაგებია – ახალგაზრდები ჯერ მზად არ არიან ამ დონეზე საჭიდაოდ და რაკი ფერსელიძემ ტრავმაც მოიშუშა, დისკვალიფიკაციის ამბავიც „ჰეფი ენდით" დასრულდა და უნგრეთშიც მეორეზე გავიდა, მასზე უარი ნამდვილად არ იყო სათქმელი. აი, 66-ის ამბავი კი ნამდვილად მოულოდნელი სიურპრიზია! ცხადაიას ჯერ კიდევ ოლიმპიადამდე სურდა 74-ში გადასვლა, ხოლო თამაშების შემდეგ ეს ამბავი გადაწყვეტილი ჩანდა. ახლა ამ ნაბიჯით საქართველოს წლევანდელი ჩემპიონი **საჩინო დავითაია** (66) ამოვარდა სიიდან, რომელიც ორ ტურნირზე აჭიდავეს, რადგან სტარტი აკლდა. შეგახსენებთ, რომ უნგრეთში ცხადაიამაც იასპარეზა და დათუნაშვილმაც, უფრო უკეთ კი ცხადაია გამოვიდა. სადღეისოდ მას მხოლოდ 4-ოდე კილოგრამი აქვს დასაკლები, რასაც სტარტამდე დარჩენილ დროში ნამდვილად მოასწრებს.

დარჩია ასეთ საჩოთირო ვითარებაში, რაც ნაკრების დაკომპლექტებას უკავშირდება, მედიასთან საუბარს ყოველთვის თავს არიდებს და გუშინაც გამორთული ჰქონდა ტელეფონი. ეგ კი არა, არც სხვა მწვრთნელთა მობილურზე გვიპასუხა და მის აზრს ვერ გეტყვით, თუმცა აშკარაა, რომ აქცენტი გამოცდილებასა და შედეგზე გააკეთა. მისი ამბავიც გასაგებია – ტურნირი შინ ტარდება და შედეგს ორმაგად მოსთხოვენ. ამას მოსალოდნელი საკადრო ცვლილებებიც ემატება, თუმცა მაინც გვეგონა, რომ უფრო მეტად წავიდოდა გუნდის გაახალგაზრდავებაზე.

ნაკრები დასკვნით შეკრებას ბორჯომში გადის, რომელიც გუშინ დაიწყეს. ეს შედარებით ხანმოკლე შეკრებაა იმის მიუხედავად, რომ ბერძენ-რომაელები ყველაზე გვიან – 23-24 მარტს ჭიდაობენ.

**ირაკლი თავაძე**

ოლიმპიური ჭიდაობა. გამოხმაურება

# პასუხი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტიდან

**სპორტის გულშემატკივრებში 2020 წელს ოლიმპიური თამაშების პროგრამიდან ჭიდაობის შესაძლო ამოღების შესახებ აჟიოტაჟი არ ცხრება. სხვა ქვეყნებთან ერთად ამ საკითხის მოგვარებაში საქართველოც აქტიურად არის ჩართული. სეოკ-მა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში ოფიციალური მიმართვაც გააგზავნა, რაზეც სოკ-ისგან პრეზიდენტ ლერი ხაბელოვის სახელზე საპასუხო წერილი მოვიდა.**







სოკ-ის პრეზიდენტის ჟაკ როგის

**საპასუხო წერილი**

სეოკ-ის პრეზიდენტს ლერი ხაბელოვს

2020 წლის ოლიმპიური თამაშების პროგრამა

პატივცემულო პრეზიდენტო, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი (სოკ-ი) მადლობას უხდის საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს ჭიდაობის საკითხის მიმართ გამოვლენილი ინტერესისა და ერთგულების გამო. საქართველოს ნამდვილად მყარი საფუძველი გააჩნია იმისათვის, რომ იამაყოს მისი მრავალი ცნობილი მოჭიდავითა და ოლიმპიური ჩემპიონით.

დამატებითი ინფორმაციის სახით გვსურს მოგახსენოთ, რომ სოკ-ი რეგულარულად სწავლობს ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეტანილ სპორტის სახეობებს, რათა საჭირო დონეზე დავაბალანსოთ თამაშების მიმართ გამოვლენილი ინტერესი და აქტუალურობა. იზოლირებულად არც ერთი სახეობა არ განიხილება. სოკ-ის აღმასკომის წინაშე დადგა ამოცანა, რათა მრავალმხრივ ფაქტორებზე დაყრდნობით რეკომენდაცია გაეწია სპორტის 25 წამყვანი სახეობისთვის. მაგალითად, მნიშვნელოვანია სწორი ბალანსის შემუშავება სპორტის გუნდურ და ინდივიდუალურ სახეობებს შორის; საბრძოლო და სხვა სახეობებს შორის და, ზოგადად, ობიექტურ საზომებზე დამყარებულ სახეობებსა და მსაჯობაზე დაფუძნებულ სახეობებს შორის.

ეს არასოდეს ყოფილა ადვილი გადასაწყვეტი. 2020 წლის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში 25 წამყვანი სახეობის რეკომენდირებით სოკ-ის აღმასკომის წევრებმა ერთობლივი მოსაზრება წარმოადგინეს, რომელიც სპორტის ცალკეულ სახეობებში მათი, როგორც სპორტსმენების, ადმინისტრატორებისა და ოლიმპიელების მიერ წლების მანძილზე დაგროვილ გამოცდილებას ეფუძნება. მართალია, ჭიდაობას მთელი რიგი ძლიერი მხარეები გააჩნია, მაგრამ ისტორია მაინც მნიშვნელოვან როლს ასრულებს და ასევე უნდა ვაღიაროთ აუცილებელი ცვლილებების საჭიროებაც.

ამასთანავე, აღსანიშნავია ისიც, რომ აღმასკომის რეკომენდაცია არ წარმოადგენს საბოლოო გადაწყვეტილებას. ჭიდაობა, სპორტის დანარჩენ შვიდ სახეობასთან ერთად, შეეცდება დაიმკვიდროს ადგილი 2020 წლის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში. მომდევნო ეტაპი ითვალისწინებს მაისში სანკტ-პეტერბურგში, სოკ-ის აღმასკომის სხდომაზე დაგეგმილ პრეზენტაციას.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი სრული შემადგენლობით მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას, როდესაც მისი წევრები სექტემბერში სოკ-ის სესიაზე შეიკრიბებიან.

**პატივისცემით,**
**ჟაკ როგი**

სამთო თხილამურობა





# სტუდენტური სტარტები

საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის თაოსნობით, გუდაურის სათხილამურო ტრასებმა საქართველოს 2013 წლის სტუდენტური ჩემპიონატის II ეტაპს უმასპინძლა სამთო-სათხილამურო სპორტში (კროსი).

გაგაცნობთ გამარჯვებულებსა და პრიზიორებს. **ვაჟები** (15 მონაწილე). 1. დავით თედიაშვილი (ილიას უნივერსიტეტი), 2. კოტე ვახტანგიშვილი (სუხიშვილის უნივერსიტეტი), 3. ზურაბ ბაქრაძე (სამედიცინო უნივერსიტეტი).

**გოგონები** (12 მონაწილე). 1. თეონა მელიქიშვილი (თსუ), 2. მანანა წერეთელი (საქართველოს უნივერსიტეტი), 3. ნატა ჯაფარიძე (სეუ).

**ლელოს კორ.**

ჭადრაკი

# ბოლო ტურის წინ

ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში დღეს დამთავრდება მოჭადრაკე ქალთა გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც წრიული სისტემით 10 ნაკრები მონაწილეობს. გუშინ ბოლოსწინა მე-8 ტურის შეხვედრები გაიმართა. საქართველოს ნაკრებმა რუმინეთს 3:1 მოუგო: პირველ დაფაზე **ნანა ძაგნიძე** შავი ფიგურებით 61-ე სვლაზე ირინა ბულმაგას დანებდა, **ბელა ხოტენაშვილმა** ელენა კოსმას დასამარცხებლად 35 სვლა იკმარა, **ნინო ხურციძემ** ალინა ლამი 59-ე სვლაზე სძლია, ხოლო **სალომე მელიამ** კარმენ ვოიცუ-აგოდინსკის 41-ე სვლაზე გააჩერებინა საათი.

მე-8 ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დასრულდა: ინდოეთი-რუსეთი 1.5:2.5 (ეიშა კარავადე-ვალენტინა გუნინა 0:1, რუთ რადმინი-ატალია პოგონინა 0.5:0.5, მერი გომესი-ლისა გალიამოვა 1:0, სვამინათან სოუმია-ელგა გირია 0:1), უკრაინა-აშშ 2.5:1.5 (კატერინა ლაგნო-ანა ზატონსკიხი 1:0, ირინა კრუშინა-ინა უშენინა 1:0, მარია მუზიჩუკი-საბინა ფოიშორი 0.5:0.5, ვიქტორია ნი-ნატალია ჟუკოვა 0:1), ყაზახეთი-საფრანგეთი 2.5:1.5, თურქეთი-ჩინეთი 0:4.

**რვა ტურის შემდეგ:** უკრაინა 15 (22,5), ჩინეთი 13 (23), რუსეთი 12 (22), საქართველო 10 (19), ინდოეთი 9 (16,5), აშშ 7 (13,5), ყაზახეთი 6 (14), რუმინეთი 5 (12,5), საფრანგეთი 2 (8,5), თურქეთი 1 (8).

დღეს ბოლო ტურში ითამაშებენ: საქართველო-ყაზახეთი, საფრანგეთი-თურქეთი, აშშ-რუმინეთი, რუსეთი-უკრაინა.

**ვაჟა დანელია**



ბელა ხოტენაშვილი

ფარიკაობა

# ძმებმა გერმანული ბარიერი ვერ დაძლიეს

უნგრეთის დედაქალაქში კადეტ და ჭაბუკ მოფარიკავეთა ევროპის პირველობის შემდეგ, რომელშიც **სანდრო ბაზაძემ** ახალგაზრდებში ჩემპიონობა მოიპოვა, უფროსებში მსოფლიოს გრან-პრი გათამაშდა ხმალში.

ქართველთაგან ხუთმა სპორტსმენმა იასპარეზა. **მიხეილ მარდალეიშვილმა, საბა სულამანიძემ და ლუკა ობოლაძემ** ჯგუფური ეტაპი ვერ დაძლიეს და, შესაბამისად, 91-ე, მე100 და 115-ე ადგილებს დასჯერდნენ. **ბექა ბაზაძემ** პლეიოფში პირველივე პაექრობა დათმო გერმანელ იოჰანეს კლებეშთან 11:15 და 42-ე ადგილი ერგო. სანდრო ბაზაძემ პლეი ოფში ჯერ ბელარუს ვალერი პრიემკას აჯობა 15:11, შემდეგ ტომაშ დეკში (უნგრეთი) ჩამოიშორა გზიდან 15:13, მერვედფინალში კი ტურნირის მომავალ გამარჯვებულთან გერმანელ ნიკოლას ლიმბახთან დათმო ორთაბრძოლა 5:15 და მე-15 დარჩა. საპრიზო ადგილები კი ასე განაწილდა: 1. ნიკოლას ლიმბახი (გერმანია), 2. ჰვან კი კიმი (კორეა), 3. არონ ზილაგი (უნგრეთი) და ფერნანდო კარარესი (ესპანეთი).



**ვაჟა დანელია**

რეგიონი

შიდა ქართლის სპორტული
ვებ პორტალი

# პირველი რეგიონული სპორტული ვებგვერდი საქართველოში

ამ დღეებში ინტერნეტ სივრცეში გამოჩნდა შიდა ქართლის რეგიონალური სპორტული ვებ-პორტალი www.qartlisport.ge, სადაც ქვეყნდება ამ რეგიონის სპორტული ცხოვრების შესახებ ოპერატიული ინფორმაცია. სიახლეებთან ერთად ვებგვერდზე გარკვეული ადგილი ეთმობა რეგიონის ტიტულოვან ყოფილ და ამჟამად მოქმედ სპორტსმენთა კარიერული შედეგების ამსახველ დოსიეებს, ფოტო და ვიდეო მასალას. საინტერესოა, რომ საქართველოს ინეტერნეტ მედია სივრცეში ეს პირველი რეგიონული სპორტული გვერდია, თანაც საკმაოდ საინტერესო და სისტემატიურად განახლებადი. ჩვენთვის სასიხარულო ისიცაა, რომ გვერდს შემოქმედებით მხარეს ერთადერთი ჟურნალისტი და ისიც „ლელოს“ სკოლაგამოვლილი, ჩვენი თანამშრომელი ვასილ ბალახაძე უზრუნველყოფს. წარმატებებს ვუსურვებთ ახალ მედია საშუალებას და სპორტის ყველა მუშაკს შიდა ქართლში.

**„ლელოს“ რედაქცია**

სუმო. ჰარუ ბაშო. 10-24 მარტი

# გაგამარუმ მოიგო, ტოჩინოშინმა ვერა



გაზაფხულის ბაშოზე, რომელიც იაპონიის ქალაქ ოსაკაში მიმდინარეობს, პირველი გამარჯვება იზეიმა ელიტის ყველაზე მძიმე სუმოისტმა, **თეიმურაზ ჯუღელმა (გაგამარუ)**. გაგამარუმ **ტოიოჰიბიკის** იორიკირის ილეთით აჯობა, მისი ბალანსი 1-1-ია. ჩვენებურის მომდევნო მეტოქე ბაშოზე მე-4 მაეგაშირა **შოჰოზანია** (1:1 ურთიერთშეხვედრებში).

**ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)** პირველი მაეგაშირაა. მას თავიდანვე უძლიერესებთან უხდება რკენა. ორშაბათს ტოჩინოშინის მეტოქე დიდი ჩემპიონი **ჰარუმაფუჯი** იყო. იმპერატორის თასის მფლობელი ისეთი შემართებით ეკვეთა ჩვენებურს, რომ ლევანი დოჰიოს მიღმა მჯდომ მსაჯს დაეცა და კინაღამ დააზიანა. სამწუხაროდ, ჩვენებურს 0-2 ბალანსი აქვს და ახლა მეორე დიდ ჩემპიონ **ჰაკუჰოს** ხვდება. ქართველი სუმოისტი დიდ მონღოლს მე-15-ედ ხვდება, აქამდე გამართული ყველა ორთაბრძოლა ჰაკუჰომ მოიგო.

**II დღე**

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰო-ტაკაიასუ (იორიკირი), ჰარუმაფუჯი-**ტოჩინოშინი** (იორიკირი), ტოჩიოძანი-კოტოოშუ (უვატენაგე), კაკურიუ-ამინიშიკი (ოშიდაში), ჩიოტაირიუ-კოტოშოგიკუ (ჰიკიოტოში), მიოგირიუ-კისენოსატო (ოშიდაში), ბარუტო-ტოკიტენკუ (უვატენაგე), გოეიდო-იკიოი (ოშიდაში), **გაგამარუ**-ტოიოჰიბიკი (იორიკირი).

**III დღე**

(მნიშვნელოვანი წყვილები): ჰარუმაფუჯი-ტაკაიასუ, **ტოჩინოშინი**-ჰაკუჰო, კაკურიუ-მიოგირიუ, კოტოშოგიკუ-ტოჩიოძანი, ამინიშიკი-კისენოსატო, კოტოოშუ-ჩიოტაირიუ, ბარუტო-გოეიდო, კაისეი-ტოკიტენკუ, **გაგამარუ**-შოჰოზანი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ლელო

ხელმომწერთა საყურადღებოდ!

ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.

დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74. კვირის გარდა.



# კალათბურთი

## ● ლეგიონის კვირა

# სანიკიძე–შერმადინი 2:1

## მეოთხე დუელის მოლოდინში



2012 წლის აგვისტოს შემდეგ ცინცაძე ბოსნიის ნაკრების ნატურალიზებულ ამერიკელ რაიტს მეოთხედ „დაეჭიდება“

ქართულ ლეგიონზე წერა არაქართველით უნდა დავიწყოთ. იერუსალიმის „ჰაპოელი“ დატოვა საქართველოს ნაკრების გამთამაშებელმა **ჯეიკობ პულენმა**. როგორც იტალიური პრესა იტყობინება, მისი დამატება ბოლონიის „ვირტუსს“ სურს, რაც ერთი შეხედვით, წინგადადგმული ნაბიჯი უნდა იყოს. თუმცა საკითხავია, რამდენად კარგად ათამაშდება პულენი იტალიაში. ისრაელის გამოცემა „იპოსტში“ ვკითხულობთ, რომ იერუსალიმელები ჯეიკობს იოლად შეელივნენ, რადგან მთლად კმაყოფილები არ იყვნენ.

საინტერესოა, რომ გასული წლის ზაფხულში პულენი ნამდვილად სჯობდა კიდევ ერთ ნატურალიზებულ **კორი ფიშერს** და ნაკრების მწვრთნელმა **იგორ კოკოშკოვმა** ჯეიკობი კორიზე წინ ამიტომაც დააყენა. თუმცა ფიშერი ესპანეთის ჩემპიონატში ნაყოფიერად ათამაშდა, საშუალოდ 24 წუთში 13.7 ქულა და 2.8 პასი აქვს. ბოლო ტურში მისმა „ხუვენტუდმა“ სტუმრად „მურსიასთან“ 80:79 გაიმარჯვა, კორიმ კი 18 ქულა მიითვალა.

პულენისა და ფიშერის გარდა ქართული პასპორტი კიდევ არაერთ ამერიკელს აქვს და სადღეისოდ ძნელი სათქმელია, ვის ენდობა ევრობასკეტზე მთავარი მწვრთნელი. ისიც ვიცით, რომ კალათბურთის ფედერაცია უფრო გამოცდილს ეძებს. ასე რომ, სჯობს ნატურალიზებულებზე სხვა დროს უფრო კონკრეტულად ვილაპარაკოთ. იმედია, მანამდე პულენი „ვირტუსის“ ფორმასაც მოირგებს.

■ ■ ■

ესპანეთშივე თამაშობს ახალგაზრდა **ბექა ბურჯანაძე**, რომლის „კახასოლმაც“ „ბლუსენსთან“ შინ წააგო. სევილიელებს 24 ტურის შემდეგ 9 მოგება აქვთ და საპლეიოფო ზონის გუნდებს 3 გამარჯვებით ჩამორჩება. ასევე სამით უსწრებს გასავარდნ დუეტს. ასე რომ, „კახასოლი“ „ბუფერულ“ ზონაშია, არც გავარდნა ემუქრება და მეოთხედფინალში თამაშის ძალიან მცირე შანსი აქვს.

■ ■ ■

იტალიის მესამე ლიგაში პლეი ოფში მოხვედრისთვის იბრძვის **ნიკა მეტრეველის** „ომენა“. ამჟამად იგი მეცხრე ადგილზეა, არადა, მეშვიდეზე ასვლის კარგი შანსი ჰქონდა - სტუმრად „ბარისთან“ ოვერტაიმში 60:63 დამარცხდა.

ნიკა ხუთეულში იყო და 10 ქულა ჩააგდო.

რეგულარული ეტაპის დასრულებამდე ცხრა ტურია დარჩენილი და „ომენას“ რჩება დრო სიტუაციის გამოსასწორებლად.

■ ■ ■

ლიბანში პირველი ეტაპი წარმატებით დაძლია **ნიკა ცქიტიშვილის** „ჩამპვილმა“ და მეორე ჯგუფურ ეტაპს თამაშობს, სადაც პირველი მატჩი სტუმრად გამართა და „ბიბლოსთან“ 51:71 დამარცხდა.

ნიკამ მეტრეველის მსგავსად „სკიტამ“ 10 ქულა მიითვალა, მატჩი 5 ფოლის გამო ნაადრევად დაასრულა.

მეორე ტურში „ჩამპვილი“ „მუტაჰედს“ უმასპინძლებს (15 მარტს).

■ ■ ■

ევროტურნირების მატჩები გვიან იმართება (მითუმეტეს, რომ შუა ევროპულ დროსთან სამი საათი გვაშორებს), ამიტომ თამაშების დღეს სატურნირო ცხრილების დეტალურ განხილვას ვერ ვახერხებთ. ევროლიგაზე რომელი ქართველის გუნდს პლეი ოფში გასვლის რა შანსი აქვს, აქ მოგახსენებთ.

**ვიქტორ სანიკიძის** „მონტეპასკი“ რუსეთში „ხიმკისთან“ დამარცხდა, ხოლო **გიორგი შერმადინის** „ოლიმპიაკოსი“ შინ - „ბარსელონასთან“. გიორგი გაციებული იყო, მართალია სათადარიგოთა შორისაც იჯდა, მაგრამ არ უთმაშია. წაგებების მიუხედავად ორივე ჩვენიანს პლეი ოფში თამაშის კარგი შანსი აქვს.

რვაგუნდიან ჯგუფში „მონტეპასკის“ 7 გამარჯვება აქვს (3 მარცხი) და „ბარსას“ შემდეგ მეორე ადგილზეა. მესამე პოზიციაზე მყოფ „ოლიმპიაკოსს“ ერთით ნაკლები შეხვედრა აქვს მოგებული და ერთი გამარჯვებით უსწრებს მეხუთეადგილოსან „მაქაბის“ (5/5).

მეორე ჯგუფური ტურნირის დასრულებამდე 4 ტურია დარჩენილი და ოთხეულში მოხვედრა არც სანიკიძის გუნდს აქვს გარანტირებული და არც შერმადინისას. „ოლიმპიაკოსს“ საქმის დადებითად გადაწყვეტა 22 მარტს შეუძლია, როცა სწორედ „მაქაბის“ უმასპინძლებს. რაც შეეხება „მონტეპასკის“ 22-ში აუტსაიდერ „ბეშიქთაშს“ ესტუმრება და ოფიციალურად მაშინ შეიძლება გაიფორმოს მეოთხედფინალის საგზური. თუმცა მანამდე სერიოზული ბრძოლა ელის - 14 მარტს სწორედ „ოლიმპიაკოსს“ უმასპინძლებს.

მიმდინარე სეზონში ევროლიგაზე სანიკიძისა და შერმადინის დუელი სამჯერ შედგა (პირველ ეტაპზე გიორგი „მაქაბის“ ღირსებას იცავდა). აქედან ორჯერ გამარჯვებული ვიქტორი გამოვიდა. ვნახოთ, შერმადინი გაათანაბრებს, თუ სანიკიძე სერიას 3:1-ს მოიგებს.

ასევე მნიშვნელოვანი შეხვედრა ელის ევროთასზე **გიორგი ცინცაძის** „ბუდიველნიკს“. იგი 13 მარტს პეტერბურგის „სპარტაკს“ მიიღებს. მეოთხედფინალის პირველი მატჩი რუსებმა 11 ქულის სხვაობით მოიგეს. ასეთი ჩამორჩენის აღმოფხვრა უკრაინელებისთვის წარმოუდგენელი სულაც არ არის.



ბრაუნი (წინა პლანზე), შერმადინი და სანიკიძე პირეოსული მატჩისას

## ● საქართველო. U 16


ეროვნული ბიბლიოთეკა

# კადეტთა გაზაფხული

საინტერესო სისტემით მიმდინარეობს საქართველოს 16-წლამდელთა ჩემპიონატი. პირველ ეტაპზე მონაწილე გუნდები ოთხად გაიყო. „ა“ და „ბ“ ჯგუფებში მოხვდა ჩემპიონობისთვის მებრძოლი 6-6 გუნდი, ხოლო „გ“ და „დ“ ჯგუფებში - ისინი, რომლებსაც პირველი ეტაპის მიხედვით თორმეტეულში მოსახვედრად ქულები არ ეყო.

ოქროს მაძიებელი 12 გუნდი ორ ჯგუფად გაიყო (პირველი ეტაპის ქულებიც გადაჰყვათ). „ა“-ში მოხვედრილები „ბ“-ის წარმომადგენლებთან ითამაშებენ, შემდეგ დაითვლება საერთო მაჩვენებლები და გამოვლინდება 8 მეოთხედფინალისტი. პირველადგილოსანი მერვეს შეხვდება, მეორე - მეშვიდეს, მესამე - მეექვსეს, მეოთხე - მეხუთეს.

პარალელურად, მეცამეტე-ოცდამეოთხე ადგილების განაწილებისთვის ბრძოლას აგრძელებენ „გ“ და „დ“ ჯგუფებში მოხვედრილი გუნდები.

### სოხუმი–მართვე–2 62:95

**სოხუმი:** მარგალიტაძე (18ქ), მნარიაშვილი (16ქ), ყენიაშვილი (11ქ, 12მ), ზუზაძე (11ქ)...
**მართვე-2:** ლომიძე (41ქ), სანაია (24ქ, 8მ), წიკლაური (19ქ, 9მ)...

### კარდინალები–ჰიუნდაი 40:39

**კარდინალები:** ნადარაია (9ქ), კვირკველია (9ქ)...
**ჰიუნდაი:** ბერულავა (12ქ), ბეროშვილი (11ქ, 18მ)...

### ნაკრები 99–იმედი 60:63

**ნაკრები 99:** ყირიმელი (23ქ), ფიფია (12ქ)...
**იმედი:** ბუაჩიძე (25ქ, 19მ), ევგენიძე (19ქ)...

### მართვე 3– TBC 81:48

**მართვე 3:** ჯაში (22ქ, 11მ), პაპუნიდი (18ქ, 15მ), თუთაშვილი (14ქ)...
**TBC:** დავითულიანი (18ქ), ბახტაძე (11ქ)...

### AXE–მარნეული 30:67

**AXE:** ხელაშვილი (8ქ), თარაშვილი (5ქ), ბარათელი (5ქ), ჯაში (5ქ)...
**მარნეული:** მარგიანი (18ქ, 14მ), სარქისიანი (16ქ, 10მ, 13პ), ბოჭორიძე (13ქ)...

### კაქტუსი–მართვე–4 53:64

**კაქტუსი:** ერაძე (18ქ, 9მ), ესართია (17ქ)...
**მართვე-4:** ოქრიაშვილი (18ქ, 14მ), კარტოზია (16ქ), თალიაშვილი (13ქ, 9მ)...

### ლომები–მართვე 67:40

**ლომები:** ბექაური (19ქ), ზედგენიძე (15ქ, 13მ), ბაზერაშვილი (12ქ, 12მ), ბარბაქაძე (10ქ, 11მ)...
**მართვე:** ჭიჭვეიშვილი (16ქ), ჯგუშია (11ქ, 8მ)...

**A ჯგუფი**

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. შსს აკადემია | 7 | 7 | 0 | 680/281 | 14 |
| 2. ქუთაისი 2 | 8 | 5 | 3 | 553/612 | 13 |
| 3. რუსთავი 1 | 6 | 5 | 1 | 497/315 | 11 |
| 4. სოხუმი | 8 | 2 | 6 | 408/562 | 10 |
| 5. ჰიუნდაი | 8 | 1 | 7 | 360/590 | 9 |
| 6. აკადემია 2 | 8 | 0 | 8 | 379/640 | 8 |

**B ჯგუფი**

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. მართვე 2 | 9 | 7 | 2 | 786/598 | 16 |
| 2. თ. კარდინალები | 8 | 5 | 3 | 516/475 | 13 |
| 3. აკადემია | 7 | 6 | 1 | 495/367 | 13 |
| 4. ქუთაისი | 8 | 4 | 4 | 576/562 | 12 |
| 5. დინამო | 7 | 2 | 5 | 398/509 | 9 |
| 6. ბათუმი | 6 | 1 | 5 | 359/496 | 7 |

**G ჯგუფი**

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. რუსთავი 3 | 8 | 5 | 3 | 524/486 | 13 |
| 2. მართვე | 8 | 4 | 4 | 447/482 | 12 |
| 3. მართვე-3 | 8 | 4 | 4 | 532/471 | 12 |
| 4. მარნეული | 8 | 4 | 4 | 406/394 | 12 |
| 5. კაქტუსი | 8 | 4 | 4 | 420/430 | 12 |
| 6. კარდინალები 2 | 8 | 1 | 7 | 416/524 | 9 |

**D ჯგუფი**

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ლომები | 9 | 8 | 1 | 585/356 | 17 |
| 2. იმედი | 8 | 7 | 1 | 539/432 | 15 |
| 3. რუსთავი 2 | 7 | 6 | 1 | 565/411 | 13 |
| 4. მართვე-4 | 8 | 4 | 4 | 431/503 | 12 |
| 5. AXE | 8 | 1 | 7 | 410/556 | 9 |
| 6. თეჩ-თბილისი | 8 | 0 | 8 | 359/589 | 8 |

## ● ტრანსფერი

# იოვანი ბრუნდება

დღეს საქართველოში ჩამოვა სერბი კალათბურთელი **იოვან სტეფანოვი**. ეს სახელი და გვარი კალათბურთის ქართველ გულშემატკივარს უთუოდ ეცნობა - იგი 2008-09 წლების სეზონში რუსთავის „ენერჯი ინვესტის“ ღირსებას იცავდა და გუნდთან ერთად ქვეყნის ჩემპიონიც გახდა.

იოვანი 1983 წელსაა დაბადებული და 205 სმ სიმაღლისაა. ამპლუით მძიმე ფორვარდია, თუმცა შეუძლია როგორც ცენტრის, ასევე მსუბუქი ფორვარდის პოზიციაზე თამაში. 2009 წლის შემდეგ სტეფანოვი ფრანგულ „სუფელში“ გამოდიოდა.

აქვე იმასაც გაცნობებთ, რომ რუსთაველებმა კონტრაქტი გაუწყვიტეს იანვარში დამატებულ ლეგიონერ **ომარ ვატადს**.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

| მოთამაშე | გუნდი | თარიღი | შეჯიბრება | VS | ანგარიში | წუთი | ქულა | მოხსნა | პასი | ჩაჭრა | დაფარება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზაზა ფაჩულია | ატლანტა (აშშ) | 4.03 | NBA | დენვერი VS | 104:88 | არ უთამაშია, ტრავმა | | | | | |
| | | 6.03 | NBA | VS ფილადელფია | 107:96 | არ უთამაშია, ტრავმა | | | | | |
| | | 8.03 | NBA | ბოსტონი VS | 107:102 | არ უთამაშია, ტრავმა | | | | | |
| | | 9.03 | NBA | VS ბრუკლინი | 83:90 | არ უთამაშია, ტრავმა | | | | | |
| თორნიკე შენგელია | ბრუკლინი (აშშ) | 6.03 | NBA | შარლოტი VS | 78:99 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | | 8.03 | NBA | VS ვაშინგტონი | 95:78 | არ უთამაშია | | | | | |
| | | 9.03 | NBA | ატლანტა VS | 80:93 | 3 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 |
| მანუჩარ მარკოიშვილი | გალათასარაი (თურქ) | 9.03 | თურქეთის ჩემპ. | ტედ კოლეჯი VS | 86:94 | 32 | 11 | 0 | 4 | 2 | 0 |
| ვიქტორ სანიკიძე | მონტეპასკი (იტალია) | 8.03 | ევროლიგა | ხიმკი (რუს) VS | 78:71 | 17 | 6 | 6 | 0 | 0 | 0 |
| | | 11.03 | იტალიის ჩემპ. | VS რომა | 70:94 | 20 | 13 | 5 | 1 | 0 | 0 |
| ნიკა მეტრეველი | ომენა (იტალია) | 10.03 | იტალიის ჩემპ. | ბარი VS | 63:60 ოტ. | 33 | 10 | 7 | 1 | 2 | 0 |
| გიორგი შერმადინი | ოლიმპიაკოსი (საბ) | 7.03 | ევროლიგა | VS ბარსელონა (ესპ) | 77:90 | არ უთამაშია, ავად იყო | | | | | |
| გიორგი ცინცაძე | ბუდიველნიკი (უკრ) | 6.03 | ევროთასი | სპარტაკი (რუს) VS | 83:72 | 21 | 0 | 2 | 4 | 0 | 0 |
| | | 8.03 | უკრაინის ჩემპ. | VS აზოვმაში | 97:78 | 23 | 7 | 2 | 4 | 0 | 0 |
| ბექა ბურჯანაძე | კახასოლი (ესპანეთი) | 10.03 | ესპანეთის ჩემპ. | VS ბლუსენსი | 63:71 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ნიკოლოზ ცქიტიშვილი | ჩამპვილი (ლიბანი) | 9.03 | ლიბანის ჩემპ. | ბიბლოსი VS | 71-51 | 28 | 10 | 6 | 2 | 0 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთა თასი

# ბოლო გაჩერება ბუქარესტია

საქართველოს ნაკრები ერთა თასის წლევანდელი გათამაშების ბოლო მატჩს შაბათს, ბუქარესტში რუმინეთის ეროვნულ გუნდთან გამართავს. „ბორჯღალოსნებმა“ და „მუხის ფოთლებმა“ განვლილ ოთხ ტურში ოთხივე თამაში მოიგეს და თანაბარი 17-17 ქულა დააგროვეს. ბოლო ტურში გამარჯვებული ერთა თასის მფლობელი გახდება და ტრადიციული „ანთიმოზ ივერიელის“ თასიც გადაეცემა.

ჩვენმა ეროვნულმა ნაკრებმა სარუმინეთოდ მზადება გუშინ დაიწყო. საბედნიეროდ ესპანეთთან მატჩისას სერიოზულად არავინ დაშავებულა და ყველა მწყობრშია. გუნდის ახალზელანდიელმა თავკაცმა **მილტონ ჰეიგმა** გაფართოებულ შემადგენლობას კიდევ ერთი მორაგბე დაამატა. მან საფრანგეთის ჩემპიონის „ტულუზის“ შერკინების კვაჭი **ჯაბა ბრეგვაძე** იხმო, რომელსაც ტრავმის გამო ეროვნულ ნაკრებში წელიწადზე მეტია არ უთამაშია.

ცხადია, ესპანეთთან მატჩში გაციების შემდეგ, „სტეუარისთან“ არ იქნება **ირაკლი აბუსერიძე**, რომელსაც თამაშის შემდეგ გამართულ მესამე ტაიმზე სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა **ლევან ყიფიანმა** „სპორტის რაინდის წოდება“ მიანიჭა.

საქართველოს რაგბის კავშირმა „აბუს“ გადასცა ტიხრული მინანქრით დამზადებული მედალიონი, რომლის ერთ მხარეს გამოსახულია წმინდა გიორგი, ხოლო მეორეზე - ქართული რაგბის სიმბოლო „ბორჯღალი“, რომელსაც ქვემოთ ამშვენებს წარწერა - „ირაკლი აბუსერიძე, 85 ბორჯღალი“. ეს რიცხვი ნაკრებში ჩატარებული მატჩების რაოდენობას აღნიშნავს.

აბუსერიძე პირველი ბორჯღალოსანია, ვისაც ეს ჯილდო გადაეცა. საქართველოს რაგბის კავშირი ამით დაამკვიდრებს ტრადიციას და საქართველოს ნაკრების ყველა იმ მორაგბეს, რომელთა გაცილებაც თავის დროზე ვერ მოხერხდა, საშინაო მატჩებზე გადასცემს ამ ჯილდოს.

მესამე ტაიმის მსვლელობისას მინანქრის ჯვრები გადაეცათ **მამუკა გორგოძეს**, რომელმაც 50-ე კეპი მოიხვეჭა და **დავით კაჭარავას**, რომლის აქტივში ეროვნული ნაკრების კვართით გამართული 60 მატჩია. ჯილდოს გარეშე არ დარჩენილან ახალგაზრდა მორაგბეებიც: **ზურაბ ჟვანია**, რომელმაც პირველად ითამაშა ეროვნულ ნაკრებში და **თამაზ მჭედლიძე** - მან პირველი სანაკრებო ლელო გაიტანა. მათ სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს.



ლევან ყიფიანი, გიორგი ნიჟარაძე, ირაკლი მაჩხანელი და ირაკლი აბუსერიძე

### საქართველო

**პირველი ხაზი:** ვასილ კაკოვინი, ჯაბა ბრეგვაძე (ორივე-ტულუზი), ზურაბ ჟვანია (სტად ფრანსე), ირაკლი ნატრიაშვილი (ბრივი), შალვა მამუკაშვილი (არმია), დავით ზირაქაშვილი (კლერმონი), დავით ქუბრიაშვილი (ტულონი).

**მეორე ხაზი:** გიორგი ჩხაიძე (ტარბი), ლევან დათუნაშვილი (ორიაკი), კონსტანტინე მიქაუტაძე (ტულონი), ლაშა ლომიძე (მონპელიე)

**მესამე ხაზი:** მამუკა გორგოძე (მონპელიე), დიმიტრი ბასილაია (ედინბურგი), შალვა სუთიაშვილი (მასი), ვიქტორ კოლელიშვილი (კლერმონი), ბექა ბინაძე (არმია).

**№9:** გიორგი ბეგაძე (ბათუმი), ვაჟა ხუციშვილი (ხარები).

**№10:** ლაშა ხმალაძე (ლელო), მერაბ კვირიკაშვილი (სენ ჟუნიენი).

**№12-13:** მერაბ შარიქაძე (ჰართპური), თედო ზიბზიბაძე (პერიგო), დავით კაჭარავა (როდეზი).

**№11-14:** ირაკლი მაჩხანელი (არმაზი), თამაზ მჭედლიძე (მონ დე მარსანი).

**№15:** ბექა ნიკლაური (ლოკომოტივი), ირაკლი ყიასაშვილი (ლელო).

### V ტური

რუმინეთი-საქართველო
ესპანეთი-პორტუგალია
რუსეთი-ბელგია

| | თ | მ | ფ | წ | ბ | პ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 4 | 4 | 0 | 0 | +74 | 1 | 17 |
| 2. რუმინეთი | 4 | 4 | 0 | 0 | +49 | 1 | 17 |
| 3. რუსეთი | 4 | 2 | 0 | 2 | -17 | 1 | 9 |
| 4. პორტუგალია | 4 | 1 | 0 | 3 | -21 | 1 | 5 |
| 5. ბელგია | 4 | 0 | 1 | 3 | -28 | 2 | 4 |
| 6. ესპანეთი | 4 | 0 | 1 | 3 | -57 | 1 | 3 |

**ბესიკ ჯანგავაძე**

ევროპის ჩემპიონატი. U18

# გრენობლში ინგლისის გავლით

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას განაგრძობს. ამ მიზნით „უმცროსი ბორჯღალოსნები“ ინგლისში გაემგზავრნენ, სადაც ორ საწვრთნელ შეხვედრას გამართავენ.

გუნდის მთავარი მწვრთნელის **ილია მაისურაძის** განკარგულებაში 26 მორაგბეა. ჩვენი ნაკრები ხვალ, ჰართპურის სპორტული აკადემიის 18-წლამდელ მორაგბეთა გუნდს ეთამაშება. 17 მარტს კი, ინგლისის 17-წლამდლეთა ნაკრებს დაუპირისპირდება.

ინგლისური საწვრთნელი შეკრების შემდეგ, საქართველოს ნაკრები საფრანგეთის ქალაქ გრენობლში გაემგზავრება, სადაც 22 მარტს ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალში ირლანდიის ნაკრებთან იასპარეზებს. გამარჯვების შემთხვევაში, ნახევარფინალში ჩვენი მეტოქე საფრანგეთისა და იტალიის ნაკრებებს შორის გამარჯვებული იქნება. დამარცხების შემთხვევაში „უმცროსი ბორჯღალოსნები“ მეხუთე ადგილისთვის განაგრძობენ ბრძოლას. აქ მეტოქე იმავე გუნდებს შორის ხელმოცარული იქნება.

ტურნირში, რომელიც ექსპერიმენტულია და წლეულს მეორედ ტარდება, ასევე იასპარეზებენ ინგლისის, უელსის, შოტლანდიისა და პორტუგალიის ნაკრებები. შარშან ჩვენმა გუნდმა ამ შეჯიბრებაში იტალიისა და პორტუგალიის ნაკრებებს გაუსწრო და მე-6 ადგილი დაიკავა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებმა 18 თებერვალს თბილისში, „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე“ ლონდონის „ვოსფსის“ თანატოლთა გუნდს უმასპინძლა და 48:12 მოუგო.

### საქართველო

**პირველი ხაზი:** ზაურ ხარებავა (რაინდები), დავით ფხაკაძე (ივერია), ბადრი ალხაზიშვილი (ინგლისი), გიორგი ტორაძე, გუგა ხანთაძე (ორივე-აია), ბექა კაკაბაძე (ლოკომოტივი).

**მეორე ხაზი:** როლანდ კვაჭაძე (ლელო), თორნიკე ზოიძე (აკადემია), ბექა გორგაძე (ხარები).

**მესამე ხაზი:** თორნიკე ბუბუტეიშვილი (ლელო), დავით პაპავაძე (ჯიქები), ჟორა მლებრიშვილი (ხარები), გიორგი ხვისტანი (ყოჩები), ბადრი დანგაძე (აია).

**№9:** ვასილ ლობჟანიძე (არმაზი), თეიმურაზ თუთბერიძე (აია), დავით გულიტაშვილი (ხარები).

**№10:** რევაზ ჯინჭველაშვილი (აია).

**№12-13:** სანდრო ილურიძე (აკადემია), თემურ ირემაძე (აია), ლევან გიკაშვილი (ლელო).

**№11-14:** დევი დევსურაშვილი (ხულიგანა), ბადრი ლიპარტელიანი (ივერია), დავით ლობჟანიძე (ლელო).

**№15:** ირაკლი სვანიძე (ხულიგანა).

### 1/4 ფინალი

საქართველო-ირლანდია
ინგლისი-პორტუგალია
საფრანგეთი-იტალია
უელსი-შოტლანდია

**ბესიკ ჯანგავაძე**



U-18 (საქართველო-ვოსფსი)

ინტერვიუ თედო ზიბზიბაძესთან



თედო ზიბზიბაძის ლელო პორტუგალიასთან

# ზოგჯერ გაბრაზებაც საჭიროა

**ფრანგული „პერიგოსა“ და საქართველოს ნაკრების შუამარბი თედო ზიბზიბაძე ერთა თასზე ესპანეთთან მატჩის შემდეგ, ერთი დღით მშობლიურ ქუთაისს ეწვია და ჩვენი ინტერვიუც აქ შედგა. მოგეხსენებათ, რუსეთის ნაკრებთან ზიბზიბაძემ ტრავმა მიიღო და ამის გამო ესპანეთთან ვერ ითამაშა. მართალია, ის განაცხადში იყო, მაგრამ მწვრთნელებმა ვერ გარისკეს და თედომაც მთელი მატჩი სათადარიგოთა სკამზე გაატარა. ზიბზიბაძემ ტრავმა ბოლომდე მოიშუშა და იმედოვნეს, რომ 16 მარტს, რუმინეთთან გასამართ მნიშვნელოვან მატჩში საქართველოს ნაკრების ღირსებას კვლავ დაიცავს.**

**- სანამ საქართველოს ნაკრებზე ვისაუბრებდეთ, კლუბზე გკითხავ. როგორ ვითარდება თქვენი ფრანგული კარიერა?**

- გასულ სეზონში ქულები დაგვაკლდა და ელიტური მეორე დივიზიონიდან ფედერალ 1-ში დავქვეითდით. სხვებთან შედარებით სუსტი გუნდი ვიყავით და ეს მოულოდნელი არ ყოფილა. წლეულს „პერიგოს“ მიზანი კვლავ ელიტურ დივიზიონში დაბრუნებაა. კარგი შემადგენლობა გვყავს და ვეცდებით, მიზანს მივაღწიოთ. სხვათა შორის, ჩემს კლუბს დღეს 10 მარტს ჰქონდა თამაში „ნიორთან" და 42:0 მოიგო. მეორე ადგილისთვის ვიბრძვით, რათა პლეი ოფში შედარებით იოლი მეტოქე შეგვხვდეს.

**- როგორც ვიცით, „პერიგოსთან" კონტრაქტი წლეულს ზაფხულში გიმთავრდებათ. ისევ ამ გუნდში დარჩებით თუ სხვაგან აპირებთ კარიერის გაგრძელებას?**

- „პერიგოსთან" ხელშეკრულება ივნისის ბოლოს მიმთავრდება. ამ ეტაპზე არ ვიცი, როგორ განვითარდება მოვლენები. ცოტა არ იყოს, არეული სიტუაციაა... ჩემპიონატში კარგად ვთამაშობთ, მაგრამ საქმე იმაშია, რომ „პერიგოს" ბიუჯეტში 430 000 ევროს ოდენობის გარღვევა აქვს და თუ ეს თანხა ვერ გაისტუმრეს, ელიტურ დივიზიონში დაბრუნება კი არა, შესაძლოა, გუნდი ფედერალ-3-ში დააქვეითონ. ასეთი პერსპექტივა კი ნამდვილად არ მხიბლავს. ნაკრებში ასპარეზობის გამო, თითქმის ორი თვეა საფრანგეთში არ ვყოფილვარ და ამ ეტაპზე სხვა კლუბებიდან შემოთავაზებები არა მაქვს. დავბრუნდები და სიტუაციას ადგილზე გავარკვევ.

**- საქართველოს ნაკრებმა ერთა თასის მიმდინარე გათამაშება წარმატებით დაიწყო. ოთხივე შეხვედრა მოვიგეთ, თუმცა სპეციალისტები გარკვეულ ხარვეზებზეც საუბრობენ. თავად როგორ შეაფასებთ ეროვნული გუნდის თამაშს?**

- ბელგიის ნაკრები ჩვენთვის სრულიად უცხო გუნდი იყო, არ ვიცოდით მათი შესაძლებლობები და თან, სათამაშოდ ცოტა არ იყოს „თავაწეულები“ გავედით. ალბათ, ამის გამო იყო, რომ ბელგიასთან მოგება საკმაოდ გაგვიჭირდა. პორტუგალიის ნაკრებთანაც მძიმე თამაში გვქონდა და მხოლოდ ბოლო წუთებზე შევძელით მათი გატეხვა.

**- თქვენთვის, ალბათ, პორტუგალიის ნაკრებთან მატჩი გამორჩეული იყო - ორი ლელო გაიტანეთ და ნაკრების წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეთ. თანაც, მეორე ლელო ძალიან ლამაზი გამოგივიდათ.**

- პირველი ლელო მამუკა გორგოძის დამსახურება იყო, მე უბრალოდ ვალდებული ვიყავი წარმატებით დამესრულებინა ეს შეტევა, რაც მოვახერხე კიდეც. მეორე ლელოს რაც შეეხება, ინდივიდუალური თვისებები დამეხმარა, შეტევა საკუთარ თავზე ავიღე და წარმატებითაც დავასრულე.

**- როგორც ჩანს, სანაკრებო მატჩებს კარგ მზადყოფნაში შეხვდი...**

- ცუდ ფორმაში მართლაც არა ვარ, ნაყოფიერი ვარჯიშები გვაქვს და ვგრძნობ, რომ ნაკრებისთვის სარგებლობის მოტანა შემიძლია. მილტონ ჰეიგი თავიდან არ მათამაშებდა, ამის გამო ცოტა არ იყოს გაბრაზებული ვიყავი და პორტუგალიასთან ორმაგად მონდომებით ვითამაშე. როგორც ჩანს, ზოგჯერ გაბრაზებაც საჭირო ყოფილა, ეს პორტუგალიელებთან მატჩში ძალიან დამეხმარა.

**- რუსეთის ნაკრებთან მატჩში ტრავმა მიიღეთ და შესაცვლელი გახდით, ახლა როგორ მდგომარეობაში გაქვთ ფეხი?**

- ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა და ესპანეთთანაც შემეძლო თამაში, მაგრამ მწვრთნელებმა არ გარისკეს. ახლა სრულიად ჯანმრთელი ვარ და, იმედია, რუმინეთთან ვითამაშებ.

**- ერთა თასზე საქართველოს ნაკრების მთავარი კონკურენტი რუმინეთის ნაკრებია. თუ ნახეთ რუმინელების ბოლოდროინდელი თამაშები და რას იტყვით ჩვენს მომავალ მეტოქეზე?**

- საქართველოსა და რუმინეთის დაპირისპირება ერთგვარი დერბია და წინ ძალიან რთული თამაში გველის. რუმინელების მიერ ჩატარებული მატჩების ვიდეოფირები ვნახეთ და დავრწმუნდით, რომ ძლიერი გუნდი ჰყავთ. წლეულს, ჩვენსავით ოთხივე თამაში მოიგეს, თანაბარი ქულები გვაქვს და ეს დაპირისპირება ორივე ჩვენგანისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია... თანაც, მსოფლიო თასზე წაგების გამო, რუმინელებს რევანში სწყურიათ. თუმცა ჩვენ საკუთარი მიზნები გვაქვს, მთელი კვირის განმავლობაში მაქსიმალურად მოვემზადებით და ვეცდებით, რუმინეთი კიდევ ერთხელ დავამარცხოთ.

**- სანაკრებო პაუზის დროს, საქართველოს ჩემპიონატის მატჩზე დასწრებაც მოასწარით. როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ ეროვნულ პირველობაზე?**

- მხოლოდ „აიასა" და „ლელოს" მატჩს დავესწარი. თითქმის ექვსი წელიწადია საქართველოს ჩემპიონატისთვის თვალი არ მიდევნებია და ამ ერთი თამაშით რთულია დასკვნების გაკეთება. თანაც, შეხვედრა ისეთ ამინდში და ისეთ პირობებში ჩატარდა, რომ თამაშს ვერც გაარჩევდით, ამიტომ, საქართველოს ჩემპიონატზე ბევრს ვერაფერს ვიტყვი.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

## უცხოური სპორტი

● ზე რაგბი



# კარგი მგეზავი გამარჯვებას ნიშნავს

**ზე რაგბის გათამაშების მეოთხე ტურის შემდეგ დაუმარცხებლად სამი გუნდილა დარჩა. პირველი თამაში წააგო ოქლენდის „ბლუზმა“, რომელმაც სეზონი ყველასთვის მოულოდნელად ძალიან კარგად დაიწყო. შედეგად ოქლენდელებმა ახალი ზელანდიის კონფერენციაში სატურნირო ცხრილის პირველი საფეხური შარშანდელ ჩემპიონს, ჰემილთონის „ჩიფსს“ დაუთმეს.**

### ავსტრალია

ავსტრალიის კონფერენციაში შესანიშნავად ასპარეზობს კამბერას „ბრამბიზი“, რომელმაც ყველა თამაში მოიგო და, ამჯერად, შინ დიდი ანგარიშით დაამარცხა სიდნეის „ვორათაზი“ - 35:6. მასპინძელთა გუნდში ავსტრალიის ნაკრების შვიდი მორაგბე თამაშობს და მათი უპირატესობა თავიდანვე გამოიკვეთა. სიდნეელებს, რომლებიც წლეულს შარშანდელზე უკეთ ასპარეზობენ, გამარჯვების იოტისოდენა შანსი არ ჰქონიათ.

„ბრამბიზის“ შემადგენლობაში ყველაზე შედეგიანი შუამარბი **კრისტიან ლეალიფანაუ** იყო, რომელმაც გუნდს 18 ქულა მოუტანა (ერთი ლელო, ორი გარდასახვა და სამი საჯარიმო).

კანბერელებს კვალში უდგას ბრისბენის „რედსი“, რომელმაც სტუმრად მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა „მელბურნ რებელზთან“ - 32:13. არადა, პირველ ნახევარში მასპინძლებმა უკეთ ითამაშეს და 13:11 მოიგეს. შესვენების შემდეგ, „მელბურნმა“ ქულა ველარ აილო. სამაგიეროდ, „წითლებმა“ მოახერხეს მატჩის მსვლელობაში გარდატეხის შეტანა და დაამტკიცეს, რომ წლეულსაც მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებენ.

| | |
|---|---|
| მელბურნ რებელზი-რედსი | 13:23 |
| ბრამბიზი-ვორათაზი | 35:6 |

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. ბრამბიზი - 18 ქულა, 2. რედსი - 12, 3. ვორათაზი - 8, 4. მელბურნ რებელზი - 5, 5. ფორსი - 5.

### ახალი ზელანდია

როგორც უკვე ვთქვით, ახალი ზელანდიის კონფერენციის ლიდერმა ოქლენდის „ბლუზმა“ შინ წააგო. მისი მძლეველი ზე რაგბის ერთ-ერთი ფავორიტი პრეტორიის „ბლუ ბულზია“ - 21:28. სამხრეთაფრიკული გუნდი ჯერჯერობით დაუმარცხებელია და თავის კონფერენციაში პირველ ადგილზე იმყოფება. თამაში, როგორც მოსალოდნელი იყო, უკიდურესად დაძაბული გამოდგა. ახალზელანდიური გუნდი ყველანაირად ეცადა, თუმცა წარმატებული სტარტის გაგრძელება ვერ შეძლო.

ზედიზედ ორი შეხვედრა წააგო ზე რაგბის ყველაზე ტიტულოვანმა გუნდმა ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზმა“. ამჯერად, „ჯვაროსნები“ სტუმრად დამარცხდნენ ველინგტონის „ჰარიკენზთან“ მინიმალური სხვაობით - 28:29. კვლავ არ უთამაშია სტუმართა გუნდის ლიდერს **რიჩი მაქოას**. მგეზავი **დენ კარტერი** კი გუნდში ისევ ყველაზე შედეგიანი იყო - მის ანგარიშზე ერთი ლელო და ოთხი გარდასახვაა (13 ქულა). მასპინძლებმა გამარჯვებას მგეზავის **ბოდენ ბარეტის** სიზუსტის წყალობით მიაღწიეს. მან ველინგტონელებს 19 ქულა შესძინა (ხუთი საჯარიმო და ორი გარდასახვა).

კიდევ ერთ მატჩში, დანიდინის „ჰაილენდერზმა“ შინ წააგო სამხრეთაფრიკულ „ჩიტაზთან“ - 19:36.

| | |
|---|---|
| ჰარიკენზი-კრუსეიდერზი | 29:28 |
| ჰაილენდერზი-ჩიტაზი | 19:36 |
| ბლუზი-ბლუ ბულზი | 21:28 |

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. ჩიფსი - 12 ქულა, 2. ბლუზი - 11, 3. კრუსეიდერზი - 6, 4. ჰარიკენზი - 5, 5. ჰაილენდერზი - 4.

### სამხრეთ აფრიკა

სამხრეთ აფრიკის კონფერენციაში, ლიდერი, როგორც უკვე ვთქვით, პრეტორიის „ბლუ ბულზია“. მას კვალში მიჰყვება დურბანის „ნატალ შარქსი“, რომელიც ასევე დაუმარცხებლად ასპარეზობს. „ზვიგენებმა“ მეოთხე ტურში სტუმრად დაამარცხეს გათამაშების ახალბედა „საუთერნ კინგზი“ - 21:12. ისევე, როგორც მესამე ტურში, სტუმართა გუნდს ამჯერადაც მგეზავმა **პატრიკ ლამბიემ** მოაგებინა, რომელმაც ექვსი საჯარიმო და ერთი არეკნი გაიტანა (21 ქულა).

პირველი გამარჯვება მოიპოვა კეიპთაუნის „სტორმერზმა“, რომელმაც შინ უმძიმეს, მაგრამ ძალიან საინტერესო ბრძოლაში მოქმედი ჩემპიონი ჰემილთონის „ჩიფსი“ დაამარცხა- 36:34. მასპინძლები მთელი თამაშის განმავლობაში ანგარიშში მუდმივად წინ იყვნენ. ჰემილთონელებმა სხვაობის ორ ქულამდე შემცირება მხოლოდ შეხვედრის მიწურულისკენ შეძლეს.

ორ-ორი ლელო გაიტანეს „სტორმერზის“ გარემარბმა **ხიო ეპლონმა** და „ჩიფსის“ შუამარბმა **ჩარლი ნგატაიმ.** მასპინძელთაგან ყველაზე შედეგიანი ფულბეკი **კრისტიან პიტერსენი** იყო. მან სამი გარდასახვა და ხუთი საჯარიმო გაიტანა (21 ქულა).

| | |
|---|---|
| სტორმერზი-ჩიფსი | 36:34 |
| საუთერნ კინგზი-ნატალ შარქსი | 12:21 |

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. ბლუ ბულზი - 13 ქულა, 2. ნატალ შარქსი - 12, 3. საუთერნ კინგზი - 8, 4. სტორმერზი - 5, 5. ჩიტაზი - 5.

**ბესიკ ჯანგავაძე**

● ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# აქეთ კროსბი ბრწყინავს, იქით ანაჰაიმი

ჰოკეის ეროვნული ლიგის რეგულარულმა ჩემპიონატმა ეკვატორი გადალახა და ისე ჩანს, რომ აღმოსავლეთ კონფერენციაში პირველობისთვის მხოლოდ სამი გუნდი იბრძოლებს – “ბოსტონი”, “მონრეალი” და “პიტსბურგი”, რომლებიც თავიანთ კონკურენტებზე გაცილებით მძლავრად გამოიყურებიან.

გუშინ, “კანადიენსმა” და “პინგვინზმა” იოლად მოიგეს თავიანთი შეხვედრები და განიმტკიცეს ლიდერობა. კანადურმა კლუბმა “ფლორიდა” დაამარცხა - 5:2 და ეს იყო ზედიზედ მესამე მოგება. აღვნიშნავთ **რაიდერის** ორ შაიბასა და შედეგიან გადაცემას, აგრეთვე **საბენის** სამ პასს. “მონრეალი” სამი ქულით უსწრებს “ბოსტონს”, თუმცა ამ უკანასკნელს ოთხი თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული.

მხიარული და ლაღი თამაშის ჩვენებას აგრძელებს “პიტსბურგი”, რომელმაც 6:1 გაანადგურა “აილენდერსი”. “პინგვინები” ძალიან დამაჯერებლად ლიდერობენ ატლანტიკის დივიზიონს. “კუნძულელებთან” მატჩში ბენეფისი მოიწყვეს **კრის კუნიტცმა** და **სიდნი კროსბიმ**, რომლებმაც 5-5 ქულა ჩაიწერეს აქტივში. ამასთან, კუნიტცმა სეზონში მეორე ჰეთ-თრიკი შეასრულა, კროსბიმ კი ხუთი შედეგიანი პასით პირადი რეკორდი გაიმეორა. სიდნიმ განიმტკიცა ლიდერობა ბომბარდირთა დავაში - უახლოეს მდევარ **სტივენ სტემკოსს** რვა ქულით გაუსწრო.

პლეი ოფის ზონის ზღვარზე ბალანსირებს “რეინჯერსი”. გუნდმა მერვე ადგილის შენარჩუნება “ვაშინგტონის” საგარეო დამარცხებით შეძლო. სწრაფად გაშვებული გოლის მიუხედავად, ნიუიორკელებმა დედაქალაქელებს **სტეპანის, ბოილის, კელეჰანისა** და **რიჩარდსის** გოლებით უპასუხეს. ამას დაემატა რეზერვისტი მეკარის **მარტი ბირონის** კარგი თამაში, რომელმაც 28 დარტყმა მოიგერია.

■ ■ ■

დასავლეთ კონფერენციაში ერთ-ერთი მთავარი მოვლენა იყო ლიდერის ცვლილება ჩრდილო-დასავლეთ კონფერენციაში. პირველ ადგილზე გადავიდა “მინესოტა”. “ველურებმა” 4:2 მოუგეს “ვანკუვერს” და გამოდევნეს ის კონფერენციის პირველი სამეულიდან. **მაიკ იეოს** გუნდში გამოვყოფთ **პარიზეს** ორ შაიბას, **სატერის** ორ პასსა და ახალბედა **ჯეისონ ცუკერის** მეოთხე გოლს სეზონში.

“მინესოტას” შემდეგ მატჩში სერიოზული გამოცდა ელის “ანაჰაიმის” წინააღმდეგ. თავის მხრივ, ეს უკანასკნელი კვალში უდგას “ჩიკაგოს”. “იხვებმა” გუშინ ხასიათის სიმტკიცე გამოავლინეს “სენტ ლუისთან” მატჩში, ორჯერ აგებდნენ, მაგრამ 4:2 გაიმარჯვეს. მესამე პერიოდის სტარტზე “ბლუზმენები” 2:1-ს იგებდნენ, მაგრამ **პერის** ორმა შაიბამ, **გეტცლაფის** ორმა პასმა და **ბოშემენის** სამმა ქულამ “ანაჰაიმს” საკუთარ მოედანზე ზედიზედ მე-11 მატჩი მოაგებინა.

ამ მოგებით “დაქსი” მიუახლოვდა “ჩიკაგოს”, რომელმაც ზედიზედ მეორე მატჩი წააგო. “კოლორადოს” შემდეგ, ჩემპიონატის ლიდერის დამარცხება “ედმონტონმა” შეძლო – 6:5. სასტარტო პერიოდის შემდეგ, “მენავთობეები” 4:0 დაწინაურდნენ, მაგრამ “ჩიკაგომ” მეთოდურად დაიწყო ამ ჩამორჩენის გაბათილება და მესამე პერიოდის შუაში ერთ შაიბამდე მიუახლოვდა მეტოქეს, თუმცა მეტი ველარ მოახერხა. “ედმონტონმა” თავი დააღწია კონფერენციის ბოლო ადგილს, “ანაჰაიმი” კი მხოლოდ ექვსი ქულით ჩამორჩება “ჩიკაგოს” და თან ორი მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული.

| | |
|---|---|
| ვაშინგტონი-რეინჯერსი | 1:4 |

1:1, 0:2, 0:1

**გოლები:** 1:0 ოლექსი-1 (ჩიმერა-8, მ. იოჰანსონი-1), 1:1 სტეპანი-6 (გაბორიკი-9, მაკდონაჰი-7), 1:2 ბ. ბოილი-1 (მაკდონაჰი-8, ჰაგელინი-7), 1:3 კელეჰანი-8 (ნეში-13, დელ ზოტო-8), 1:4 ბ. რიჩარდსი-4 (ჰაგელინი-8, ნეში-14).

| | |
|---|---|
| დეტროიტი-კოლამბუსი | 2:3 (ბ) |

0:0, 1:2, 1:0, 0:0

**გოლები:** 0:1 ბრასარი-4 (ტიუტინი-13, ატკინსონი-3), 1:1 კინდლი-3 (დაციუკი-17), 1:2 უმბერგერი-5 (იოჰანსენი-6, ფოლინო-10), 2:2 ფრანცენი-5 (ბრუნერი-9, ზეტერბერგი-21).

**ბულიტები გაიტანეს:** დაციუკი (დეტროიტი), იოჰანსენი (კოლამბუსი), კალვერტი (კოლამბუსი).

| | |
|---|---|
| ფლორიდა-მონრეალი | 2:5 |

0:2, 0:2, 2:1

**გოლები:** 0:1 დეშარნე-8 (გალაჰერი-8, ემელინი-8), 0:2 რაიდერი-7 (საბენი-10, პლეკანეცი-6), 0:3 ბ. ჯონტა-9 (საბენი-11, პლეკანეცი-7), 0:4 ბუიონი-1 (რაიდერი-15, ბ. ჯონტა-7), 1:4 კოპეცკი-10, 2:4 მატიასი-7 (სკილი-5), 2:5 რაიდერი-8 (საბენი-12, მარკოვი-12).

| | |
|---|---|
| ნიუ ჯერსი-ვინიპეგი | 3:2 (ბ) |

2:1, 0:1, 0:0, 0:0

**გოლები:** 1:0 რ. კარტერი-3 (ზეიჯაკი-4, ვოლჩენკოვი-3), 2:0 ს. ჯონტა-3 (კოვალჩუკი-14, ლარსონი-4), 2:1 მ. სტიუარტი-2 (ანტროპოვი-8, მიეტინენი-1), 2:2 ე. კეინი-10 (მ. სტიუარტი-1).

**ბულიტები გაიტანეს:** ელიაში (ნიუ ჯერსი).

| | |
|---|---|
| პიტსბურგი-აილენდერსი | 6:1 |

3:0, 2:1, 1:0

**გოლები:** 1:0 დუპუი-10 (კუნიტცი-18, კროსბი-29), 2:0 კუნიტცი-15 (ჯ. ნილი-10, კროსბი-30), 3:0 კუნიტცი-16 (ჯ. ნილი-11, კროსბი-31), 3:1 ბოიესი-6 (ჩიზიკასი-7, მოულსონი-16), 4:1 კუნიტცი-17 (ლეტანგი-22, კროსბი-32), 5:1 ჯ. ნილი-17 (ლეტანგი-23), 6:1 დუპუი-11 (კროსბი-33, კუნიტცი-19).

| | |
|---|---|
| ჩიკაგო-ედმონტონი | 5:6 |

0:4, 4:2, 1:0

**გოლები:** 0:1 მ. ბრაუნი-1 (შულცი-2, რ. სმიტი-6), 0:2 სემ განიე-8 (პააიარვი-1, იაკუპოვი-7), 0:3 რაიან უიტნი-3 (ტ. ჰოლი-16, ჰემსკი-6), 0:4 სემ განიე-9 (რაიან უიტნი-4, ებერლე-12), 1:4 პ. კეინი-13 (ბოლანდი-5), 2:4 მარიან ჰოსა-11 (ტეივზი-12, ლედი-7), 2:5 ჰორკოფი-2 (ნიუჯენტ-ჰოპკინსი-8, შულცი-9), 3:5 ბრუკბანკი-1 (მარიან ჰოსა-10), 3:6 ტ. ჰოლი-5 (ნიუჯენტ-ჰოპკინსი-9, შულცი-10), 4:6 სიბრუკი-4 (პ. კეინი-16, კიტი-12), 5:6 პ. კეინი-14 (ბოლანდი-6, სადი-7).

| | |
|---|---|
| ფილადელფია-ბაფალო | 3:2 |

2:1, 1:0, 0:1

**გოლები:** 1:0 საიმონ განიე-2 (ტიმონენი-15, ბრ[illegible]გალოვი-3), 2:0 ტელბოტი-2 (ფედოტენკო-7), 2:1 ფლინი-2 (პორტერი-1, სეკერა-5), 3:1 ჟირუ-8 (ტიმონენი-16), 3:2 ჰეხტი-2 (ოტი-10).

| | |
|---|---|
| მინესოტა-ვანკუვერი | 4:2 |

2:0, 1:1, 1:1

**გოლები:** 1:0 პარიზე-10 (მ. კოივუ-16, სპარჯონი-3), 2:0 ცუკერი-4 (კულენი-11, სტოუნერი-3), 3:0 სპარჯონი-3 (რ. სატერი-16, პარიზე-8), 3:1 ჰიგინსი-7 (ალბერტსი-1), 3:2 ჰ. სედინი-6 (გარისონი-2, ბუტი-2), 4:2 პარიზე-11 (რ. სატერი-17, კოილი-2).

| | |
|---|---|
| კოლორადო-სან ხოსე | 3:2 (ო) |

1:0, 1:1, 0:1, 1:0

**გოლები:** 1:0 დუშენი-10 (პარენტო-14, ლანდესკოგი-4), 2:0 რ. ო'რაილი-2 (პალუშაი-4, ჯ. მიტჩელი-5), 2:1 მარლო-13 (ჯ. ბრაუნი-3, ქლოუ-8), 2:2 კუტური-10 (ჯ. ტორნტონი-19), 3:2 დუშენი-11 (პარენტო-15, ჰეიდა-7).

| | |
|---|---|
| ანაჰაიმი-სენტ ლუისი | 4:2 |

0:1, 1:0, 3:1

**გოლები:** 0:1 რივსი-1 (რედენი-2, კრაკნელი-2), 1:1 კოლიანო-9 (ეტემი-5, ლავჯოი-7), 1:2 ბერგლუნდი-13 (რასელი-3, ოში-12), 2:2 რაიანი-8 (გეტცლაფი-20, ბოშემენი-12), 3:2 პერი-8 (გეტცლაფი-21, ბოშემენი-13), 4:2 პერი-9 (ბოშემენი-14, სურეი-10).

**გია თვალაბეიშვილი**



პიტსბურგის ლიდერები: კროსბი, ლეტანგი, კუნიტცი, ნილი

● რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# სხვა სებასტიანის დრო დგება

კლასიკურ რალიში მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე ეტაპს მექსიკამ უმასპინძლა. იმის გამო, რომ ამ ეტაპში მონაწილეობას არ იღებდა მსოფლიოს ცხრაგზის ჩემპიონი **სებასტიან ლოები,** პირველობისთვის ყველა დაძაბულ ბრძოლას წინასწარმეტყველებდა, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. სანამ, ლოები თანდათან მიდის კლასიკური რალიდან, ამასობაში, ამ სერიაში ახალი ლიდერი იბადება **სებასტიან ოჟიეს** სახით. ეს ახალგაზრდა ფრანგი ჯერ კიდევ მაშინ გამოჩნდა ასპარეზზე, როცა “სიტროენში” ლოების თანაგუნდელი იყო. მთელ რიგ ეტაპებზე ის დიდ წინააღმდეგობას უწევდა თავის თანამემამულეს და რომ არა “სიტროენში” გამოყენებული გუნდური ტაქტიკა, ვინ იცის, იქნებ ჩემპიონის ტიტულზეც განეცხადებინა პრეტენზია.



სებასტიან ოჟიე

როცა “ფოლკსვაგენმა” რალიში დაბრუნების შესახებ გამოაცხადა, იქვე გახდა ცნობილი, რომ გერმანელთა გუნდის პირველი პილოტი ოჟიე იქნებოდა. უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ კავშირმა გაამართლა. “ფოლკსვაგენმა” და ოჟიემ თავიანთი ამბიციები წინა ეტაპზე დაადასტურეს, როცა შვედეთის თოვლიან გზებზე დაამარცხეს ლოები, ახლა კი მექსიკის ლორლიან გზებზე ჰქონდათ დებიუტი.

ოჟიემ სამივე დღე სტაბილურად იარა, ბოლოს ბონუსური სპეცმონაკვეთიც მოიგო და ამით ქულათა მაქსიმუმი ჩაიწერა აქტივში. სებასტიანმა სამ წუთზე მეტი მოუგო უახლოეს მდევარს, “სიტროენის” წევრ **მიკო ჰირვონენს** და ახლა, გენერალურ კლასიფიკაციაში 31 ქულით გაასწრო ლოებს.

### მექსიკის რალი

1. **სებასტიან ოჟიე** (საფრანგეთი, Volkswagen) – 4:30.27,000; 2. **მიკო ჰირვონენი** (ფინეთი, Citroen) - 4:33.55,900; 3. **ტიერი ნოივილი** (ბელგია, Ford) - 4:34.50,800; 4. **დანიელ სორდო** (ესპანეთი, Citroen) - 4:36.33,700; 5. **ნასერ ალ-ატიია** (კატარი, Ford) - 4:39.01,600; 6. **კრის ატკინსონი** (ავსტრალია, Citroen) - 4:41.55,000; 7. **კენ ბლოკი** (აშშ, Ford) - 4:42.15,300; 8. **ბენიტო გუერა** (მექსიკა, Mitsubishi) - 4:43.16,800...

### საერთო ჩათვლა

1. **სებასტიან ოჟიე** (საფრანგეთი, Volkswagen) – 74 ქულა; 2. **სებასტიან ლოები** (საფრანგეთი, Citroen) – 43; 3. **მიკო ჰირვონენი** (ფინეთი, Citroen) – 30; 4. **დანიელ სორდო** (ესპანეთი, Citroen) – 27; 5. **მადს ოსტბერგი** (ნორვეგია, Ford) – 26; 6. **ტიერი ნოივილი** (ბელგია, Ford) – 25; 7. **იარი-მატი ლატვალა** (ფინეთი, Volkswagen) - 15; 8. **მარტინ პროკოპი** (ჩეხეთი, Ford) - 14...

**გია თვალაბეიშვილი**

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ლეიკერსი იქ არის, სადაც საჭიროა

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში გაგრძელდა რეგულარული ჩემპიონატი და შემდეგი გუნდი, რომელსაც "მაიამის" ბრწყინვალე გუნდის შეჩერება უნდა ეცადა – "ინდიანა" იყო. ამ მატჩამდე ფლორიდელებს ზედიზედ 17 შეხვედრა ჰქონდათ მოგებული და თუ ასე გაგრძელდა, შესაძლოა, ფორმალობად იქცეს რეგულარულის დარჩენილი ნაწილი და პლეი ოფი.

"ინდიანას" წელს უკვე დამარცხებული ჰყავდა ჩემპიონი, თანაც ორჯერ. გარდა ამისა, "პეისერსი" აღმოსავლეთის სამ საუკეთესო გუნდს შორის შედის. ამიტომაც, არსებობდა გარკვეული იმედი, რომ ინდიანელები მაინც გაუწევდნენ წინააღმდეგობას წინ გაჭრილ "ჰიტს". მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა.

არადა, სტუმრებმა შეძლეს **ლებრონ ჯეიმსის** ნეიტრალიზება. ფორვარდმა მხოლოდ 13 ქულა დააგროვა (სეზონის პირადი ანტირეკორდი), თან ოთხი შეცდომა დაუშვა. მიუხედავად ამისა, **სპოელსტრას** შეგირდებმა უპრობლემოდ დაამარცხეს **ფოგელის** გუნდი. ამას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. მაგალითად, ძალიან ეფექტურად იმუშავა **ჩელმერსმა**. გარდა იმისა, რომ ის დაცვაში ჩვეულად ირჯებოდა, შეტევაშიც გამოიჩინა თავი: 26 ქულა ჩააგდო. ასეთი შედეგიანობისთვის, პლეიმეიკერმა თამაშიდან მხოლოდ 9 სროლა იკმარა.

მეორე მიზეზი ის იყო, რომ "დიდი ტრიოს" სხვა წევრებმა ითამაშეს კარგად. **ბოშმა** 24 ქულა დააგროვა (15-დან 11 სროლა მოათავსა კალათში), **უეიდის** ანგარიშზე კი 23 ქულა და 6 (!) ჩაჭრა მოდის. და კიდევ, "ინდიანა" დაცვაში იყო ცუდი და მასპინძლებს 105 ქულა დააგროვებინა. ამდენი ქულა ბოლოს "პეისერსმა" იანვრის მიწურულს, "იუტასგან" გაუშვა.

დაბოლოს, მასპინძლებმა მოახერხეს **ჯორჯის** შეჩერება. 10 ქულა, თამაშიდან – 2/11, 5 შეცდომა – ასეთი იყო "ინდიანას" ლიდერის არაპრეზენტაბელური სტატისტიკა. სხვების ნაცვლად "პეისერსში" თამაშმა **დევიდ უესტს** მოუწია, რომელმაც 24 ქულა დააგროვა, მაგრამ მისი მონდომება მოგებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

■ ■ ■

გუშინ, ერთ მნიშვნელოვან მოვლენას ჰქონდა ადგილი – პირველად პირველი დეკემბრის შემდეგ, პლეი ოფის ზონაში შეაღწია "ლოს ანჯელეს ლეიკერსმა".

კალიფორნიული გრანდი შინ ილებდა "ჩიკაგოს", რომელიც კვლავინდებურად ტრავმირებული **როუზის, ჰაინრიხის, ჰემილტონისა** და **გიბსონის** გარეშე თამაშობს. "ლეიკერსმა" თავისი ორი ლიდერის – **ბრაიანტისა** და **ჰოვარდის** წყალობით გაიმარჯვა. კობიმ 19 ქულა, 9 პასი და 7 მოხსნა დააგროვა, "სუპერმენმა" კი 21 მოხსნას 16 ქულაც გაუმატა. სტუმრებს ჰქონდათ შანსი გამოეყენებინათ მეტოქის დაბალი სიზუსტე საჯარიმოების შესრულებისას (26 ცდიდან მხოლოდ ხუთი შორეული ტყორცნა ჩავარდა კალათში), მაგრამ მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდნენ, როცა მეოთხე მეოთხედში სხვაობამ 15 ქულას მიაღწია.

კიდევ ერთი წაგება და "ჩიკაგო" მეშვიდე ადგილზე დაეშვება აღმოსავლეთ კონფერენციაში.

**ოკლაჰომა-ბოსტონი 91:79**

23:22, 27:23, 18:20, 23:14

ო: დურანტი (23+11 მოხსნა), უესტბრუკი (15), მარტინი (12).

ბ: პირსი (20+6 პასი), ბრედლი (12), გარნეტი (10+11 მოხსნა), ბასი (6+13 მოხსნა).

**ლეიკერსი-ჩიკაგო 90:81**

20:16, 24:24, 29:21, 17:20

ლ: ბრაიანტი (19+7 მოხსნა+9 პასი), ჰოვარდი (16+21 მოხსნა+4 დაფარება), ნეში (16), უორლდ პისი (12+7 მოხსნა+4 დაფარება), კლარკი (11), მიქსი (10).

ჩ: რობინსონი (19+8 პასი+4 ჩაჭრა), ნოა (18+17 მოხსნა+3 დაფარება), ბუზერი (12+10 მოხსნა), დენგი (11+8 მოხსნა), ბელინელი (11).

**ტორონტო-კლივლენდი 100:96**

20:27, 26:28, 33:19, 21:22

ტ: ანდერსონი (18), ჯონსონი (17+16 მოხსნა+3 დაფარება), ლოური (15+9 მოხსნა+3 ჩაჭრა), როსი (14), დეროზანი (13+6 პასი), ვალანჩუნასი (11+7 მოხსნა).

კ: უეიტერსი (21), კ. მაილზი (15), ირვინგი (12), ტომპსონი (11+10 მოხსნა), სპეიტსი (11).

**ორლანდო-ფილადელფია 99:91**

28:30, 28:21, 17:21, 26:19

ო: ნელსონი (24+10 პასი), აფლალო (17), ჰარისი (15+7 მოხსნა), ვუჩევიჩი (14+17 მოხსნა), უდრიხი (10+6 პასი).

ფ: ტ. იანგი (26+12 მოხსნა+5 ჩაჭრა), უილკინსი (16+6 პასი), ჰოიესი (15+7 მოხსნა).

**მაიამი-ინდიანა 105:91**

29:20, 27:26, 23:19, 26:26

მ: ჩელმერსი (26+7 მოხსნა), ბოში (24+3 დაფარება), უეიდი (23+6 ჩაჭრა), ჯეიმსი (13+6 მოხსნა+7 პასი), ალენი (11).

ი: უესტი (24+4 ჩაჭრა), ჰიბერტი (16), ოგუსტინი (14), ჯორჯი (10+6 მოხსნა).

**ნიუ ორლეანი-პორტლენდი 98:96**

22:22, 31:22, 23:25, 22:27

ნ-ო: ანდერსონი (20+13 მოხსნა), ვასკესი (20+7 მოხსნა), დევისი (18+10 მოხსნა), მეისონი (10).

პ: მეტიუზი (24), ლილარდი (20+8 პასი), ოლდრიჯი (16+6 მოხსნა), ჰიქსონი (14+14 მოხსნა+3 ჩაჭრა), ბატუმი (11).

**მინესოტა-დალასი 77:100**

20:21, 24:35, 17:22, 16:22

მ: უილიამსი (18+9 მოხსნა), ბარეა (16), ყელაბალი (13), სტიმსმა (10+8 მოხსნა).

დ: კარტერი (22+9 მოხსნა), ნოვიცკი (16+9 მოხსნა), რაიტი (13+7 მოხსნა), ბრენდი (10+12 მოხსნა).

**საკრამენტო-მილუოკი 113:115**

29:26, 21:35, 30:24, 33:30

ს: კაზინსი (24+10 მოხსნა), ტ. ევანსი (20), ტომპსონი (18+8 მოხსნა), ტომასი (14+9 პასი), ფრედეტი (14).

მ: ელისი (29+9 პასი), ჯენინგსი (16+8 პასი), დანლივი (16), აიონი (12+7 მოხსნა), დალემბერი (10+11 მოხსნა), უდო (10+7 მოხსნა+4 დაფარება).

**კლივერსი-დეტროიტი 129:97**

32:22, 38:30, 28:18, 31:27

კ: გრიფინი (22+8 მოხსნა), პოლი (20+14 პასი), ბარნსი (16), ბატლერი (15+3 ჩაჭრა), ჯორდანი (13+7 მოხსნა), გრინი (11), ბილაპსი (10+6 პასი).

დ: კალდერონი (18), ყერებკო (14+8 მოხსნა), მონრო (10), ნაითი (10), ბაინუმი (10).



ლეიკერსი პლეი ოფს უმიზნებს

ჩოგბურთი. ინდიან უელსი

# გაჭირვებული, მაგრამ მოგებული ფავორიტები

ინდიან უელსის უმაღლესი კატეგორიის ტურნირზე მამაკაცებმა მეორე წრეში დაასრულეს ურთიერთობის გარკვევა, ქალებმა კი სანახევროდ გაიარეს მესამე რაუნდი.

**ნოვაკ ჯოკოვიჩმა** 19 მატჩამდე აიყვანა ამ სეზონში თავისი წაუგებელი სერია. იტალიელ **ფაბიო ფონინისთან** შეხვედრის დასაწყისი სწრაფ ფინალს მოასწავებდა - სერბმა პირველი 11 გეიმიდან ცხრა თავის სასარგებლოდ დაასრულა, მაგრამ შემდეგ უნებლიე შეცდომებს უმატა, რასაც მეორე სეტის წაგება მოჰყვა. ასე რომ, მატჩი, მოულოდნელად, მესამე სეტში გადავიდა, თუმცა იქ მსოფლიოს პირველი ნომერი გონს მოვიდა და ისევ დომინირებდა კორტზე. ნოვაკმა ორი უპასუხო ბრეიკით ლოგიკური შედეგი დააფიქსირა სეტშიც და მატჩშიც.

ვერც **ენდი მარეი** ჩაეტია ორ სეტში რუსი **ევგენი დონსკოის** წინააღმდეგ. შოტლანდიელმა პირველ პარტიაში ვერაფრით იპოვნა თავისი თამაში, მაგრამ საწყის სეტში ამ გაუგებრობის შემდეგ, ყველაფერი თავის ადგილას დადგა. ენდიმ ინიციატივა მოიპოვა და მომდევნო გეიმებში საკუთარი მონოდება აღარ დაუთმია, თავად კი მეორე და მესამე სეტებში ორ-ორი ბრეიკი მიითვალა. ასე რომ, მარეიმ თავიდან აიცილა ინდიან უელსში ზედიზედ მესამედ საწყის რაუნდებში გამოვარდნა.

■ ■ ■

რთული მატჩები ჰქონდათ ფავორიტებს ქალებს შორის. ასე მაგალითად, **აგნიეშკა რადვანსკას** ორსაათნახევარი დასჭირდა **სორანა კირსტეას** დასამარცხებლად. პოლონელი პირველ სეტს 5:4-ს იგებდა და ორი სეტბოლი ჰქონდა, მაგრამ პარტია ტაი-ბრეიკზე დათმო. ამის შემდეგ, აგნიეშკამ დიდი ხნით მოიპოვა ინიციატივა და მომდევნო 15 გეიმიდან 11 თავის სასარგებლოდ დაასრულა. მაგრამ 1:5-ზე კირსტეამ გაბრძოლება გადაწყვიტა და მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა, თუმცა რადვანსკამ მაინც მოახერხა რუმინელის წინსვლის შეჩერება.

მძიმე ბრძოლის გადატანამ მოუწია ერთ-ერთ მთავარ ფავორიტს **მარია შარაპოვას**. ესპანელი **კარლა სუარეს ნავარო** ჯიუტად ეწინააღმდეგებოდა რუსს და მხოლოდ 5:5-ზე მოდუნდა. მეორე სეტში შარაპოვას ნაკლები გართულება ჰქონდა და ორი ბრეიკით იოლად დაამარცხა მეტოქე.

როგორც ჩანს, წარსულს ჩაბარდა **პეტრა კვიტოვას** პრობლემები. ჩეხმა ზედიზედ მეშვიდე მატჩი მოიგო და მეოთხე წრეში გაალწია. კვიტოვას მეშვიდე მსხვერპლი აღმოჩნდა უკრაინელი **ლესია ცურენკო**. პირველი სეტი ცურენკომ უშანსოდ წააგო, სამაგიეროდ, მეორე პარტიაში ღირსეული ბრძოლა გაუმართა კვიტოვას. უკრაინელი ბოლო მომენტამდე ინარჩუნებდა თანაფარდობას - ორი ბრეიკი გააკეთა და კვიტოვას ცხრა ბრეიკ-პოინტიდან რვა მოიგერია. მაგრამ უკრაინელმა თამაშის მესამე სეტში გადაყვანა ვერ შეძლო, რადგან პეტრამ უკეთესად ითამაშა ტაიბრეიკი.

**კაცები**

**II წრე**

**მერდი ფიში (აშშ, 32)**-ბობი რეინოლდსი (აშშ) 6:3, 3:6, 6:4; **მარინკო მატოშევიჩი (ავსტრა)**-ხუან მონაკო (არგ, 14) 7:5, 6:0; **კარლოს ბერლოკი (არგ)**-ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ, 22) 6-3, 6:7(5), 6:3; **გრიგორ დიმიტროვი (ბულ, 31)**-მეტიუ ებდენი (ავსტრა) 6:4, 6:4; **იენ-ჰსუნ ლუ (ტაივ)**-მარტინ კლიჟანი (სლოვენ, 26) 7:6(5), 7:6(5); **ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 11)**-დანიელ ხიმენო ტრავერო (ესპ) 7:5, 6:1; **კეი ნიშიკორი (იაპ, 16)**-ფილიპ პეტცშნერი (გერ) 6:3, 6:2; **ტომი ჰაასი (გერ, 19)**-პაბლო ანდუხარი (ესპ) 6:3, 7:6; ბიორნ ფაუ (გერ)-ჟერემი შარდი (საფ, 25) 6:2, 2:6, 6:4; **სემ კუერი (აშშ, 23)**-ივო კარლოვიჩი (ხორ) 6:3, 6:4; **ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 7)**-ნიკოლაი დავიდენკო (რუს) 6:3, 6:4; **მარინ ჩილიჩი (ხორ, 12)**-ალბერტ რამოსი (ესპ) 7:6(7), 6:2; **ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ, 8)**-ჯეიმს ბლეიკი (აშშ) 7:6(6), 6:4 ; **ენდი მარეი (ბრიტ, 3)**-ევგენი დონსკოი (რუს) 5:7, 6:2, 6:2; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1)**-ფაბიო ფონინი (იტა) 6:0, 5:7, 6:2.

**ქალები**

**III წრე**

**მარია კირილენკო (რუს, 13)**-მელორი ბურდეტი (აშშ) 6:3, 4:6, 6:2; **ლარა არუაბარენა-ვესინო (ესპ)**-რობერტა ვინჩი (იტა, 14) 2:6, 6:4, 6:4; **მარიონ ბარტოლი (საფ, 9)**-სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) 6:4, 6:3; **სარა ერანი (იტა, 6)**-იოჰანა ლარსონი (შვედ) 6:3, 6:1; **პეტრა კვიტოვა (ჩეხ, 5)**-ლესია ცურენკო (უკრ) 6:2, 7:6(5); **მარია შარაპოვა (რუს, 2)**-კარლა სუარეს ნავარო (ესპ, 25) 7:5, 6:3; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 3)**-სორანა კირსტეა (რუმ, 27) 6:7(3), 6:3, 6:4; **კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ, 19)**-დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ, 12) 6:4, 7:5.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ულ კისა-კონგსვინგერი | 1:0 |
| ჰამ კამი-რანჰაიმი | 2:0 |
| **ინგლისი** | |
| **ჩემპიონშიპი** | |
| ბარნლი-ჰალი | 0:1 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| კროტონე-ჩეზენა | 1:0 |
| **სერია C1/A** | |
| კარპი-სან მარინო | 1:0 |
| **ესპანეთი** | |
| სარაგოსა-გრანადა | 0:0 |
| **II დივიზიონი** | |
| კასტილია-ერკულესი | 1:1 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ბრაუნშვაიგი-კაიზერი | 1:1 |
| **ჰოლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ეინდჰოვენი-ვეენდამი | გადაიდო |
| **პორტუგალია** | |
| სეტუბალი-გიმარაეში | 2:3 |
| **დანია** | |
| მიდტიულანდი-ნორდსილანდი | 1:1 |
| **ავსტრია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ჰარტბერგი-კაპფენბერგი | 1:3 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| არაუ-ბელინცონა | 0:1 |
| **საბერძნეთი** | |
| პანიონიოსი-ატრომიტოსი | 1:0 |
| **თურქეთი** | |
| მერსინი-ქასიმფაშა | 1:1 |
| **II დივიზიონი** | |
| შანლიურფა -ბბ გაზიანთეფი | 0:1 |
| **ირლანდიის თასი** | |
| ლინფილდი-შემროკი | 1:3 |
| დროგედა-დერი | 2:1 |
| გლენტორანი-სლიგო | 0:3 |
| **ირლანდია** | |
| **ლიგის თასი** | |
| ეთლონი-ლონგფორდი | 0:2 |
| ბოჰემიანი-უნივერსიტი | 2:2 |
| დანდალკი-ბოჰემიანსი | 1:0 |
| უოტერფორდ-კობ რამბლერს | გადაიდო |
| **რუსეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| მეტალურგი-ნალჩიკი | 0:0 |
| უფა-სიბირი | 1:1 |
| ნეფტიხიმიკი-როტორი | 0:2 |
| პეტროტრესტი-სკა ენერგია | 1:2 |
| **პოლონეთი** | |
| ლეჩია-კორონა | 3:2 |
| **რუმინეთი** | |
| უნივერსიტატეა-ტურნუ | 1:0 |
| დინამო-კონკორდია | 2:0 |
| ვასლუი-გლორია | 1:1 |
| **ისრაელი** | |
| აშდოდი-ბნეი იეჰუდა | 2:1 |
| **ავსტრალია** | |
| მელბურნ ჰ-ადელაიდა | 0:2 |

**კალათბურთი**

| | |
|---|---|
| **საფრანგეთი** | |
| ვილერბანი-ლე მანი | 88:81 |
| **იტალია** | |
| მონტეპასკი-რომა | 70:94 |
| ბოლონია-იუვე კაზერტა | 70:72 |
| **თურქეთი** | |
| ბეშიქთაში-ბანვითი | 56:67 |

**ჰოკეი**

| | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| სევერსტალი-სკა | 0:4 |
| დინამო (მ)-ცსკა | 3:2 (ო) |
| **სლოვაკეთი** | |
| ბისტრიცა-ზვოლენი | 2:3 |
| პოპრადი-კოშიცე | 6:3 |
| **ჩეხეთი** | |
| ზლინი-ვიტკოვიცე | 2:1 |
| სლავია-კლადნო | 3:1 |

**ჩოგბურთი**

| | |
|---|---|
| **ATP. ინდიან უელსი** | |
| ნიემინენი-ანდერსონი | 3:6, 1:6 |
| ნადალი-ლ. მაიერი | უარი |
| სეპი-გულბისი | 7:5, 3:6, 4:6 |
| **WTA. ინდიან უელსი** | |
| კერბერი-ვიკმაიერი | 6:1, 7:6 |
| მუგურუსა ბლანკო-რიბარიკოვა | 6:4, 6:0 |
| პეტროვა-გორგესი | 6:1, 6:2 |
| პენგი-სტოსური | 3:6, 6:3, 2:6 |

TV პროგრამა

**12 მარტი. სამშაბათი**

**I არხი**

**23:45** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბარსელონა-მილანი (LIVE).

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXV ტურის მიმოხილვა.
**11:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXVI ტურის მიმოხილვა.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXV ტური. შალკე-დორტმუნდი.
**14:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXVI ტური. ჰერენვეენი-ეინდჰოვენი.
**16:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXV ტური. ბორუსია (მ)-ვერდერი.
**18:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXIX ტური. ლივერპული-ტოტენჰემი.
**21:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXIX ტურის მიმოხილვა.
**22:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**22:30** ჩემპიონთა ლიგა. სტუდიური მიმოხილვა.
**23:45** ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. შალკე-გალათასარაი (LIVE).

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ცვოლე.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. სან ანტონიო-ოკლაჰომა.
**15:00** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/8 ფინალი. პირველი მატჩი. სტიაუა-ჩელსი.
**17:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ალსტერი-ნორსჰემპტონი.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. დორტმუნდი-შახტარი.
**22:00** კალათბურთი. ევროლიგა. მიმოხილვა.
**23:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. სან ანტონიო-ოკლაჰომა.
**01:15** NBA ACTION.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ინდიან უელსი. აშშ.
**19:30** საჩოგბურთო მიმოხილვა.
**20:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ლეიკერსი-ოკლაჰომა.
**22:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ინდიან უელსი. აშშ (LIVE).

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 6 | 18 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 10 | 16 | (წვიმა) |
| ბათუმი | 11 | 17 | (წვიმა) |
| ფოთი | 9 | 16 | (წვიმა) |
| ზუგდიდი | 6 | 15 | (წვიმა) |
| გორი | -2 | 16 | (წვიმა) |
| თელავი | 5 | 19 | (მოღრუბლულობა) |
| სიღნაღი | 7 | 18 | (მოღრუბლულობა) |
| გუდაური | -6 | 3 | (თოვლი) |
| ბაკურიანი | -3 | 3 | (თოვლი) |
| ბორჯომი | -2 | 14 | (წვიმა) |
| მესტია | -3 | 3 | (წვიმა) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1569 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6594 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.4684 |
| 100 რუსული რუბლი | 5.3951 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკანდალი

# სუიციდის პირას

## ოსკარ პისტორიუსი თვითმკვლელობაზე ფიქრობს


ოსკარ პისტორიუსი

სამხრეთაფრიკელი მორბენალი ამპუტანტის **ოსკარ პისტორიუსის** მეგობარმა **მაიკ ეზიმ** განაცხადა, რომ შეყვარებულის - **რივა სტინკამპის** მკვლელობაში ეჭვმიტანილი მძლეოსანი თვითმკვლელობის ზღვარზეა მისული. როგორც ეზი ამბობს, ოსკარი ვერ ეგუება ყოფილი მოდელის სიკვდილს.

მაიკ ეზიმ ეს ამბავი BBC-ის გადამღებ ჯგუფს მოუყვა. ბრიტანული ტელეკომპანია გახმაურებულ მკვლელობაზე დოკუმენტურ ფილმს იღებს.

*"ის ყოველთვის ახსენებს რივას და გვთხოვს, ვილოცოთ მისთვის და მისი ოჯახისთვის, - განაცხადა ეზიმ. – მის ხმაში არ იგრძნობა თვითდაჯერება. ის ჰგავს ადამიანს, რომელიც გზააბნეულია და არ იცის, სად წავიდეს. ოსკარი განადგურებულია. მეტს გეტყვით: მგონია, რომ ის თვითმკვლელობის ზღვარზეა. ეს ძალიან მაწუხებს".*

*"მაგრამ ჩვენ - მისი მეგობრები ყოველთვის მის გვერდით ვიქნებით. მას არასოდეს მივატოვებთ"*, - დაამატა ეზიმ.

ლონდონის ოლიმპიადის მონაწილის ტრაგიკულ ბედზე შექმნილ დოკუმენტურ ფილმს BBC-ის არხზე ორშაბათს გაუშვებენ.

კრივი

# ყველაზე სასურველი ბრძოლის ახალი თარიღი

როგორც ცნობილია, დღეისთვის სუპერმძიმე წონით კატეგორიაში ყველაზე სასურველ ბრძოლად უკრაინელი **ვლადიმერ კლიჩკოსა** და რუსი **ალექსანდრ პოვეტკინის** მომავალი დაპირისპირება მიიჩნევა. გუშინ, მსოფლიოს საკრივო ასოციაციამ (WBA) ერთი თვით გადაწია დედლაინი. მოკრივეები რინგზე 31 აგვისტომდე უნდა წარსდგნენ ერთმანეთის პირისპირ. ამის შესახებ განაცხადა რუსი მოკრივის ერთ-ერთმა პრომოუტერმა **კრის მაიერმა**.

მისი თქმით, WBA-მ კიდევ ერთხელ დაიცვა პოვეტკინის ინტერესები და მას გარანტირებულად მისცა კლიჩკოსთან ბრძოლის ჩატარების შესაძლებლობა. მენეჯერმა აღნიშნა, რომ უკრაინელი მოკრივის წარმომადგენლებმა იციან ამ გადაწყვეტილების შესახებ, მაგრამ ჯერ კომენტარს არ აკეთებენ.

თავდაპირველად, უმცროსი კლიჩკოსა და პოვეტკინის ბრძოლა 26 თებერვლამდე უნდა გამართულიყო, მაგრამ უკრაინელმა WBA-სგან ტიტულის ნებაყოფლობით დაცვის უფლება მოიპოვა. იანვრის ბოლოს გადაწყდა, რომ უკრაინელი და რუსი 31 ივლისამდე უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს, ახლა კი ეს თარიღი კიდევ ერთი თვით გადაიწია.

რაც შეეხება კლიჩკოს მხრიდან ტიტული ნებაყოფლობით დაცვას, უკვე გადაწყვეტილია, რომ 4 მაისს, ჩემპიონი იტალიელ **ფრანჩესკო პიანეტას** შეხვდება. ბოლოს ვლადიმერმა 2012 წლის ნოემბერში იჩხუბა და პოლონელი **მარიუშ ვახი** დაამარცხა, რითაც დაიცვა IBF-ის, WBO-სა და WBA-ის ტიტულები.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**


კლიჩკო პოვეტკინს ემუქრება








JOMA SPORT GEORGIA 001@sbm.ge


დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **გია თვალაბეიშვილი**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:30
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608